

გიორგი გველესიანი



საქართველოს ეკლესია-მონასტრები

2013
ქუთაისი

ეუძღვნი ძვირფასი მამის
გიზო გველესიანის ნათელ სსოვნას

გაუფრთხილდით და დაიცავით ჭეშმარიტი მართლმადიდებელი
საზნმუნოება, რადგან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია
ინახავს უძველესი სამოციქულო და განუყოფელი ეკლესიის
ზნმუნასა და ტრადიციებს.

იღია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

წიგნში განხილული მასალები მკითხველს დაეხმარება
დედაეკლესიის ისტორიის უკეთ გაცნობა-შესწავლაში,
სულიერების ამადლებაში. ის მეგზურობას გაუწევს ასევე
საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებ-
საც.

წიგნში თავმოყრილია ინტერნეტსაიტებსა და მითითე-

ISBN



© ფრფრბ ოტკტსუბც ცფ[ტკვობაჯ ეყბდტჰცბნტნტც უფვევენტვეჯ,ფ

მესფბცბ7 \$^--7 სფვეჰჰ ვტაბც %)8 ნტკმნ "\$ -- "

E-mail:atsugamomcemloba@gmail.com



უმინდესი და უნეტარესი
ილია II

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,

ერში — ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი
დაიბადა — 4.1.1933 წელი. ქალაქი ორჯონიკიძე (ახლანდელი
ვლადიკავკაზი)

1952 — დამთავრა ვლადიკავკაზის №22-ე საშუალო სკოლა

1952-1956 — მოსკოვის სასულიერო სემინარია

1956-1960 — მოსკოვის სასულიერო აკადემია

16. IV.1957 — ბერად აღკვეცა

18. IV.1957 — დიაკვნად კურთხევა

18. IV.1957 — დიაკვნად კურთხევა
10. V. 1959 — მღვდლად კურთხევა
- 1960–1963 — ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელთმსახური
19. XII. 1960 — იღუმენის წოდება
16. IX. 1961 — არქიმანდრიტის წოდება
26. VIII. 1963 — ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი
- 1963–1970 — მცხეთის სამოძღვრო-სადვთისმეტყველო სასწავლებლის დირექტორი
- 1970–1972 — მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი
- II IX 1967 — ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი
15. V. 1969 — მიტროპოლიტის წოდება
- 1972 მეორე პანდია
- 1975 — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვარი
- 1977 23 დეკემბერი — XII ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.
- 1977 25 დეკემბერი — შედგა ახლანდელი პატრიარქის ინტრონიზაცია
- 1978–1983 — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი
- 1997 — კრიტის სასულიერო აკადემიის წევრი
- 1997 — გაეროსთან არსებული ინფორმაციზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი
- 1998 — ამერიკის მართმადიდებელი ეკლესიის წმინდა ტიხონის სადვთისმეტყველო სემინარიის დვთისმეტყველების დოქტორი.
- 2005 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი
- 2011 — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

ცამეტი ასურელი მამის შემოსვლა საქართველოში

ქრისტეს მართმადიდებლურ ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე ბევრი სასწაული მოხდა. ასეთი იყო ასურელი მამების შემოსვლა საქართველოში VI საუკუნის დასაწყისში. იოანე ზედაზნელმა და მისმა 12 მოწაფემ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განამტკიცეს ქართველნი. მდგარსეს ეკლესია-მონასტრები, რომლებიც მათსაკე სახელს აცარებს. ასურელი მამები იყვნენ წმინდა იოანე ზედაზნელი, წმინდა იესე წილკნელი, წმინდა აბიბოს ნეკრესელი, წმინდა შიო მღვიმელი, წმინდა ანტონ მარტყოფელი, სტეფანე ხიზსელი, ზენონ ივალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ისიდორე სამთავნელი, პიროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

სანამ უმუალოდ ეკლესია-მონასტრების ისტორიაზე გადავიდოდეთ მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხი. ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მტკიცებით ქრისტიანობა საქართველოში ადრეც ვრცელდებოდა. საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება წილად ხვდათ ქრისტეს უმუალო მოწაფეებს, წმინდა ანდრია პირველწოდებულსა და სიმონ კანანელს.

სიმონ კანანელი საქართველოში გარდაიცვალა და აქვე დაკრძალეს ანაკოფიაში. საქართველოში იყვნენ სხვა მქადაგებლებიც, მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში წმინდა ნ ი ნ ო ს მიუძღვის, რომელიც ქართულმა ეკლესიამ მოციქულთა სწორად შერაცხა, და მისი მოხსენიების დღედ 27 იანვარი და პირველი ივნისი დააწესა. წმინდა ნინო წარმოშობით კაბადოკიიდან იყო. წყაროებიდან დადასტურებულია, რომ ის წმინდა გიორგის გარე ბიძაშვილი იყო.

ნინო 12 წლის იყო, როდესაც მისი მამა ზაბილონი ბერად აღიკვეცა. ხოლო ნინო და დედამისი სუსანა იერუსალიმში ჩავიდნენ და იერუსალიმის პატრიარქს შეხვდნენ, რომელიც სუსანას ძმა იყო. (მისი სახელი უცნობია) ნინო მისმა ბიძამ აღსაზრდელად მიაბარა სარა

ნიათროს, რომელმაც ნინოს ქრისტეს რჯული შეასწავლა, ნინომ მისგან შეიტყო, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი სამოსელი (კვართი) წილად სკდათ ქართველებს, რომლებმაც იგი საქართველოში წაიღეს და მცხეთაში დაფლეს. ამის გაგების შემდეგ ნინო საქართველოში ჩამოდის, აქ ღვითის შეწევით იწყებს ავადმყოფების განკურნებას და ქრისტეს მცნების ქადაგებას. მისი სელებსმით ბევრი გაქრისტინდა. ქართლის მაშინდელი მეფე მირიანი მტრულად შეხვდა ახალ რელიგიას და ყველა ქრისტინის ამოხოცვას აპირებდა, მაგრამ მოხდა სასწაული. მას ნადირობისას ჩამოუღამდა და ტყიდან გზა ვედარ გამოიკვლია. იგი ბევრს ემუდარებოდა თავის ღმერთებს, მაგრამ უშედეგოდ. *☞*ხოლოდ მაშინ განათდა, როდესაც მირიანმა ნინოს მიერ ქადაგებულ ქრისტეს მიმართა თხოვნით. მის შემდეგ ქართლის მეფე მირიანმა იწამა ნინოს სარწმუნოება და თვითონ დაიწყო ბრუნვა ქრისტინობის საქართველოში გავრცელებისთვის. ეს მოხდა IV საუკუნის დასაწყისში. ქართული ეკლესიის მიერ საქართველოს გაქრისტინების თარიღად განსაზღვრულია 326 წელი. მის შემდეგ მეფე მირიანმა მიმართა რომის იმპერატორ კონსტანტინეს გამოეგზავნა სამღვდლოება ნათლილებისათვის. იმპერატორმა კონსტანტინემ გაითვალისწინა მირიან მეფის თხოვნა და გამოგზავნა ეპისკოპოსად იოანე. მეფე მირიანი მონათლა თავისი ოჯახითურთ და თავის ქვეშევრდომებსაც უბრძანა მონათლულიყვნენ. ქრისტინობა ქართლში მალე გავრცელდა, ამავე დროს ქრისტინობა სასელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ეგრიშიც.

ქრისტინობის შემოსვლით საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა კულტურულ რომს და დაშორდა ირანს. ქრისტინობა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. ამავე დროს იგი სელს უწყობდა მეფის სელისუფლების განმტკიცებას.

წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

XX - XXI საუკუნე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში აშენდა წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. 1988 წლის 24 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიმართა თბილისის

ადმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ანდრიაძეს თხოვნით, გამოეყო წმინდა სამების ტაძრის მშენებლობისათვის სათანადო ადგილი. საქალაქო საბჭოს ადმასრულებელი კომისიის განკარგულებით შეიქმნა ადგილი ელიას მთაზე. სწორედ პატრიარქის წამოწყებით მოხდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენება. თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის, შემოკლებით სამება, მთავარი მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძარია საქართველოში; მდებარეობს თბილისში, ელიას გორაზე, ავღლანბარში. აშენდა 1995–2004 წლებში არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავისა და ქრისტეს დაბადების 2000 წლის აღსანიშნავად ახალი საკათედრო ტაძრის აგების იდეა 1989 წელს გაჩნდა, პერიოდი, როდესაც საბჭოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობა მძლავრობდა. 1989 წლის მაისში, საქართველოს პატრიარქისა და თბილისის მთავრობის ხელმძღვანელობით გამოცხადდა კონკურსი „წმინდა სამების საკათედრო ტაძრის“ პროექტზე. პირველ ეტაპზე ასამდე პროექტი შემოვიდა, თუმცა გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. საბოლოოდ არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტი შეიქმნა. შემდგომმა სოციალურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა პროექტის განხორციელება ექვსი წლით დააყოვნა და საძირკველი ტაძრისთვის მხოლოდ 1995 წლის 23 ნოემბერს ჩაიყარა. ტაძრის მშენებლობა ძირითადად კერძო შემოწირულობებით დაფინანსდა. ტაძარი 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა. ტიპოლოგიურად წმიდა სამების ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია, რვა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარში მოხვედრა შესაძლებელია სამი მხრიდან – დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში დატანებული პორტალებიდან. ამთავან, მთავარი კარიბჭე დასავლეთ მკლავშია, რომელსაც გარედან ვრცელი გალერეა აკრავს. ტრიკონქის მკლავები გუმბათქვეშა სივრცესთან ერთად კათედრალის ერთიან მთავარ მოცულობას წარმოადგენს, რომელსაც მოხდენილად აგვირგვინებს მასიური გუმბათი. გუმბათის გარე რადიუსი 9.50 მეტრია. გუმბათის ყელს გარშემოსავლელი ბაქანი შემოუყვება. წმიდა სამების საკათედრო ტაძრის დასავლეთ ფასადზე სამი, სამნაკვანძო მკერილია, რომელთა პროპორციები მასიურს ქმნის ტაძრის საერთო მოცულობას. წმ. სამების საკათედრო ტაძრის სამხრეთი

და ჩრდილოეთ ფასადი ასევე საკმაოდ რთული კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. ტაძრის ფასადის მორთულობის მხრივ, აღმოსავლეთი ნაწილი ყველაზე მდიდრულადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ შუა შვერილზე თითქოსდა მიდგმულია მრავალნახნაგა აფსიდი.

ნეკრესი (IV სასუპუნე)

ნეკრესი, ისტორიული ქალაქი კახეთში, ახლანდელ ყვარლის რაიონში, სოფ. შილდის მახლობლად, მთის ფერდობზე. დააარსა მეფე ფარნაოზმა (ძვ. წ. II-I სს.). IV საუკუნეში მეფე თრდატმა აქ ააგო ეკლესია, სადაც VI საუკუნეში დამკვიდრდა ერთი ცამეც ასურელ მამათგანი - აბიბოსი (იხ. აბიბოს ნეკრესელი). მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო (იარსება XIX საუკუნამდე). ნეკრესს იმთავითვე მიეცა დიდი მნიშვნელობა; აქედან ვრცელდებოდა ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთზე. ნეკრესის საეპისკოპოსოს ეპარქიაში, შედიოდა არა მხოლოდ გაღმამხარი, არამედ დაღესტნის ნაწილიც (დიდოეთი). ნეკრესში განადგურებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ნეკრესელი მღვდელმთავრები (დოსითეოს ჩერქეზიშვილი, აბროსი მიქაძე, XVIII ს., პოეტ-ღიაკონი მოსე, XIX ს. და სხვა) იღვწოდნენ სამწერლო ასპარეზზე. ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ქართული სუროთმოდგურების რამდენიმე ძეგლს აერთიანებს, რომელთაგან IV საუკუნის II ნახევრის მცირე ზომის ბაზილიკა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში დღემდე მოღწეული ეკლესიათაგან. დიდი სამეკლესიანია ბაზილიკა VII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. იგი გარედან გეგმით სწორკუთხაა. მთავარი ეკლესიის საკურთხეველი სამნაწილიანია. გვერდითი ეკლესიები ცენტრალურზე მოკლეა. დასავლეთით მთავარი, სოლო ჩრდილოეთითა და სამხრეთით გვერდის შესასვლელებია. VIII-IX საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესია გეგმის თავისებურებით გამოირჩევა. გ. ჩუბინაშვილი, ვანნაძიანის ყველანაშინდის მსგავსად, სამეკლესიანია ბაზილიკის გუმბათოვან ვარიანტად მიიჩნევს. შუა კვადრატულ, გუმბათით დაგვირგვინებულ დარბაზს ერთი შვერილი - გარედან სუთნახნაგა და შიგნით ნალისებრი ფორმის აფსიდი აქვს. ეკლესიას 3 მხრიდან გარსშემოსავლელი ეკვრის. სამხრეთით და დასავლეთით ორ-ორთაღიანი შესასვლელებია. ეპისკოპოსის ორსართულიანი

სასახლისათვის (VIII-IX სს, ახლა ნანგრევებია) XVI საუკუნეში კომპი მიუშენებიათ. მონასტრის ტერიტორიაზე არის საცხოვრებელ და სამკურნეო შენობათა ნაშთები, მცირე სამლოცველოები და სხვა.

ღაპით გარეჯი (VI საუკუნე)

დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს გარე კახეთში. იგი გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კილომეტრის მანძილზე და დღესაც აცვიფრებს მნახველს სამშენებლო ხელოვნებისა და ფერწერის მაღალი მხატვრული ღირებულებით. მონასტერი VI საუკუნეში დაარსა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა - წმინდა დავით გარეჯელმა. წმიდა დავით გარეჯის მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმიდა დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ - დოდოს რქა, ხოლო ლუკინამ - ნათლისმცემლი. დავით გარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმიდა მამის - ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმიდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი წმიდა მეფის - დავით აღმაშენებლის ძემ - დემეტრემ (ავტორი საგალობელისა „შენ ხარ ვენახი“).

XI საუკუნეში გარეჯის მონასტერს სელჩუკები შემოესივნენ, რის გამოც შეფერხდა მისი განვითარება, თუმცა ცხოვრება აქ არ შენელებულა. გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI-XIII საუკუნეებში. დაარსდა ახალი მონასტრები - უდაბნო ბერთუბანი და ჩიჩხიტური, გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, რომელიც პატარა ხეობის ორივე კალთაზეა გაშენებული. მონასტერში, სადაც თავდაპირველად ბინა დაიდო წმიდა დავითმა, მოეწყო ტერასიანი ეზო, აშენდა ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში გაიჭრა წყალშემყვანი არხები და რეზერვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კედლის მხატვრობაც ეკლესიებსა და სატრაპეზოებში. უდაბნოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა გარეჯის სამხატვრო სკოლას, რომელმაც თავისი შემოქმედების მწვერვალს ბერთუბნის მოხატულობაში მიაღწია. გარეჯის ფრესკების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოებაც,

რომ მან შემოგვინახა ბევრი ისტორიული პირის პორტრეტი – წმიდა დავით აღმაშენებლისა – ნათლისმცემლის უდაბნოში, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის – ბერთუბანში, დიმიტრი თავდადებულისა და სხვა ქტიტორებისა – უდაბნოში.

XIII საუკუნეში მონღოლებმა გაძარცვეს და განადგურეს მონასტრები, ცეცხლს მისცეს ხელნაწერები და სიწმინდეები. შეწყდა ცხოვრება ბერთუბანში, აოხრდა ლავრის, დოდოს რქის და ნათლისმცემლის მონასტრები. XIV და XV საუკუნეთა მიჯნაზე თემურ ლენგმა ცეცხლითა და მახვილით დაარბია საქართველო. ქვეყნის დაკემა, ბუნებრივია, დავით გარეჯის მონასტრსაც შეეხო. როგორც ჩანს, ამ დროს შეწყდა მონასტრის სამხატვრო სკოლის არსებობაც. 1615 წელს შაჰ-აბასის ურდოებმა აღდგომა ღამეს 6000 ბერი ამონყვიცეს და მონასტერი გაძარცვეს. XVII საუკუნის ბოლოს მეფე თეიმურაზი და შემდეგ არჩილ მეფე ცდილობდნენ სამონასტრო ცხოვრების აღდგენას დავით-გარეჯში. ეს მხოლოდ 1690 წელს მოხერხდა, როცა მონასტრის წინამძღვრად დიბისი ონოფრე გარეკელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე) დაინიშნა. მისი ორმოცი წლის მოღვაწეობის შედეგად გარეჯის მონასტერს დაუბრუნდა დაკარგული მიწები, აიგო გალავნები, კარიბჭე და სატრაპეზოები. XVIII საუკუნის ხშირი თავდასხმების შედეგად, გარეჯის მონასტრის განვითარება თანდათან შესუსტდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი გაუკაცრიელდა, მხოლოდ ნათლისმცემლის მონასტერში შემორჩა რამდენიმე ბერი.

მცხეთის ჯვარი (VI საუკუნე)

მცხეთის ჯვარი 586/7 604/5 წწ. მცხეთის ჯვარი ქართული სუროთმოდევრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი. კავკასიის ქრისტიან ერთა უდიდესი სალოცავი და პილიგრიმობის ცენტრი იყო. მცხეთის წმინდა ჯვრის გუმბათიანი ტაძარი იმ ადგილასაა აგებული, სადაც I საუკუნის დასაწყისში ქართველთა განმანათლებელმა წმინდა ნინომ და პირველმა ქართველმა ქრისტიანმა, მეფე მირიანმა სის დიდი ჯვარი აღმართეს. ჯვრის რვანახნაგა კვარცხლბეკი დღემდე შემორჩენილია ეკლესიის შუაგულში. მცხეთის ჯვარი აგებულია VI-VII საუკუნეების

მიჯნაზე, ანგო ქართლის ერისთავმა სტეფანოზ პატრიარქოსმა. პირველი ქართული ეკლესიაა, რომლის ფასადთა გაფორმებაში ქანდაკოვან რელიეფს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სტეფანოზისა და მისი ოჯახის წევრთა (დემეტრე და ადარნესე ვიპატოსების) გამოსახულებები ქრისტოროთა სავედრებელი ნარჩერებით ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზეა მოთავსებული. გუმბათის ყელის წახნაგზე კი უცნობი პირის — შესაძლოა ხუროთმოძღვრის ფიგურა. ჯვრის ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე სამლოცველო წმინდა ჯვრის მცირე ტაძარი, VI საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. მცხეთის ჯვრის კომპლექსის სამი მხრიდან გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მცხეთის ისტორიული ძეგლები 1994 წლიდან შეტანილია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ კონვენციის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. რაც ადასტურებს ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მისი დაცვის აუცილებლობას. კაცობრიობის სასიკეთოდ ტაძრის ადგილი შემთხვევით არ შეუზღვეიათ — იქ იდგა ხის ჯვარი, რომელიც წმინდა ნინომ ორი საუკუნის წინ აღმართა. ჯვარს თავყვანს სტეპდნენ არა მარტო ქართველები, არამედ მთელი კავკასიიდან სალოცავად ჩამოსული მორწმუნენი. გუარამის მიერ აგებული მცირე ეკლესია უფრო და უფრო მეტ მლოცველს იზიდავდა, XVII–XVIII სს–ში, როცა საქართველოში გახშირდა მთიელთა შემოსევები, ჯვრის მონასტერს გალავანი შემოარტყეს. ჩვენს დრომდე შემორჩა მისი ფრაგმენტები და ზღუდეში ჩართული ნახევრად დანგრეული კოშკები. 1997–1998 წლებში გალავანი ნაწილობრივ აღადგინეს. ჯვრის ტაძრის სამხრეთით, მთის კალთის დახლოებით შუაში, იმ ადგილას, სადაც მატიანეების ცნობით ერთხანს თავს აფარებდა წმ. ნინო, არის ადრექრისტიანული ხანის პატარა ნახევრად დანგრეული დარბაზული სამლოცველო. ის მთლიანად დაფარულია ხეებით და შორიდან არ ჩანს. შენობის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან არის წყარო. მცხეთის ჯვარმა მრავალ სხვა ძეგლზე უკეთ გადაიტანა ჟამთა სიავე. იგი არაერთხელ დაზინდა, არაბებმა გაღწვეს კიდეც, მაგრამ, საბედნიეროდ, გადაარჩა. დროთა განმავლობაში ზოგი რამის აღდგენა მოუხდათ, თუმცა ამას ჯვრის პირვანდელ სახეზე გავლენა არ მოუხდენია.

1989 წლის იანვრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჯვრის მონასტერში აღდგა დვთისმსახურება. ტაძრის წინამძღვრად განაწესეს დეკანოზი ანტონ ხანთაძე. საბჭოურ პერიოდში

მონასტრის მახლობლად სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს პიონერთა ბანაკი იყო განთავსებული. 1992 წელს დეკანოზ ანტონის (ხანთაძე) ძალისხმევით სანატორიუმის შენობები მონასტრის დაქვემდებარებაში გადმოვიდა. დღეს აქ მონასტრის სენაკებია მოწყობილი. ტაძრის ცენტრში შემოინახა ხის ჯვრის დაბალი ოქტოგონალური კვარცხლბეკი. 1995 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა დაიწყო ჯვრის დამზადება. კვიპაროსის ხისგან გამზადდა 4 მ. სიმაღლისა და 400 კგ. წონის ჯვარი, რომელზეც სახარების 13 სცენა გამოისახა. ჯვარი შეიმკო კვარცხლის ფირფიტებითა და ბუნებრივი ქვებით. საგანგებოდ გაკეთებულ სათავსში ჩასვვენეს ბეთლემში მოღვაწე მღვდელმონაზონ ანტონის მიერ დამზადებული მკირე ზომის ჯვარი, რომელშიც მაცხოვრის ფეხებთან ამოკვეთილ დიობში ჩაბრძანებულია იმ ცხოვემღვთეული ჯვრის მკირე ნაწილი, რომელზეც ეწო იესო ქრისტე.

1996 წლის 20 აპრილს მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძრიდან მცხეთის ჯვრის მონასტერში გადააბრძანეს. მსუღელლობა დილის 8 საათზე დაიწყო, გადაკვეთა მთელი ქალაქი და მცხეთის გზას დაადგა. პროცესიას მიუძღოდა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ფანუაშვილი). 21 აპრილს ჯვარი მცხეთის ჯვრის ტაძარში, სწორედ იმ კვარცხლბეკზე აღმართეს, რომელზეც შუა საუკუნეებამდე მეფე მირიანის დროინდელი ჯვარი იყო შემორჩენილი. ამავე დღეს ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ხირსის მამათა მონასტერი (VI საუკუნე)

ხირსის მონასტერი მდებარეობს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბანში, სიღნაღიდან აღმოსავლეთით 11 კმ-ის დაშორებით. მონასტერი VI საუკუნეში დააარსა დიროსმა სტეფანემ (552-557წ.წ.), რომლის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებენ. ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ხირსის მონასტერზე წერს: 'კვლად ხორნანუჯის ჩრდილოთ არის ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13

მამათაგანმან წმიდა სტეფანემ, დიდ კეთილ-შენი. დათლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღვარი“.

ღირსი სტეფანე ერთი იმ ცამეტ ასურელ მამათაგანია, რომელთაც VI საუკუნის II ნახევარში საქართველოში შემოსულებმა თავიანთი მგზნებარე ქადაგებით, ფიცხელი მოსაგრეობითა და თავგანწირული შრომით ჩააქრეს ჩვენში ზოროსტრის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტი, დააარსეს უდაბურ და მიუდგომელ ადგილებში ღირსად საქები მონასტრები და სულიერად განანათლეს ჩვენი ქვეყანა. მათივე დაუცხრომელი ენერგიის წყალობით გაბრწყინდა ჩვენში მონაზვნობა, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს საქართველოში ქრისტიანობის დამყარებისა და დაცვის, კავკასიის მთიელთა შორის მისი გავრცელების, აგრეთვე ჩვენი სასულიერო მწერლობის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში. ღირსმა სტეფანემ თავისი მრავალჭირნახული დვანლისათვის შეარჩია ცივგომბორის ქედზე მცირე ფერდი, რომელიც იმ დროს დათარული იყო უსიერი ტყით. აქ მან ააშენა თავისი ზეციური მფარველის წმ. პირველმონაშე სტეფანეს სახელზე მცირე ეკლესია, რომელიც, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, კახეთის მეფე კვირიკე I-ის (893-918) შრომით შეცვლილა საკმაოდ მოზრდილი ტაძრით. სახელ „სირსის“ წარმომავლობა უცნობია. ზოგს ის გამოჰყვავს ქართული სიტყვიდან „ღირსი“. ზოგნი კი მას უკავშირებენ მონასტრის ახლოს გამომავალ მდინარე სირსას, რომელიც იმ დროს, როდესაც გარშემო მთები დათარული იყო სშირი ტყით, საკმაოდ წყალუხვი ყოფილა. თუმცა ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მდინარეს შეეძლო მიედო სახელი მონასტრისგან. არსებობს ვარაუდიც, რომ სახელი „სირსა“ შესაძლოა თვით ღირს სტეფანეს შემოეტანა მცირე აზიიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი განმარტებული მოსაგრეობის ადგილისთვის. სირსის მონასტერი აგებულია ქართული სტილით.

ტაძრის სიგრძე მადლდასაჯდომლიდან დასავლეთის კარიბჭემდე დაახლოებით 41,3 მეტრია, სიგანე - 23,4 მეტრი, ხოლო სიმაღლე ლავარდანამდე - 15,4 მეტრი. ტაძარი გვირგვინდება მადალი კონუსის მსგავსი გუმბათით. შემოსასვლელი კარი ორი აქვს - დასავლეთიდან და სამხრეთიდან, რომელიც ჯერ წმ. ნიკოლოზის ეკვდერისკენ მიემართება, ხოლო იქიდან - მთავარ ტაძარში. მთავარი საკურთხევლის მარჯვნივ, სამხრეთით არის კამარინი ეკვდერი დვთისმშობლის მიძინების სახელზე, მარცხნივ კი, ჩრდილოეთით მეორე

ეკვდერია, რომლის შესასვლელშიც არის სამარხი ღირსი სტეფანე ხირსელისა. აღნიშნულის გარდა, ცაძრის სამხრეთ-დასავლეთით არის წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ეკვდერიც, რომელსაც გარედან, მღვდელმონაზონ ფილადელფოს კიენაძის მიერ, მიდგმული აქვს პატარა ოთახი ღამისმთეველთათვის.

მონასტერი მრავალჯერ აღუდგენიათ. როგორც მართლმადიდებლების მონინავე ბურჯი, იგი ხშირად დარბეულა სარწმუნოების მტერთაგან, მაგრამ საქართველოს კეთილმოღონე გვირგვინოსნები ზრუნავდნენ მის აღდგენა-აშენებაზე, რის, წყალობითაც ამ ჭაღარა ცაძრმა, რომელიც თოთხმეტი საუკუნე განანათლებდა გარშემო მართლმადიდებელ მოსახლეობას, ჩვენამდე მოაღწია. 1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ხირსის სტეფანწმინდა ქართლ-კახეთის ერთ-ერთი მონასტერთაგანი იყო, რომელშიც აღესრულებოდა დეთისმსახურება. XIX ს-ის დასაწყისისთვის წმ. სტეფანეს ცაძარი ნგრევის პირას იყო მისული. იგი კაპიტალურად გარემონტდა 1822 წელს, ეგზარქოს იოანეს (1821-1832) დროს. ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდა ფილადელფოს კიენაძე (1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე).

მონასტრის დასავლეთით აღმართულია საკმაოდ მაღალი გალავანი, რომელიც პლ. იოსელიანის მოწმობით, კახეთის მეფე ლეონს შეუკეთებია. ხირსის მონასტრის დასავლეთით მდებარეობს სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც იღუმენ ალექსანდრეს (საყვარელიძე) აუგია საკუთარი სახსრებით XIX ს-ში. მონასტრის ცაძარს ადრე თავისი გალავანი ჰქონია, რომლისგანაც ამჟამად მცირე ნაშთებია დარჩენილი. მონასტრის ეზოში მდებარეობს საეკლესიო-სამრეკლო სკოლის შენობა და მარანი, რომელიც არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე, 1893-1897) დროსაა აგებული. აქვეა ბერების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ხირსის მონასტერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიონერული ცენტრი იყო. მისი მესვეურნი დაუდალავად იღვწოდნენ ქრისტიანობის გავრცელებლად დაღესტანში, ოსეთში, ინგუშეთში, ასტრახანში, დერბენტში და სსხვ. ამ მონასტრის წინამძღვართაგან სამისიონერო სარბიელზე განსაკუთრებით იღვანა წმ. იოანე მანგლელმა (საკაძე, 1751), რომლის წმინდა ნაწილების თბილისის სიონის საკათედრო ცაძარში განისვენებენ. ხირსის მონასტერში XX ს-ის დასაწყისამდე შემორჩენილი იყო ერთი ძველი ქართული ჩვეულება - აღთქმის მიხედვით, ირგვლივ

მოსახლე მამაკაცები მონასტერს თავის ფიზიკურ შრომას სწირავდნენ, ე.ი. მოდიოდნენ მონასტერში და მუშაობდნენ უსასყიდლოდ რამდენიმე თვე, საკუთარი ადოქმის პირობაზე. მონასტერი კი ამ უფასო მუშებს მხოლოდ საკვებს და ქალამნებს აძლევდა. მონასტრისათვის შრომის უსასყიდლოდ შემწირველ მუშას „კურატი“ ეწოდებოდა. როდესაც კურატი დროს დაასრულებდა, სთხოვდა პარაკლისის გადახდას მღვდელმონაზონს და შინ ბრუნდებოდა. მონასტრის საუკეთესო სამკაულს წამოადგენდა მისი უძველესი სინმინდე – წმ. პირველმონაშე სტეფანეს ნეკნი, რომელიც, სავარაუდოდ, თვით ღირს სტეფანეს წამოუბრძანებია. დღეისათვის წმ. სტეფანეს ნეკნი ბოდბის დედათა მონასტერშია დაბრძანებული.

მონასტერში ღვთისმსახურება საბჭოთა ხელისუფლების დამცარების შემდეგ შეწყდა. საბჭოთა წყობის წლებში წმ. სტეფანეს ტაძარი საწყობად იყო გამოყენებული. ბერების საცხოვრებელ ორსართულიან სახლში კი მუსიკალური სკოლა ფუნქციონირებდა. მონასტერი განახლდა XX ს-ის 90-იან წლებში. 2005 წლის ნოემბრიდან მონასტრის წინამძღვარია მღვდელმონაზონი ლაზარე (გრძელიძევილი). მისი ძალისხმევით დაიწყო მონასტრის ტერიტორიის მოწესრიგება. 2002 წლის გაზაფხულზე განახლდა წმ. ნიკოლოზის ეკვდერი. 2004 წლისათვის წმ. სტეფანე პირველმონაშის ტაძარს კიდევ ორი მოქმედი ეკვდერი შეემატა – ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. სტეფანე ხირსელისა. გარდა ამისა, ტაძარი გაინმინდა, გამაგრდა საკუროთხევლის კედელი (რომელიც დანგრევის პირას იყო მისული), ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები. სამომავლოდ დაგეგმილია ტაძრის სახურავის განახლება და კედლების გამაგრება. რესტავრაციას საჭიროებს ტაძრის შიდა კედლები, გავის სქელი ფენის ქვეშ შესაძლოა ფრესკების ნაშთი იყოს შემორჩენილი. მონასტერს აქვს მცირე მეურნეობა.

ატენის სიონი VII საუკუნე

ძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში ატენის სიონი ქალაქი გორიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს სოფელ ატენში VII ს. I ნახევარშია აგებული. იგი

მდინარე ატენთან ახლოს ფრიალო კლდის საგანგებო საყრდენი კედლით გამაგრებულ ბაქანზეა აღმართული და მთელი ხეობის სამშენის ნარმოადგენს.

ატენის ხეობა, ატენის ხევი კი მდინარე ტანის აუზს მოიცავს, რომლის შემადგენლობაში ადრე მდინარე თემის ხეობაც შედიოდა. ხეობა უძველესი დროიდანვე ყოფილა დასახლებული, სოლო იბერიის სამეფოს ნარმოქმნის შემდეგ იგი სპასპეტის საგამგეოში შედიოდა. იგი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად – „ტანის ხევის“ სახელით უკვე IV–VII სს-ებში იყო ცნობილი, რომლის ცენტრი – ატენის ციხე, X ს-ში აფხაზთა მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია და საყრდენი პუნქტი გახლდათ ქართლის შემოერთებისათვის ბრძოლაში. ქვეყნისათვის ატენის ხეობის დიდი მნიშვნელობისა და მისი სამეურნეო-კულტურული განვითარების მიმანიშნებელია აქ არსებული ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრეები – ვერის ციხე, ატენის, იგივე საცივის, იგივე ორბელიანის ციხე... ეკლესიები – ატენის სიონი, სიონის პირისპირ... დანსვისის მთის ძირს მონასტერი კეთილშუენიერი ყოვლადმთისა, და სსვ. მათგან აგების თარიღისა და თავისი დიდი მნიშვნელობის მიხედვით უპირველესია ატენის სიონის სახელზე აგებული ტაძარი. ატენის სიონი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარია სიმაღლე 22 მ და თითქმის იმეორებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურულ გეგმასა და ფორმებს, თუმცა რამდენადმე შეცვლილი პროპორციებით კომპონციური ბირთვია გუმბათქვეშა კვადრატი. მასზე აღმართულია სფერული გუმბათის რვანახნაგა, ოთხსარკმლიანი ყელი. ტაძარი ნაგებია მომწვანო-მონაცრისფრო ქვიშაქვის თლილი კვადრატებით. ტაძარში შესასვლელი სამხრეთით და ჩრდილოეთითაა. საკურთხეველი იატაკიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხეველში აღმოსავლეთ აფსიდის შუა სარკმლის ქვეშ დგას წმიდა ტრაპეზი, რომლის ორივე მხარეს დასაჯდომი საფეხურებია დვთისმასხურებისათვის.

ტაძრის ფსადებს ამკობს რელიეფები, სარკმელთა ჩუქურთმიანი თავსართები, თუმცა მხატვრულ-კომპონციურად ატენის რელიეფი ბევრად ჩამოუვარდება მცხეთის ჯვრის რელიეფს. სტილისტური ანალიზი კი ცხადყოფს, რომ რელიეფები სხვადასხვა დროს არის შექმნილი. ნაწილი ტაძრის აშენების თანადართულია, უმეტესობა კი X ს. II ნახევარს განეკუთვნება. საკურთხეველში სამი სარკმელია, სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებში – თითო,

ხოლო რვანაწინაგა კამარით გადასურულ სამკვეთლოში – ორი. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დროის ქართული ასომთავრული უნიკალური წარწერები და მინაწერები, რომლებშიც მოხსენიებულია არიან სხვადასხვა ისტორიული პირები, – ქართლის გამგებელ ბაგრატიონთა თუ სხვა პირთა ვინაობისა და მოღვაწეობის თარიღების მინიშნებით. გამოვლენილ წარწერთაგან უძველესი VIII ს. პირველი ნახევრით თარიღდება, არის IX და X საუკუნეთა წარწერებიც. ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელია ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა, იგი შედარებით გვიანი დროისაა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ეკლესიის მთელი ინტერიერის მოხატვა XI საუკუნიდან ხდება სავალდებულო. ამ დროიდანვე იწყება ძველი ტაძრების ხელახალი მოხატვაც. ატენის სიონიც ამგვარ ტაძართა რიცხვს განეკუთვნება. ახალი მოხატულობის შემქმნელებს ტაძრის თავდაპირველი დეკორის ჩინებული ბათქაში გამოუყენებიათ და ქართული მონუმენტური მხატვრობისათვის ტრადიციული “შშრალი” ხერხით უხატიათ მასზე. მოხატულობის შესრულების დრო XI ს. II ნახევრით არის განსაზღვრული. ატენის მოხატულობის პროგრამა, რომელიც მთლიანად საქართველოსათვის ტრადიციულ იკონოგრაფიას მისდევს, განისაზღვრებოდა იმითაც, რომ ტაძარი დვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისადმი იყო მიძღვნილი: დვთისმშობლის სახეს მთავარი ადგილი უჭირავს, მისი ცხოვრების ფრაგმენტები კი სკენების ვრცელი ციკლით არის წარმოდგენილი. ამავე დროს მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ტაძრის მოხატვაზე რამდენიმე ხატმწერს უმუშავია, რომელთა მიერ შესრულებული მხატვრობის ნაწილი მოგვიანებით, XIII ს. დასასრულს ერთობ ოსტატურად განუახლებიათ (დასავლეთი აფსიდი), უფრო გვიანდელ განახლებათა კვალიც (XV ს.) შეიმჩნევა ტაძრის სხვადასხვა ნაწილში. ტაძრის მხატვრობა (რელიგიური სიუჟეტები, ქართველ მეფეთა და ადგილობრივ ფეოდალთა ფრესკები) მკაფიოდ ეროვნული ხასიათისაა. კომპოზიციითა მხატვრული განაზრების, პერსონაჟთა სხეულისა და სახის ნატიფი მოდელირების, არტისტული გამომსახველობისა და უღერადი კოლორიტის გამო იგი ქართული მონუმენტური ფერწერის საეცაპო ნაწარმოებად ითვლება.

XX ს. 20-იან წლებიდან დვთისმსახურებითვის გამოკეტილ უძველეს ეკლესიას, თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, მკვლევარ-მეცნიერთა ყურადღება არ აკლდა. ტაძარს მთელი ამ ხნის

მანძილზე საფუძვლიანი შესწავლის მიზნით სშირად სტუმრობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციები. სოლო 70-იანი წლებიდან ინტენსიური სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა - ტაძრის ფასადების ქვედა მონაკვეთის, გუმბათის სასურავის, მხატვრობის გამაგრება-შენარჩუნების მიზნით. ღვთის შეწევნით, ატენის სიონში ღვთისმსახურება დღეისათვის კვლავ აღესრულება.

ზედაზნი (VII-VIII საუკუნე)

ზედაზნის მონასტერი ასურელი მამა იოანე ზედაზნელის მიერ არის დაარსებული, - ქართული სუროთმოდვებების ძეგლია, მცხეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედზე მდებარეობს. (13 ასურელი მამასთან ერთად - ანტონ მარტყოფელი,) XIX საუკუნეში ზედაზნის მონასტერში მოღვაწე ერთ-ერთ ქართველ მწიგნობრის მიქაელ წინამძღვრის ინიციატივით დაიწერა იოანე ზედაზნელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია. სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ააშენა კათალიკოსმა VIII საუკუნის დასასრულს (ადრინდელი დარბაზული ეკლესიის ადგილას). გეგმით კვადრატული ბაზილიკის შუა ნაგი ვიწრო და მადლია. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. შესასვლელი სამხრეთიდანაა (დასავლეთი შესასვლელი გვიანდელია). სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაგები მთავარ ნავს აგურის თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესია, რომლის გეგმით სწორკუთხა აფსიდა გადასურულია კონუსურ ტრომპებზე დაყრდნობილი ნალისებრი კონქრით. საკურთხეველი აქ ოთხი საფეხურიითაა ამაღლებული.

იოანე ზედაზნელის ქვის კუბო (იგი XVII საუკუნეში უნდა იყოს გაკეთებული), „ვატიოსანი ლუსკუმა“, ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი ჩრდილოეთ ნავის დასავლეთ ნაწილში წყლის აუზია. სამხრეთ ნავი ორი ნაწილისაგან შედგება, ეკლესიაში შესასვლელი მთავარი ნავიდანაა (ადრე კი დასავლეთიდან იყო). ძეგლი ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ნაწილობრივ აგურით.

გვხვდება შირიმის ქვაც. ფასადები მარტივად და სადად არის გადაწყვეტილი, სარკმლები განლაგებულია ასიმეტრულად. მთავარი ნავის სარკმელი მორთულია “განედლებული” ჯვრის რელიეფით. ფასადზე ჯვრის მარტივი გამოსახულებაცაა. ეკლესიას სამხრეთით ეკვრის თლილი ქვით მოპირკეთებული, ცილინდრულ-კამარინი კვადრატული კარიბჭე, რომლის ორფერდა სახურავზე აგურით ნაგები თაღებით ოთხმხრივ გახსნილი რვანახნავა სამრეკლო დგას, მის დასავლეთით გამოყოფილია მცირე სენაკი (ორივე XVIII საუკუნე). ბედაზნის მონასტერი რამდენჯერმე შეკეთდა. 1970-1971 წლებში ნატარდა სარესტავრაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

კახთუბნის მონასტერი

VIII-XI ს.ს.

XX საუკუნის დასაწყისისთვის ქართლ-კახეთში ცნობილი იყო სამი წმინდა ადგილი, რომლებიც ჩვილბავშვიან დედებს მფარველობდა. ერთი თბილისის ახლოს, უძოს მთაზე მდებარე ეკლესია გახლდათ, მეორე – წყარო მცხეთის ჯვრისაკენ მიმავალ გზაზე, მესამე კი – კახთუბნის მონასტერი. ეს მონასტერი დვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და გურჯაანის სამხრეთით, ქალაქიდან სამი კილომეტრის მოშორებით, კახთუბნის ხევის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

VIII-IX საუკუნეებში აგებული ტაძარი XVII საუკუნეში აღუდგენიათ. სწორედ ამ სახით მოაღწია მან ჩვენამდე. კახთუბნის ხევის, მონასტრის სახელის გავლენით, ყოვლადწმიდის ხევისაც ეძახიან. ამბავი, რომელიც 1878 წელს ჩაუწერია სოფლის მცხოვრებთაგან ლეო-მელიქსეთ-ბეგს, იმ მიზეზზე გვიამბობს, რომლის გამოც რძინაკლული დედები დღემდე სასოებით მოდიან ტაძრის მოსალოცად და დვთის დიდი მოწყალებით განკურნებულნი ბრუნდებიან. ძველად, როცა კახთუბანში სამონასტრო ცხოვრება ჩქიფებდა, აქი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მლოცველები, რათა თავყვანი ეცათ დვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისათვის. ერთხელ მაცნემ ამბავი მოიტანა, მტრის რაზმი გვიახლოვდებოდა. ტაძარში მყოფმა მრევლმა და ბერებმა სამალავებს შეაფარეს თავი. შემთხვევით გარეთ დარჩნა მხოლოდ ქალი, რომელიც ჩვილს ძუძუს აწოვებდა. მტერი მონასტერს უახლოვდებოდა. ბედკრულმა დედამ აქეთ-იქით დაიწყო სიბრბილი. უეცრად ტაძრის კედელი გაიხსნა და

ქალი დამალა. მალე დედამ იგრძნო, რომ რძე ეღვრებოდა. რძემ კედელი დაასველა და გარეთ გამოუონა. ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე დღემდე ჩანს თეთრი ლაქები. მონასტრის თავდაპირველი მფლობელის ვინაობა ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასაწყისში იგი ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ. ბრძოლაში, რომელსაც მეფე თეიმურაზ I დიდოელთა წინააღმდეგ აწარმოებდა, დაიღუპა უშვილო თავადი ჯანო ანდრონიკაშვილი. მისი კუთვნილი მამულები კახეთის მონასტრითურთ თეიმურაზმა ერთგულ თავადს, მართლმადიდებლობისთვის თავდადებულ მეზობლის ბაქარია აღავერდელის ძმას ნოდარ ჯორჯაძეს უწყალობა. ამის შემდეგ მონასტერმა სახე იცვალა. ახალმა პატრონმა სავანე აღადგინა, მოახატვინა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი შესწირა. თვითონ ნოდარ ჯორჯაძე შთამომავლობითურთ კახეთის მონასტერში განისვენებს. შემორჩენილია სამი საფლავის ქვა. ერთი თავად როსტომ ჯორჯაძეს (1832 წ.) ეკუთვნის. დანარჩენ ორზე წარწერები არ იკითხება. ტაძარში, როგორც ზემოთაც ვთქვით, დავანებული ყოფილა ივერთა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომლის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1889 წელს წერდა: „დახატულია კაკალბედა, მთლად მშვენივრად დანაქაზებული ოქროში ზის. იმდენი ოქრო აქვს ამ ხატს, რომ სიმძიმით თითქმის ათ გირვანქაზე მეტი იქნება. ეს ხატი სიმაღლით ათი გოჯი იქნება, სიგანით – შვიდი“. ამ ხატის შესახებ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს დეკანოზი პოლიექსიტოსი (კარბელაშვილი, 1937 წ.).

1615 წლის შემოდგომაზე ხმა გავარდა, შაჰ-აბასის ლაშქარი კახეთისკენ მოემართებოდა. კახეთის მონასტრის წინამძღვარმა მამა იოანემ ბერები შეკრიბა. მამებმა გადაწყვიტეს, მონასტერი არ მიეტოვებინათ, ხოლო სინმინდებები მიწისქვეშა საცავებში გადაემაღათ. იმ დამეს მამა იოანეს ღვთისმშობელი ეჩვენა და უბრძანა, სასწაულთმოქმედი ხატი კახეთიდან ერთი კილომეტრის მოშორებით, წამებულის მონასტრის წმინდა გიორგის ტაძრის სვეტში დაემაღლათ. ბერებმა მეორე დილითვე აღასრულეს დედა ღვთისას ნება. ცეცხლითა და მასვილით შემოიჭრა კახეთში შაჰ-აბასი. მრავალი მონასტერი სამუდამოდ დაცარიელდა და დაინგრა. დარბევას ვერც კახეთის მონასტერი გადაურჩა.

200 წლის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, მონასტერში მცირერიცხოვანი საძმო მოღვაწეობდა იღუმენ განბრიელის

წინამძღვრობით. ბერები დიდხანს ეძებდნენ ხატს მონასტრის საფლავებში, მაგრამ უშედეგოდ. ერთ დამეს იღუმენს ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და უბრძანა, ამა და ამ ადგილას ვარ დატყვევებული და გამომიყვანეთო. იღუმენმა მეორე დღესვე დაიბარა ვეკინის ამაღლების მონასტრის წინამძღვარი იოსტოსი (ერისკაცობაში – თავადი ანდრონიკაშვილი, 1823 წ.), გურჯაანის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარი მამა აბრაამი (დემუროვი) და სამღვდელოებისა და მრავალრიცხოვანი მრევლის თანხლებით წამებულის მონასტრისკენ გაემართა. ტაძრის შიდა სვეტს ჩრდილოეთიდან მიადგეს კიბე, გამოიღეს აგურები, ამოაბრუნეს ღვთისმშობლის ხატი და საზეიმო სულით გადააბრძანეს კახთუბნის მონასტერში. მონასტერი დაცარიელდა 1845 წელს, როცა ბერები იქვე ახლოს მდებარე ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. წელიწადში ორჯერ – ღვთისმშობლის მიძინების დღესა და ტაძრის დღესასწაულზე (ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს) – ღვთისმშობლის ხატს საზეიმოდ მიაბრძანებდნენ კახთუბანში, სადაც უამრავი მლოცველი მიდიოდა ხატის თავყვანსაცემად.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან ამ ტაძრებში ღვთისმშობლს შეწყდა. ჩვენ შევეცადეთ, მივყოლოდით ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის კვალს და მისი დღევანდელი ადგილსამყოფელი დაგვედგინა. როგორც ირკვევა, XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც ბოლშევიკებმა ტაძრების ძარცვა-რბევა დაიწყეს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად მცხოვრებმა ერთ-ერთმა ოჯახმა ტაძრის ხატებისა და სინძინდების ნაწილი შესანახად წაიღო. შერე, როცა განსაცდელმა ჩაიარა, გადავწყვიტეთ, რომ უკვე შეიძლებოდა, სინძინდები ტაძარში დაგვებრუნებინა. ასე რომ, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები, დაფარები და შანდლები ძველ ადგილას დავაბრძანეთ. შინ დავიტოვეთ მხოლოდ ერთი ხატი. იმ დროისათვის ტაძრის შემოგარენი ღრეობისა და გართობის ადგილად იყო ქაშვეთი. ორიოდე წლის შემდეგ ერთ-ერთ ხატზე ნატყვიარი განწდა, ხოლო რამდენიმე დღეში ხატები საერთოდ გაქრა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ხატებიდან ერთ-ერთი ღვთისმშობლისა იყო. აღწერილობით, ის ძალზე წაავაჟს მონასტრის ცნობილ სასწაულთმოქმედ ხატს და შესაძლებელია სწორედ ის იყოს. იმედს ვიტოვებთ, რომ ხატს დღემდე ინახავს რომელიმე მორწმუნე ოჯახი, რომ დედა ღვთისა კვლავ ინებებს გამოჩენას და ღვთის დიდი მოწყალებით კვლავაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღასრულებს.

კახთუბნის მონასტრის ტაძარი წარმოადგენს ორგუმბათიან ბაზილიკას და მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. სანტერესოა, რომ სხვა ორგუმბათოვანი ტაძრებიც – მსოფლიო არქიტექტურის იშვიათი ნიმუშები – დაახლოებით ამავე პერიოდით თარიღდება, თუმცა ასეთი ტოლფასი გუმბათები სხვაგან არსად გვხვდება. ტაძრის სამხრეთით, შესასვლელის პირდაპირ, მიწის ქვეშ, ყოფილა კამაროვანი ოთახი, საიდნაეც, მოსახლეობის გადმოცემით, ვეკინის ამაღლების მონასტერში მიმავალი გვირაბი იწყებოდა. სხვა ვერსიით, გვირაბი ჩადიოდა ხევში, წყაროსთან.

ალაგმრდის ტაძარი X-XI ს.ს.

კავკასიონს, გომბორის ქედსა და გარეკახეთის ზეგანს შორის მდებარეობს ველი, რომელსაც დღეს ალაზნის ველი ეწოდება. „ალაზნის დასავლეთით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო. „ალავერდი“. თურქულ-არაბული წარმოშობის სიტყვაა და „ღვთისგან ნაბოძებს“ ნიშნავს. ეს ცნება ნაყოფიერებასა და მოსავალთან იყო დაკავშირებული, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ (მათ შორის საქართველოში), ეს სახელი დღესაც ჰქვია რამდენიმე დასახლებულ ადგილს. მათ შორისაა კახეთში, ალაზნის ველზე, მდებარე სოფელიც. სხვა მეცნიერთა ვერსიით, სწორედ მან მისცა სახელი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ მართლმადიდებლურ ცენტს – ალავერდის სამონასტრო კომპლექსს.

VI საუკუნეში წმინდა იოანე ზედაზნელის კურთხევით ერთ-ერთი ასურელი მამა, იოსები, კახეთის სხვადასხვა კუთხეში ქადაგებდა. ბოლოს იგი სოფელ ალავერდის ახლოს დაამკვიდრა. ერთხელ თურმე წმინდა მამა სანადიროდ გამოსულ კახელ თავადს შესვდა და ღვთის სიტყვა უქადაგა. ქრისტეს სჯულს ნაზიარები დიდებულის დახმარებით მამა იოსებს წმინდა გიორგის სახელზე პატარა ეკლესია აუშენებია. წმინდა მამასთან სიასლოვის სურვილით აქ ბევრი მორწმუნე დასახლებულა. როცა იოსებ ალავერდეელი გარდაიცვალა, მონაფეებმა იგი მის მიერვე აშენებულ ტაძარში დაკრძალეს. დროთა განმავლობაში

აქ მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ჩამოყალიბდა.

X საუკუნეში დაწყებულ ქართულ სამთავროთა გაერთიანების ძირითადი ღერძი მართლმადიდებლობა იყო. ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თითქმის ერთდროულად დაიწყო დიდი საკათედრო ტაძრების მშენებლობა. X-XI საუკუნეების მიჯნაზე, 50 წლის განმავლობაში, აიგო ბუდიის ტაძარი აფხაზეთში, ბაგრატიის ტაძარი - ქუთაისში, სვეტიცხოველი - მცხეთაში, ოძკი - ტაო-კლარჯეთში და ალავერდის ახალი დიდი ტაძარი - კახეთში. ალავერდის ახალი საკათედრო ტაძარი იოსებ ალავერდელის პატარა ეკლესიის ადგილას კვირიკე კახთა მეფეს XI საუკუნის დასაწყისში აუგია. ალავერდი იმთავითვე კახეთის მთავარ სალოცავად იქცა. ამავე პერიოდში აქ შეიქმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქია საქართველოში. მასში შედიოდა ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მერე, კაკბეთი, ვარდისუბანი, არბუსი, დანუსი, ჩიბინიანი, ალავერდული, ახატული, იყალთო. კახეთის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ალავერდის საეპისკოპოსო სრულიად საქართველოს ერთიან ეკლესიას დაუქვემდებარა. ალავერდის საეპო მამულთა უძრავლესობა ტაძრის ირგვლივ მდებარეობდა. ალავერდელი ეპისკოპოსები მონასტრის წინამძღვრადაც ითვლებოდნენ და ამიტომ ამბავს წოდებასაც ატარებდნენ. XVI საუკუნიდან ალავერდელმა ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტის ტიტული მიიღეს. ალავერდის ტაძარი მრავალჯერ დაზიანდა მომხდურთაგან. მისი პირველი დიდი რესტავრაცია ალექსანდრე კახთა მეფის დროს, XV საუკუნეში, მომხდარა. ამ დროს თავიდან აუშენებიათ ჩამოქცეული გუმბათის ყელი და კედლების ნაწილები. თავდაპირველად ტაძარი უფრო დაბალი ყოფილა, აღმდგენელ ხუროთმოძღვარს კი მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მაღალი გუმბათი დაუშენებია, რის გამოც ალავერდის ტაძარი ყველაზე მაღალი ნაგებობა გახდა საქართველოში მისი სიმაღლე 50 მეტრია. მეფე ალექსანდრეს ტაძრისათვის უხვად შეუწირავს ყმები და მამულები. 1616 წელს ალავერდი დაარბია შაჰ-აბას I-მა. შაჰ-აბას II-ის მიერ ჩამოსახლებულმა თურქმანთა მომთაბარე ტომებმა კი მისი მამულები საძოვრებად გადააქციეს. 1659 წლის აჯანყების შემდეგ კახეთი თურქმანებისგან გათავისუფლდა, მაგრამ ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ საეპისკოპოსო მხოლოდ საუკუნის ბოლოს აღდგა. ამის შემდეგ ტაძარი ჯერ ლეკებმა დაარბიეს, ხოლო 1735 წელს კი თამაზ-ხანმა ააოხრა.

ბოდბის მონასტერი

წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც დაკრძალულია წმიდა ნინო გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ აქ განისვენებს ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო. დაბა „ბოდბისი“ უფალმა ჯერ კიდევ წმიდა ნინოს სიცოცხლეში განადიდა, როგორც მისი სათნოყოფელის მომავალი განსასვენებელი. და იმ დროიდან მოყოლებული წმიდა ნინოს საფლავი მადლისა და კურნების ცხოველ წყაროდ იქცა ქართველი ერისათვის. 14 წლის იყო წმიდა ნინო, როცა ღვთისმშობლის ბრძანებით მისი წილხვედრი ქვეყნისკენ გამოემართა. აქ მან მრავალი ცრემლით, ლოცვითა და მკაცრი მოღვაწეობით სრულყო თავისი მოციქულებრივი ღვაწლი და წარმართობის ნისლით დაფარული ერი ჭეშმარიტების ნათელს აზიარა. წმინდა ნინოს დროიდან მოკიდებული ბოდბის მონასტერი ქართველ მეფეთა და დიდებულთა უპირველესი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. V ს. ვახტანგ გორგასალმა გაამშვენა და გააფართოვა ტაძარი, ხოლო სამნავიანი ბაზილიკის სახე მან VIII-IX ს.ს. მიიღო. XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე I-ის მეფობის ხანაში, კიდევ ერთხელ შეიმკო წმიდა ნინოს განსასვენებელი. მოციქულთა სწორის საფლავი იმდენად პატივცემული იყო, რომ მონღოლებმა, რომლებმაც მიწასთან გაასწორეთ მთელი ქვეყანა, დაუნგრეველ-აუოხრებელი დატოვეს მხოლოდ ბოდბის ტაძარი, თუმცა ისიც არა უვნებლად. შუა საუკუნეებში ამ ტაძარში იკურთხებოდნენ კახთა მეფეები. სხვათა შორის, ბოდბის ტაძარში თეიმურაზ I-ის აღსაყდრებას თავად შაჰ-აბასიც კი დასწრებია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რამდენიმე წლის შემდეგ იავარყო მონასტერი, რომლის აღდგენასაც შემდგომ დიდი ღვაწლი თავად მეფე თეიმურაზ I-მა დასდო. ბოდბის მონასტერი ოდითგანვე არა მარტო სულიერ, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. XVII საუკუნიდან აქ მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, საერო მეცნიერებებიც ისწავლებოდა. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნთსაცავი. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ბოდბეში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მამათა მონასტერი არსებობდა. ეგზარქოსების მიერ ბოდბის ეპარქიის გაუქმებამდე მისი უკანასკნელი მღვდელმთავარი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იოანე მაყაშვილი

იყო. იოანე ბოლნელის ღვაწლით 1823 წელს კიდევ ერთხელ შეიმკო და გამშვენდა სავანე, მოიხატა ტაძარი, გაკეთდა ახალი კანკელი (მხატვრობაცა და კანკელიც დღემდეა შემორჩენილი), აშენდა საეპისკოპოსო სასახლე კარის ეკლესიითურთ. იოანე მაყაშვილის გარდაცვალებასთან (1837 წ.) ერთად ბოდბის ეპარქიაც გაუქმდა და მონასტერიცა და სემინარიაც მოიშალა. ამ დროიდან ბოდბეს არქიმანდრიტები განაგებდნენ. მათ შორის გამორჩეული ადგილი არქიმანდრიტ მაკარის ეკავა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული გალობის აღორძინებას აქცევდა. მას ამ საქმისთვის საგანგებოდ მოუწვევია მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი და გალობის სკოლა გაუმართავს. თუ როგორი იყო ეს სკოლა, ამაზე ნათლად მეტყველებს დიმიტრი ყიფიანის წერილი, არქიმანდრიტ მაკარისადმი მიწერილი: „სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენის ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული“. მისივე დროს, 1862 წელს, დაიწყო სამსართულიანი სამრეკლოს მშენებლობა, რომელიც 1885 წელს მღვდელმონაზონ ნიკოლოზ მიქელაძის წინამძღვრობისას დასრულდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ეგზარქოსების მიერ დაუმსახურებლად მივიწყებულ და უპატრონოდ დარჩენილ სავანეს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ჰაგიოგრაფმა და ხატმწერმა მიხეილ საბინინმა. მან წმიდა ნინოს საფლავის ძველი ქვა მარმარილოს ღუსკუპით შეცვალა. მისივე დაუღალავი მოღვაწეობით შემზადდა ნიადაგი აქ დედათა მონასტრის გახსნისათვის. იმავე საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია ამ ადგილს და მისი ბრძანებით 1889 წელს ბოდბეში დედათა მონასტერი გაიხსნა, აქვე მოქმედებდა ქალთა სასწავლებელი. 1902-1906 წლებში მონასტრის წინამძღვარი იუვენალია II იყო (ერობაში თამარ მარჯანიშვილი, დიდ სქემაში თამარი, კოტე მარჯანიშვილის და; მისი წმიდანად შერაცხვის საკითხი ამჟამად განიხილება რუსეთის ეკლესიის მიერ). საქართველოს ეკლესიისათვის ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც მთელი ძალით მიმდინარეობდა გარუსების პოლიტიკა, თამარ მარჯანიშვილის ძალისხმევით ბოდბის ქალთა სასწავლებელში ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე. მისივე დამსახურებით ბოდბის ტაძარში მისი წინამძღვრობისას წირვა-ლოცვაცა და გალობაც, რომელაც იღუმენია იუვენალია თავად ასწავლიდა გოგონებს სასწავლებელში,

ქართულად მიმდინარეობდა. 1906 წ. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის განკარგულებით ბოდბეს I კლასის მონასტრის წოდება მიენიჭა. თუ როგორი იყო ბოდბის მონასტერი XX საუკუნის დასაწყისში, ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის ოლივერ უორდროპის ერთი წერილი. იგი 1919 წელს სტუმრობდა მონასტერს და აღტაცებული წერდა ამ ვიზიტის შესახებ თავის მეუღლეს: „როცა მონასტერის მიუვახლოვდით, ჩვენს წინ აღიმართა ფოთლებითა და მცენარეებით შემკული ტრიუმფალური თალი. ჩვენ მივვიდო იღუმენიამ (თავადის ქალმა ვაჩნაძემ). ყველანი შეკრებილიყვნენ მონასტრის გარშემო: მონაზვნები შავ მანტიებსა და ღამაზ თავსაბურავებში, მონასტრის სკოლის გოგონები თეთრ კაბებში გამოწყობილი და იქვე მცხოვრები ხალხი. მღვდელმა შემოიპატიჟა ეკლესიაში, რომელიც პირველად IV საუკუნეში აშენებულია და ჩაატარა რამდენიმე წუთიანი მსახურება, ღოცულობდა და ევედრებოდა უფალს, ამ დროს კი მის გარშემო მყოფნი და მონაზვნები გალობდნენ. იღუმენიამ დამათვალთვარებინა გოგონათა საერთო საცხოვრებელი, საკლასო ოთახები, სამზარეულო და სამუშაო ოთახები, სადაც მზადდება ხალიჩები, საეკლესიო ტანსაცმელი, ხატები და ასევე საქარგავი ოთახი. ჩვენ ასევე მოვინახულეთ ბაღი, რომელიც ამშვენებს მონასტერს. გოგონებმა დაგვასახუქრეს ყვავილებით, ხალხმა და ბავშვებმა კი გავაცვილეს შეძახილებით, ჩვენც გავუყევით გზას სიდნაღისაკენ" (საგულისხმოა, რომ ეს წერილი ბოდბის მონასტრის ამჟამინდელ წინამძღვარს იღუმენია თეოდორას ოლივერ უორდროპის ქალიშვილმა მიაწოდა. მას ქართველთა განმანათლებლის სახელი ჰქვია, ცხოვრობს ინგლისში და მამისა და მამიდის დარად ძალიან უყვარს საქართველო. ქალბატონ ნინოს ცხოველი ინტერესი აქვს თავისი მფარველი წმიდანის სავანის მიმართ, რაზეც მოწმობს მისი მიმოწერა ბოდბის დედებთან). 1924 წელს კომუნისტებმა მონასტერი დახურეს. ბოდბის უკანასკნელი იღუმენია ნინო ვაჩნაძე, მიუხედავად მრავალგზის მუქარისა, მონასტერს არ შორდებოდა, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა ბოდბე მიეტოვებინა და თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, დასახლებულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევ. სამოციან წლებში ბოდბის უკანასკნელი წინამძღვარი, მისივე ანდერძისამებრ, მშობლიურ მონასტერში გადაასვენეს.

კომუნისტთა მიერ დარბეული უძველესი ტრადიციების მქონე ბოდბის მონასტერი კვლავ აღდგა 1991 წელს. ამჟამად მონასტერში

ოცდაათამდე მონაზონი და მორჩილი მოღვაწეობს. მოწესე დედები ძირითადად ახალგაზრდები არიან. ისინი წინამძღვრის, იღუმენია თეოდორას, ხელმძღვანელობით მრავალგვარ საქმიანობას ეწევიან და იმედოვნებენ, რომ მონასტერი მალე დაიბრუნებს ოდინდელ დიდებას და აქ კვლავინდებურად გაცოცხლდება მრავალი ღვაწლით გამშვენებული სულიერი ცხოვრება. მართლაც, სავანე, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იბრუნებს პირვანდელ სახეს. ღვთისმოსავი ადამიანების შეწევნით ხდება მონასტრის აღორძინება: შეიმკო და გამშვენდა წმიდა ნინოს საფლავი, წმიდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულ წყაროზე აშენდა განსაბანი და წმიდათა ზებულონისა და სოსანას სახელობის პატარა ტაძარი. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაო, რომლის შედეგადაც ტაძრის კედლებიდან მოიხსნა ნახევარი მეტრის სიგანის გვიანდელი (XVII ს.) მინაშენი, რომელიც მთლიანად არღვევდა მის პირვანდელ პროპორციებს. გარდა ამისა, აღდგენითი სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია იოანე ბოლნელის დროინდელი შენობის ნაშთები, რომელთა რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს. ამასთან, მუშავდება დეტალური პროექტი მთელი სამონასტრო კომპლექსისა, რომლის მიხედვითაც წარიმართება მომავალში მონასტერში აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები. მონასტერს აქვს საკუთარი მეურნეობა, მოქმედებს ხატწერისა და ხელსაქმის სახელოსნოები. გარდა ამისა, დები ქართული მონასტრებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელ მწიგნობრულ საქმიანობასაც ეწევიან: უძველეს ხელნაწერთა საფუძველზე გამოსაცემად ამზადებენ საღვთისმსახურო წიგნებს. მომავალში აღმშენებლობითი სამუშაოების გარდა, განზრახულია საგამომცემლო საქმის გაფართოება და გოგონათა სასწავლებლის აღდგენა. და რაც მთავარია, ქართველთა განმანათლებლის საფლავზე ყოველდღიურად აღევლინება წირვა-ლოცვა სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ. წმიდა ნინოს საფლავი დღესაც სულიერ და ხორციელ კურნებას აღმოაცენებს და მისი სავანეც, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ადამიანებს მასთან მიახლების საშუალება მისცეს

1742 წელს დიდი მიწისძვრა მომხდარა. მიწისძვრით დაზიანებული ტაძრის ადდგენა თეიმურაზ II-ის მეუღლეს, დედოფალ თამარს დაუწყია და მათ შვილს, ერეკლე II-ს დაუმთავრებია. ამავე დროს მომხდურთაგან დასაცავად ალავერდის ტაძარს ქვის გალავანი შემოარტყეს. ალავერდის კომპლექსი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისაგან შედგება. აქ იყო ეპისკოპოსის სასახლე, სატრაპეზო, სამრეკლო, მარანი, აბანო და სხვ. აქვეა 1615 წელს აშენებული ფეიქარ-ხანის აგურის სასახლე. თავდაპირველად ტაძარი სამიარუსიანი ყოფილა. სამი მხრიდან მას თაღებიანი დია გალერეა ერტყა და სამი შესასვლელი ჰქონდა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში გალერეა დაუნგრევიათ, ხოლო ჩრდილოეთის კარბიჭყ ამოუშენებიათ. ალავერდის ტაძარი XI საუკუნიდან კახეთის მეფეთა საძვალეა. იმდენად მყარი გახდა ეს ტრადიცია, რომ როცა ალექსანდრე II-ის შვილმა კონსტანტინემ შაჰ-აბასის ბრძანებით საკუთარი მამა და ძმა დახოცა, მათი თავმოკვეთილი ცხედრები ალავერდის ტაძარში დააკრძალვინა. აჯანყების დროს მოკლული კონსტანტინეც ქეთევან დედოფლის ბრძანებით ალავერდის ტაძარში დაკრძალეს, ავგუსტინელი ბერების მიერ ჩამოტანილი წამებით მოკლული ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები კი თეიმურაზ I-ის ბრძანებით ალავერდის ტაძრის საკურთხეველის ქვეშ დასვენეს. თავდაპირველად ალავერდი მამათა მონასტერი იყო, XVIII საუკუნეში კი აქ დედათა მონასტერი დანარსდა, სადაც მონაზვნად აღკვეცილი სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. ალავერდი საგანმანათლებლო და სამწიგნობრო საქმიანობის მძლავრი კერაც იყო. სხვადასხვა დროს აქ მოდვანობდნენ ქართველი მწერლები და კალიგრაფები, მათ შორის ფილიპე ალავერდელი, ბებედე მთავარეპისკოპოსი, ნიკიფორე ირბახი (ხოლოცაშვილი), მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, კირიონ II და სხვ. ალავერდის ტაძრის დღეობა, ალავერდობა, 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე იწყება. ეს უძველესი ტრადიცია მოსავლის აღება-დაბინავებასთანაა დაკავშირებული და ტაძრის დამაარსებლის, იოსებ ალავერდელის, სახელზე იმართება. ალავერდობაზე ღამის თევით მოდიან მლოცველები გარეკახეთიდან, ქიზიციდან, ერწო-თიანეთიდან, ფშავ სევსურეთიდან, თუშეთიდან, ქისტეთიდან, დადესტნიდან. ძველად დღესასწაული სამი კვირა გრძელდებოდა.

სამთავისი (472 წელი)

სამთავისი, ქართული სუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია. იგი დგას კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე. ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების მიხედვით სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღია 472 წელი. იმდროინდელი ნაგებობებიდან აღარაფერია შემორჩენილი.

X-XI საუკუნეებში სამთავისში აშენდა შედარებით მცირე ზომის ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობა არ არის შემონახული. იგი მხოლოდ გვიანდელი ხანის სიგელ-გუჯრებშია გაკვრით ნახსენები. სამთავისის ტაძრის აგების ზუსტ თარიღსა და აშენებლის ვინაობას გვაუწყებს დასავლეთის კარის ზემოთ, აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ამ წარწერებით ირკვევა, რომ სამთავისის ტაძარი აუგია სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს 1030 წელს. მასვე 1050 წელს აუშენებია კათედრალისათვის განკუთვნილი მარანი და საწნახელი. გარდა XI საუკუნის წარწერებისა, სამთავისის ტაძრის ფასადებზე შემორჩენილია შედარებით გვიანდელი ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვანდინ ტაძრის ისტორიაზე. დასავლეთის ფასადზე, კარს ზემოთ შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომლის თანახმად საქართველოს მეფის გიორგი III-ის მეფობის დროს იოანე სამთავნელს ტაძრისთვის მიუდგამს კარბიჭე. მემატანის ცნობით, XII საუკუნის II ნახევრიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესის ანტონ ეპისკოპოსის სამეფლობელო იყო.

XIV საუკუნის I ნახევრიდან, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, სამთავისი ზევდგენიძე-ამილახვრებს ებოძათ. XV საუკუნეში ძეგლი ძლიერ დაზიანდა: ჩამოინგრა გუმბათი, დასავლეთის კარი, თაღები, გუმბათქვეშა პილონი და მთლიანად ფასადები. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ადგილობრივი ფეოდალების, ამილახვრების აღზევების შემდეგ შესაძლებელი გახდა ტაძრის "შეორედ" აშენება-განახლება. ძეგლი გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობით, ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მას ახასიათებს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად დაედო

ქართულ სურთომოდვრების შემდგომ განვითარებას. აღმოსავლეთის ფასადის დამუშავება, რომელსაც კვლავინდებურად სუთთადოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, ქმნის რთულ დეკორატიულ კომპოზიციას. საკურთხევლის მთავარი სარკმლის თავზე განიდა უზარმაზარი მონოქრომებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ კუთხით დაყენებული, ჩუქურთმით შევსებული ორი კვადრატია. სამთავისის აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიულ დამუშავების გავლენას დიდხანს განიცდიდა ქართული სურთომოდვრება. მან განსაკუთრებით იხინა თავი XII საუკუნის II ნახევარში.

სამთავისის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედში ჩანერილ ჯვარს წარმოადგენს (25X18 მ; სიმაღლე 37 მ). ტაძარი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცისფრო-მომწვანო კვადრებით. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან (სამხრეთის შესასვლელი XIX საუკუნის შეკეთებისას ამოუქნებიათ). ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია ოთხი ცალკე მდგომი ბურჯი. ისინი ქმნიან ტაძრის შიდა სივრცის მორგანიზებულ გუმბათქვეშა კვადრატს, რომლის ოთხივე მხარეს განლაგებულია ტაძრის მკლავები. ტაძრის შინაგანი სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. ჩრდილოეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ოთხნახნაგოვანი პილონი დანარჩენ სამ რვანახნაგოვან პილონთან შედარებით არაპროპორციული, მოღრეცილი და ბევრად მსხვილია. გუმბათქვეშა ბურჯი ნახევარწრიული თავებითაა შეკრული. თავების ქუსლების შესაყართან წარმოქმნილ სამკუთხედებში ამოყვანილია აფრები, რომელთა საშუალებით კვადრატია ნრებე გადადის. ამ კონსტრუქციებზე დამყარებულია გუმბათის საკმაოდ მაღალი ყელი, რომელიც 13 ნახნაგისაგან შედგება. ტაძრის აღმოსავლეთის მკლავი ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში სამი სარკმელია. ორი სარკმელი დასავლეთის მკლავში, თითო – სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში. გუმბათში შვიდი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული სამკვეთლო და სადიაკვნე. ისინი დასავლეთით გასასვლელებით უკავშირდებიან ტაძრის შიდა სივრცეს. სამკვეთლოს და სადიაკვნეს მცირე ზომის ორ-ორი სარკმელი აქვთ.

სამთავისის ტაძარი სუთი კომპლექსისაგან შედგება: 1-გაღვანი, 2-სამრეკლო, 3-დიდი ტაძარი, 4-ეპისკოპოსის პალატი, და

5-მცირე ეკლესია. ტაძრის მოხატულობა გვიანდელია (1679 წ.). იგი რესტავრირებულია 1964 წელს სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოს მიერ (რესტავრატორები: შ. აბრამიშვილი, კ. ბაკურაძე). საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია, საკურთხევლის ბემის ორსაფეხურიან თაღში – [ძუელი დღეთაი], ქერუბიმები, საყდაჩნი და მთავარანგელოზთა წელზედა ფიგურები. საკურთხევლის მეორე რეგისტრში გამოსახულია მოციქულთა ზიარება. ქრისტეს ორივე მხარეს 12 ფიგურაა. ზოგიერთ მათგანს შემორჩა წარწერა. ქრისტეს ჩრდილოეთით დგანან: პეტრე მოციქული, სვიმონ კანანელი და ბარტლომე მოციქული, სამხრეთით – იოანე დვთისმეტყველი, მათე მოციქული, თომა მოციქული, იაკობ ზებედეუსი. მესამე რეგისტრში, ცენტრალური სარკმლის ჩრდილოეთით გამოსახულია წმ. დიონისე არეოპაგელი, იაკობ ძმა უფლისა, იუდა იაკობისი, წმინდა გრიგოლ პტელია, წმ. ლაზარე, წმ. ლავრენტე; სარკმლის სამხრეთით – წმ. იორეგეოსი, წმ. ეგნატე დმერთშემოსილი, ანანია მოციქული, წმინდა სვიმონ ძმა უფლისა, წმ. სურსიმიე მოციქული, სტეფანე პირველმონაშე. მეოთხე რეგისტრში, კილისებრ თაღებში გამოსახულია მღვდელთმთავრები, საკურთხევლის ნიშში – [წმინდა მსხვერპლი].

სკვპიციხე

XI საუკუნე

1970-1971 წლებში სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს (ხელმძღვანელი არქიტექტორი ვ. ცინცაძე) მიკვლევულ იქნა მისი საძირკვლის კვალი. ასევე მთლიანად შემოიხანა იმ ბაზილიკის გეგმა, რომელიც აქვე ააშენა, წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის II ნახევარში. XI საუკუნეში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათოლიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან სურთომოდვარად არსუკისძე მიიწვია.

მშენებლობა 1010 წელს დაიწყო და 1029 წელს დამთავრდა. სვეტიცხოვლის ტაძარი გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხედაა. კერის სახე სივრცეშია შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს განვდილი 4 მკლავით. მკლავები სწორკუთხაა, გარდა აღმოსავლეთის მკლავისა, რომელიც

საკურთხევლის აფსიდით არის დაბოლოებული. საკურთხევლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით 2 სართულად განლაგებულია სათავსოები. გუმბათი 4 მძლავრ ბოძს ეყრდნობა, გუმბათის ყელში 16 სარკმელია. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარმა მრავალი ცვლილება განიცადა, ძველი ფრესკების დიდი ნაწილი დაიდუშა, ხოლო კედლების შეთეთრებამ ინტერიერს გამოაკლო მისი მხატვრული მთლიანობისათვის აუცილებელი სხვა ორგანული ელემენტებიც, იგი დღესაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძრის გარეგანი ფორმებისა და მასების განაწილება, პროპორციები ექვემდებარება შუაში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომლის ქვეშაც ორთედრად სასურავებით გადახურული კერის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის დაბალი სასურავით გადახურული სადგომები. ფასადების მორთულობაში ძირითადად გამოყენებულია კედლის დეკორატიული თაღებისა და შეწყვილებული პილასტრების განვითარებული სისტემა, აგრეთვე სარკმელთან მიხუჭურთმებული საპირები. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია (მოადნია მხოლოდ ნაწილმა).

ტაძრის დეკორატიულ მორთულობაში დიდი ადგილი უჭირავს რელიეფსაც. აღსანიშნავია აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა, რომლის საფუძვლად 5 დეკორატიული თაღისაგან შეკრული სისტემა წარმოადგენს. თაღებში ჩართულია მაღალი სამკუთხა ნიშები, ხოლო შუა მაღალი თაღის შიდა სიბრტყეზე, მარაოსებრ გაშლილი სხივების ბოლოებში, მოთავსებულია დისკოები ერთ-ერთი სამშენებლო წარწერით. ოსტატურად არის გამოყენებული პოლიქრომული ეფექტიც. ძირითადი ქვიშისფერი კედლების ფონზე გამოიყოფა საკურთხევლის სარკმლის კანკაშა წითელი ფერის ქვით ანციონილი მიხუჭურთმებული საპირე, რომელიც ბემოდან გამოყოფილია მდიდრულად მპრთული ჰორიზონტალური სარტყლით. გვერდის ფასადების შუა ნაწილებშიც მთავარია მზარდი თაღების რიტმი. დასავლეთის ფასადზე ერთი დიდი სარკმელია, რომლის მდიდრულ მორთულობას კედლის მთელი არე უჭირავს. ფასადის კომპოზიციას დასრულებულია სამფიგურიანი რელიეფით – ტახტზე მჯდომი მაცხოვარი და 2 ანგელოზი აქეთ-იქით. სვეტიცხოველი განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების დღევანდების სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი ძეგლია.

სვეტიცხოვლის ძე. კედლის მხატვრობა არ გადაარჩენილა, ახლანდელი მოხატულობა XVI, XVII და შესაძლოა XVIII საუკუნეებისა იყო. განახლებულია XIX საუკუნეში. უფრო სანიტარესოა ტაძრის შიგნით,

საკუთრივ "სვეტის" (კოშკისებური ნაგებობის) XVII საუკუნის მიწურულს მხატვრობა, რომელშიც ქართლის მოქცევის ეპიზოდებია გადმოცემული (მონატკვის ხელმძღვანელი მხატვარი გრიგოლ გულჯავარსაშვილი, მოთავე – ნიკოლოზ კათოლიკოსი). გარედანაც ბევრი რამ არის შეცვლილი: გუმბათის ყელი და თასადთა პერანგის ნაწილი (რომელიც მწვანე ქვით არის მოპირქეთებული) XV საუკუნის I ნახევარს მიეკუთვნება (რესტავრირებულია ალექსანდრე I, დიდის მიერ თემურლენგის შემოსევათა დროს ტაძრის ძლიერი დაზიანების შემდეგ), ზოგი რელიეფური გამოსახულება გადაადგილებულია, არის XVII საუკუნის ჩანარებიც, მაგრამ ამ რესტავრაციებს არ დაურღვევია შენობის ძირითადი ფორმები და პროპორციები. აქ არიან დაკრძალულნი მეფე ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე, აქვეა ქრისტეს კვართი.

მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი

შუა საუკუნეები

მარტყოფი – ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი სოფელია საქართველოში, დასახლებულია I–II საუკუნეებიდან, მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით, 25 კმ–ზე. როგორც ზეპირი გადმოცემა და საისტორიო წყაროები გვამცნობენ, მარტყოფს ადრე (მეექვსე საუკუნემდე) აკრინი, ანუ ქვიანი ადგილი ერქვა. მარტყოფს აქვს მდიდარი ქრისტიანულ–მართლმადიდებლური ისტორია.

მარტყოფის ღვთაების საფანე–ჩვენი სიამაყეა, სინშიდისა და დიდების ადგილია, საიდანაც უმრეცად მოედინებოდა და დღესაც მოედინება ღვთის მადლი და ძალა. მარტყოფის ღვთაების საფანე მრავალჯერ აკლებული არაბებისაგან, მონღოლებისაგან, სპარსელებისაგან, ოსმალებისაგან, ლეკებისაგან, კომუნისტებისაგან, მაგრამ მაინც აღდგენილი და გამშვენებულნი, სადაც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ეკლესია ააგო, ხოლო VI საუკუნეში დამკვიდრდა ერთ-ერთი 13 ასურელი მამათაგან – წმ. ანტონ მარტყოფელი. სტეფანე II რუსთაველი (ჯორჯაძე) არის უკანასკნელი ეპისკოპოსი რომლის ხელმძღვანელობით აშენდა სოფლის ცენტრში ტაძარი ეგვიპტის

მართველის აბრამ შინჯიკაშვილის (იბრაჰიმ—ბეგის) გამოგზავნილი 200 ოქროთი. იგი დაკრძალულია ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში. ამ ტაძარში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ სასულიერო პირები: ეგნატე მარტყოფელი, ქრისტესია ბეჟანიშვილი, პეტრე ეპიტაშვილი, ივანე ბერიტაშვილის მამა სოლომონ ბერიტაშვილი და სხვები.

1991 წლიდან ამ ტაძარში მოღვაწეობდნენ: მამა ზაქარია (ზინზიბაძე), მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), ძმები ანტონ და ზაზა ბეჟანიშვილები; მარტყოფში მოქმედი ეკლესიებია: მთავარანგელოზის საძეგლის, აპარჩანის, მამათა და დედათა მონასტრები. XVI—XVII საუკუნეებში სოფელში აშენდა სამი ციხე-კოშკი: თუმშალიშვილების, შინჯიკაშვილების, ძამაშვილების. ისინი სამხედრო-თავდაცვით საშუალებად გამოიყენებოდა. ამ კოშკებიდან სუროთმოდღვრული მნიშვნელობით, როგორც პარმენ ზაქარია ამბობს, გამოირჩევა თუმშალიშვილების ციხე რომელიც, ახლა ნახევრად დანგრეულია. წმიდა მამა ანტონ მარტყოფელი როდესაც წმიდა იოანე ზედაზნელმა თავისი მონაფეები გავზავნა საქადაგებლად, მამა ანტონი კახეთში წავიდა. აქ მან მოვლო მრავალი ადგილი და უქადაგებდა ხალხს. მამა ანტონს თან ჰქონდა გულზე დაკიდებული ერთი აგური, რომელზედაც გამონახული იყო ხელთუქმნილი სახე იესო ქრისტესი. ამ ხატის ძალით ის მრავალ სასწაულს ახდენდა. შექმდე წმიდა ანტონი დაბინავდა ლონოატის სეობაში და იქ იწყო მოღვაწეობა. საზოგადოდ მამა ანტონს ძლიერ უყვარდა მარტოდ ყოფნა და ღვთის ვედრება. ამიტომაც მას „მარტომყოფელი“, ანუ, მოკლედ, „მარტყოფელი“ უწოდეს. მაგრამ იგი ისე ბევრ ხალხს იხილავდა თავისი წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით, რომ ხალხი არსად მოსვენებდას არ აძლევდა. ზოგი მათგანი სრულებით არ შორდებოდა და მის მასლობლად დგებოდნენ. როცა ასეთ მსურველთა რიცხვმა ძალიან იმატა, მამა ანტონმა აღაშენა მათთვის მონასტერი აღაზნის გადმით, თვითონ კი მოშორდა მათ, აიწინა ერთი მივარდნილი ადგილი იქ, სადაც ახლა ახმეტა არის და იწყო მოღვაწეობა. მაგრამ აქაც მალე მიაგნეს მას და იწყეს მასთან სიარული. ამიტომ მან ამ ადგილსაც დაანება თავი და აკრიანის მთა აიწინა საცხოვრებლად, რომელიც დაბურული იყო ტყით. აქ მან მთის მწვერვალზე თვითონ გამოქვაბნა კლდე და დადგა მასში. დღე და ღამე მსურველედ ლოცულობდა თავისი სასწაულმოქმედი ხატის წინ. პირველად იგი საზრდოობდა მცენარეული საჭმელით, მაგრამ შემდეგ

ღვთის განგებამ სხვა საზრდო განუჩინა: მასთან მოდიოდნენ, როგორც მამა დავითთან, ირმები და თვისი რძით კვებავდნენ მას. ერთხელ ამ სოფლის მამასახლისი, რომელსაც ნორიო ერქვა, თავისი მხლებლებით წადირობდა. ანტონის ირმებმა ამ დღეს ძლიერ დააგვიანეს და ბოლოს მოიბრბინეს. ძლიერ შეშინებულნი იყვნენ და ერთიც დაჭრილი იყო. მამა ანტონი გაკვირდა, არ იცოდა თუ მასლობლად სოფელი იყო. ადგა, დაიკიდა გულზე თავისი ხატი და უკან გაჰყვა ირმებს, უნდოდა შეეტყო, რამ შეაშინა ისინი. წმიდა ანტონი ერთბაშად შეხვდა მამასახლისს. ეს უკანასკნელი ძლიერ გაკვირდა, როცა დაინახა მოხუცებული ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა ირემთა შორის, როგორც შინაურ პირუტყვებთან. დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც მამა ანტონმა არ იცოდა ქართული ენა, მამასახლისი ვერას მიუხვდა. მას ანტონი საშიში კაცი ეგონა და ამიტომ ანიშნა, მარჯვენა ხელს მოგჭრიო, რომლითაც მამა ანტონი ანიშნებდა იმ მთას, სადაც ის ცხოვრობდა. და მართლაც, მამასახლისმა უბრძანა მხლებლებს, წაეყვანათ ანტონი სამჭედლოში და იქ მოეჭრათ მისთვის ხელი. მჭედელმა განახურა რკინა და უნდოდა შანთით მოეცილებინა ხელი, მაგრამ ერთბაშად რკინაც გაუვარდა ხელიდან და თან ხელიც გაუშემდა. მჭედელი შეშინდა და ენა ჩაუვარდა, აღარ იცოდა რა ექნა, მაგრამ წმიდა ანტონმა გადასახსნა კვარი და განკურნა. ამ სასწაულმა ყველა გააკვირვა. ყველაფერი იმ წამსვე მამასახლისს აცნობეს. მან მოიხმო წმიდა ანტონი და უთხრა: „მითხარი, რაც გსურს და აგისრულებო“. მამა ანტონმა ანიშნა, მიეცათ მისთვის ქვის მარილის ნატეხი. მათ მამინვე მოუტანეს. ანტონი დაბრუნდა თავის გამოქვამულში. მალე მისი ირმებიც დაბრუნდნენ, რომელთაც მისცა მარილი. წმიდა ანტონის სახელი მოეფინა მასლობელ სოფლებს და მასთან იწყო სიარული აუარებელმა ხალხმა. აქ კიდევ უფრო ბევრი რამ ნახეს საკვირველი. ბევრი ვაიტაცა მისი ცხოვრების წესმა, ზოგიერთებმა მისი მიბაძვა მოინდომეს და იწყეს მის მასლობლად ცხოვრება მისი კურთხევით. როცა მათმა რიცხვმა ძლიერ იმატა, მამა ანტონმა საჭიროდ ჩათვალა მათთვის მონასტრი აეშენებინა.

მონასტერი ააშენეს ტყიანი მთის მოედანზე, სადაც ახლა მამა ანტონის მონასტერია. თვითონ ანტონმა ააშენა თავისთვის მთის მწვერვალზე ექვსი საუნი სვეტი ანუ კოშკი, იქ დაეყუდა და მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. მხოლოდ ხანდახან ჩამოდიოდა მონასტერში ძმათა დასარჩევლად და

ღვთის მსახურების აღსასრულებლად. ბოლოს, როცა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მოუწოდა თავის მოწაფეებს, დარიგება მისცა მათ და აეურთხა. გარდაცვალების დროს მამა ანტონი დანოქილი იყო მაცხოვრის ხატის წინაშე და ლოცულობდა. გარდაცვალების შემდეგ მამა ანტონის პატიოსანი გვამი ჩამოასვენეს სვეტიდან მონასტერში და დიდის მოწიწებით დაკრძალეს ღვთისმშობლის ხატის წინაშე ტაძარში.

შიომღვიმე (XII საუკუნე)

შიომღვიმე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი, ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი. მდებარეობს თბილისიდან 40 კმ-ზე, მცხეთის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. დააარსა VI საუკუნის II ნახევრის დამდეგს ერთ-ერთმა ასურელმა მამამ შიომ . როგორც წყაროები გადმოგვცემენ, შიოს თავისი სიეოცხლის უკანასკნელი წლები ბნელ და ღრმა მღვიმეში გაუტარებია, გარდაცვალების შემდეგ, თანახმად ანდერძისა, იქვე დაუსაფლავებიათ (აქედან სახელწოდება "შიოს მღვიმე", შიომღვიმე"). მისი საფლავი შიომღვიმეში წმინდა ადგილია. XI საუკუნეში მღვიმეს ეკლესია დააშენეს, რომელიც მოგვიანებით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს. შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსში შედის: იოანე ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, ზემო ეკლესია, სატრაპეზო და მონასტრის მახლობლად მდებარე სამლოცველო. იოანე ნათლისმცემლის სადა, მკაცრფორმებიანი ეკლესია თითქმის სანახევროდ მინაშია ჩაფლული. იგი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიმუშია. აგებულია შიოს ინიციატივით VI საუკუნის 50-60-იან წლებში. ეკლესია გეგმით მარტივი, "თავისუფალი ჯვრის" ტიპის შენობაა, ე.ი. გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის მოხაზულობა გარედანაც იკითხება, ადმოსავლეთით აფსიდიან. ცენტრალურ კვადრატზე აღმართულია რვანახნაგა გუმბათის ყელი, რომელიც დასრულებულია რვანახნაგავე შეკრული კამარით. გადახურულია კონუსებრი სახურავით. ინტერიერს ამშვენებდა იშვიათი ოსტატობით შესრულებული ორნამენტითა ფიგურებიანი რელიეფით შეკრული XI საუკუნის ქვის კანკელი (გადატანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). მიუხედავად

XI და XVIII საუკუნეების მინაშენებისა, ეკლესიამ მაინც შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი სახე. აგურის სამრეკლო XVIII საუკუნისაა. მონასტრის შუაგულში აღმართულია ღვთისმშობლის ეკლესია, ე.წ. ზემო ეკლესია. აშენებულია XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, დავით აღმაშენებლის განკარგულებით. იგი თავდაპირველად გუმბათოვანი იყო. 1678 წელს აღდგენილია ბაზილიკის სახით. სამეურნეო დანიშნულების შენობათაგან შემორჩენილია სატრაპეზო (აქედანაა გასასვლელი შიოს მღვიმეში), რომლის ძველი ნაწილი XII საუკუნისაა, გადაკეთებულია და განახლებული XVII საუკუნეში. მთაზე აღმართული მცირე, მონასტული სამლოცველო XII საუკუნეს მიეკუთვნება. მონასტერი წყლით მარაგდებოდა სოფ. სხალტბიდან შიომღვიმე ძველი ქართული კულტურულ-მწიგნობრული კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ შიომღვიმელი, ბასილ კარიჭის ძე (XI ს.), არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, გიორგი ხუცესმონაზონი (XIII - XIV სს.), თეოდოსი (1878-1881) და სხვა.

შიომღვიმის უდიდესი წიგნსაცავიდან მოღწეულია მრავალი ხელნაწერი. 1804 წლიდან, შიომღვიმის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა ხელნაწერთა მდიდარი ფონდი (10 ურემზე ძლივს დაეცოდა). შიოსავე სიციოცხლეში მონაზონთა რაოდენობა მონასტერში 25-დან 200-მდე გაიზარდა. შიომღვიმე VI საუკუნიდან XII საუკუნის დასაწყისამდე კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო მფარველობაში იმყოფებოდა, დავით აღმაშენებელმა იგი სამეფო საკუთრებად აქცია. დაუნესა საგანგებო "ანდერძი"-ტიპიკონი (1123) და შესწირა დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება. მონასტერმა მხარი დაუჭირა მეფეს ურბ ფეოდალებთან ბრძოლაში. თბილისში მონასტერი ფლობდა სავაჭრო დუქნებს, საგანგებოდ აშენებდა გასაყიდ პირუტყვს. ჰქონდა სასამართლო (არასრული), საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადების შეუვალობის პრივილეგიები. მართვა-გამგეობის მხრივ მხოლოდ მეფე-პატრონის უზენაეს უფლებას ცნობდა, ეპარქიალურად მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა.

XIII-XVIII საუკუნეებში შიომღვიმის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა დაქვეითდა. XIV საუკუნის II ნახევარში ზევდგინძე-ამილახვართა საკუთრება გახდა (გიორგი VII-მ ერთგულობისათვის უბოძა ზევდგინძე იოთამს (თაყა)). ამ დროიდან XIX საუკუნის I ათეულ წლებამდე შიომღვიმე ზევდგინძე-ამილახვართა საძვალე იყო. 1614-1616 წლებში, შაჰ-აბასის შემოსევების დროს შიომღვიმე

ვახოშვილს. 1678 წელს აღადგინა გივი იოთამის ძე ამილახვარმა. ქართლში ოსმალთა ბატონობის (1723–1735) და ხშირი ლეკიანობის გამო 1726 შიომღვიმე მთლიანად დაიწალა. 1733 წელს მონასტერში განაშლდა ცხოვრება. ამ ეტაპზე ფართო სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები შესრულდა გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარმა. 1735 წელს შიომღვიმე ყიზილბაშებმა დაარბიეს და ბერები ერთიანად ამოსოცეს.

XIV საუკუნიდან შიომღვიმის ყველა პრივილეგია გაუქმდა და გადავიდა მონასტრის პატრონის ხელში. ეპარქიალურად სამთავისის საეპისკოპოსოს დაექვემდებარა. სამთავნელ ეპისკოპოსს ზოგჯერ შიომღვიმის წინამძღვრის თანამდებობაც ეკავა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801) შიომღვიმე ფეოდალური სენიორიიდან შტატის დაწესებულებად იქცა. 1811–1822 წლებში ადმინისტრაციულად შეუერთეს ქვათახევის მონასტერს, 1822 წელს – 1887 წლებში კი თბილისის ფერისცვალების მონასტერს. 1887 წლიდან მიეცა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული-სახულიერო მმართველობა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირისძის ინიციატივითა და სახსრებით შიომღვიმე საფუძვლიანად განაშლეს. მონასტერი მოქმედებდა XX საუკუნის დასაწყისშიც. ამ ხანებში აქ სხვადასხვა მენობა აუგიათ. ამ დროსვე მოხატეს და "შეამკეს", არსებითად კი დაამახინჯეს შიოს ძველი ეკლესია. მონასტრის მახლობლად კლდეში ნაკვეთი მღვიმეებია, რომლებიც ბერების საცხოვრებელი და თავშესაფარი იყო.

პარძიის სამონასტრო კომპლექსი

X–XII სს

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ მესხეთში, ასპინძის რაიონიდან 30 კმ-ის დაშორებით, მდინარე მტკვრის დრმა ხეობის ზემო წელზე, ერუშეთის მთის ფერიალო, მიუვალში, ჰსი მეტრის სიმაღლის კლდეში, სუთასი მეტრის სიგრძეზე, მდებარეობს ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი – ვარძიის სამონასტრო კომპლექსი. ვარძიის მონასტერი მდებარეობს ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე. კომპლექსი განლაგებულია იარუსებად 100 მ სიმაღლეზე. იარუსების რაოდენობა 3–დან 13–მდეა. მასში 600–ზე მეტი სათავსოა. აქ არის სატრავპოები, სენაკები, საკუჭნაოები, დამხმარე სათავსოები, 25 მარანი

185 ქვევრით. ვარძიის მონასტერი ცამეტ სართულადაა გამოკვეთილი სამფეროვანი კლდის შუა, – მოყვავისფრო ფენაში, სოლო ზედა, – მუქი რუხი ფენა თითქოს სახურავადაა გამოყენებული.

საკხოვრებელი ოთახები და სათავსები სამხრეთიდან ჩრდილოეთით, კლდის ერთ დერძენა განლაგებული, რის გამოც მზისგან მაქსიმალური ბუნებრივი განათებითა და გათბობით არის უზრუნველყოფილი. ვარძიის გამოქვაბულთა განლაგებას, სამეცნიერო ლიტერატურაში, სამ მონაკვეთად ყოფენ: პირველი ცენტრალური ნაწილი მოიცავს დვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებული ტაძრის სამხრეთი კედლის ორთაღიან სტოას და სამრეკლოს შორის ერთმანეთთან მჭიდროდ მოწყობილი გამოქვაბულების შედარებით მცირე კვუფს. აქ, სამრეკლოს ქვეშ, საწინახელიანი გამოქვაბულია, სოლო სამრეკლოს მეზობლად, ერთი სართულით დაბლა – სატრაპეზო. მეორე მონაკვეთს წარმოადგენს ტაძრის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით მდებარე უფრო ადრინდელი ხანის (X–XII სს.) ე.წ. კლდის სოფელი – ანანაური, სადაც შემორჩენილია მეტად საინტერესო კლდის ორსართულიანი სახლი, საბაღე და სავანახე ტერასები, X საუკუნის პატარა დარბაზული ეკლესია XVI საუკუნის კედლის მხატვრობით, სარწმუნო არხის დიდი გვირაბი, 3,5 კმ სიგრძის ფრიალო კლდეში გამოკვეთილი გვირაბი წყალსადენისთვის და სხვა მნიშვნელოვანი სათავსები. მესამე მონაკვეთს მოიცავს ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთით, 150 მეტრის სიგრძეზე განლაგებული გამოქვაბულები და დაბლა ჩასასვლელი დიდი გვირაბი, რომლებიც კარგადაა მოდნეული ჩვენამდე. აქვეა მოთავსებული ტაძარი სახიზნავითა და მისი გვირაბით, ე.წ. „თამარის ოთახი“, „სადარბაზო“, „სალხინო“ და „წამლის სასახლე“ (აფთიაქი), მრავალი მარანი და რამდენიმე კარგად შენახული საკხოვრებელი გამოქვაბული. ვარძია იმთავითვე სამეფო მონასტერი იყო. იგი 1185 წლის 15 აგვისტოს აკურთხეს დვთისმშობლის მიძინების სახელზე. მის აშენებას ქართული საისტორიო წყაროები, ტრადიციულად გიორგი III–სა და თამარ მეფეს მიაწერენ.

მართლაც, კვლევა–ძიებამ დაადასტურა, რომ სამონასტრო კომპლექსი შეიქმნა ძირითადად 1156–1202 წლებში. მეფე გიორგი III–ის (1156–1184) სახელს უკავშირდება მშენებლობის ზოგადი გეგმის ჩანაფიქრი და დამუშავება. მისი მეფობის დროს უნდა გამოეკვეთათ კლდის პირველი „სახლები“ ეკლესიითურთ წყაროსთან. მეფე

გიორგი III-ის გარდაცვალების (1184) შემდეგ, მის დროს არსებული გეგმა, თამარ მეფის მითითებით ნაწილობრივ შეიცვალა. მონასტრის ცენტრში გამოკვეთეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დიდი დარბაზული ეკლესია სტოა-პორტიკით, რომლის მოხატვა 1185 წლისათვის დაუსრულებიათ. ტაძრის მოხატვის შემდეგ აღმოსავლეთით სადალატოს სეკამდე და დასავლეთით ანანაურამდე გამოკვეთეს საცხოვრებელი სენაკები, სხვადასხვა დანიშნულების სათავსები, სამალავი და საირიგაციო ნაგებობები. აღნიშნული სამუშაოები 1202 წლისათვის დასრულებულა. ვარძია თავდაცვის მიზნითაც გამოიყენებოდა. აქ, აღმოსავლეთ ნაწილში თარული გვირაბია, რომელიც მდინარისკენ ეშვება. 3,5 კმ სიგრძის წყლის გაცვანილობა გასაოცარ ინჟინრულ ნაგებობას წარმოადგენს. ვარძიის კომპლექსში 15 ეკლესიაა. მათგან მთავარია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. ტაძრის მოხატულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კედლის მხატვრობის კვლევისათვის ზუსტი თარიღის გამო. ბიბლიურ თემაზე შექმნილ სცენათა გარდა, აქ გვხვდება გიორგი III-ის, თამარ მეფისა და რატი სურამელის პორტრეტები. ვარძიის მონასტერი თამარის მეფობის ხანაში (1184-1213 წწ.) დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონასტერში დაცული იყო ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი.

ბასიანის ბრძოლის წინ წმიდა მეფე თამარი ვარძიის ღვთისმშობელს ავედრებდა თავის ქვეყანას და მუხლმოდრეკილი ეკედრებოდა ქართველთა გამარჯვებას. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შეწევნით ამ ომში ქართველებმა გაანადგურეს მაჰმადიანთა 40000-იანი არმია. მემატანის ცნობით ამ ხატს გამმარჯვებელს უწოდებდნენ. ერთხანს აქ მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე [იოანე შავთელი](#), რომელმაც შექმნა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“. იგი შემდგომში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. შემორჩენილია ვარძიაში გადაწერილი ოთხთავის დასურათებული ხელნაწერი (XII ს.).

XII საუკუნის 30-იანი წლებიდან, მონღოლთა ბატონობის ხანაში, ვარძიის მონასტერი სამცხელი ფეოდალების, ჯაყელთა გვარიდან გამოსული ათაბაგების გავლენაში მოექცა. 1283 წელს, აღდგომის წინა დღეს, სამცხეში მოხდა სამინელი მიწისძვრა, რომელმაც წამოანგრია ვარძიის გამოქვაბულები, სენაკებში ასასვლელი გვირაბები, ტაძრის

სტოას წინა ნაწილი, დააზიანა წყალსადენი. ვარძიამ, ამის შემდეგ, სრულებით იცვალა სასუფი. დანგრეული გვირაბებისა და დახურული გადასასვლელების ნაცვლად შეიქმნა ღია ბილიკები. აიგო ორი მომცრო, მაგრამ მნიშვნელოვანი ობიექტი: ორთაღიანი ნაგებობა – ტაძრის სტოა-პორტიკის გასამაგრებლად და ორსართულიანი სამრეკლო XII საუკუნისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით. ამ სამუშაოების ჩატარება ემთხვევა ბექა ჯაფელი-ციხისკვარჯლის ათაბაგობის ხანას (1285-1306 წწ.).

კიდევ ერთი ახალი ნაგებობა – სატრაპეზო შეიქმნა 1391-1444 წლებში ივანეს ათაბაგობის დროს. 1551 წელს ვარძიის მონასტერი დაარბიეს სპარსელებმა შაჰ-თამაზის ბრძანებით. ვარძიის ცნობილი ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, ოქროსა და ფოლადის კარები, კულტურის სხვა მრავალ განძთან ერთად მტერმა გაიტაცა. სპარსი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ, რომელიც თვითონ იყო ამ ლაშქრობის მონაწილე და საკუთარი თვალით იხილა ვარძია, განცვიფრებული მოგვითხრობს მისი სიდიადისა და სიმდიდრის შესახებ. ამის შემდეგ ვარძიამ აღორძინება ვეღარ შეძლო.

1578 წელს სამცხე თურქეთმა დაიპყრო, თავისი მმართველობა დაამყარა და მართლმადიდებლური ეკლესიები მეტად შეავინროვა. თურქების მიერ სამცხეში 1595 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ვარძია დაუსახლებელია. ვარძიაში მონასტრის გაუქმებამ, შემდგომ მისი, როგორც ისტორიული ძეგლის, განადგურება გამოიწვია. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდეგ, მესხეთის ნაწილი ვარძითურთ, კვლავ საქართველოს შემოუერთდა, მაგრამ ვარძია ისევ უყურადღებოდ რჩებოდა. 1854 წელს ბერძენმა მღვდელმა გიორგი პოპონდუპოლომ დაიწყო ტაძრის განმენდა, ტაძარში მოსასვლელი გზა შეაკეთა, ხის უბრალო კანკელი გააკეთა და ვარძია 1857 წელს ხელახლად აკურთხეს, დაუდგინეს მოძღვარი ორი მორჩილით. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში ნირვა-ლოცვა კვლავ შეწყდა. იქ, ჯერ ტურისტული ბაზა, 1938 წელს კი – მუზეუმი დაარსდა. 1989 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ვარძიის კედლებში კვლავ გაისმის „გაღობანი ვარძიისა დმრთისმშობლისანი“.

ბეთანიის მონასტერი

XII-XIII სს.

საკვირველი, სასწაულებრივი ადგილია ბეთანია. იგი თითქოს დროითა და სივრცითაც მოშორებია წარმავალ ცხოვრებას. აქ ჯერაც არ არის ელექტროობა, რადიო, ტელევიზორი, წყალგაყვანილობაც კი. ყველაფერი ისეა, როგორც ათასი წლის წინათ როდესაც აქ პირველად ფუძნდებოდა მონასტერი. უდიდესმა ქარიშხლებმა გადაუარა თავს დვთის ამ სავანეს: სარწმუნოების უსასტიკესი დევნის 70-წლიან პერიოდში სწორედ მონასტრები განიცდიდნენ დევნა-მევიწროებას: ბერ-მონაზონთა უმრავლესობა დავზრიტეს, გადასახლეს, ცოცხლად დარჩენილნი კი უმძიმეს შეჭირვებასა და შეურაცხყოფას ითმენდნენ. მაგრამ უდიდესი განსაცდელის დროსაც ბეთანიის მონასტერი მდიდარი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა. აქ ძლიერად კამკაშებდა ლოცვითი კანდელი - ორი ბრძენი სულიერი მოძღვარი - განუწყვეტლივ აღუვლენდა ღმერთს ლოცვა-ვედრებას.

აქ არასოდეს შეწყვეტილან საღმრთო ლიტურგიის აღსრულება, ნათლობა, ჯვრისწერა, დვთის სიტყვის ქადაგება. XI საუკუნეში სავანე უკვე არსებობდა, როგორც დიდი ფეოდალების - ობზელიანებისათვის აშენებული განსასვენებელი. ბეთანიის ტაძარი, სავარაუდოდ, XII საუკუნის მიწურულს - XIII საუკუნის პირველ წლებში აიგო, წმიდა კეთილმასახური მეფის, თამარის ზეობისას. მის ადგილას უფრო ძველი და პატარა აგურის საყდარი იდგა, რომელიც X თუ XI საუკუნეს განეკუთვნებოდა. გადმოცემით, წმიდა მეფე თამარი ხშირად ჩამოდიოდა ზანუხულობით ბეთანიაში, რათა სულიერად მოესვენა, განმარტოებულიყო და მთლიანად ლოცვა-ვედრებას მისცემოდა. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე დიდი ფრესკაა - მეფეთა პორტრეტები. სწორედ აქ არის წმიდა მეფე თამარის ფრესკა. ტაძრის სამხრეთ კედელზე ბერის შესამოსელითა და ტაძრის მოდელით ხელში გამოხატულია ქრიტორის დიდი პორტრეტი - ეს არის სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი. იგი სამეფო კარის სხვა დიდებულებთან ერთად აუჯანყდა მეფე გიორგი III-ს. გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლები ყოფილმა დიდებულმა, ან კი სიმდაბლით აღვსილმა ბერმა სიმონმა (სუმბატ ობზელიანი) სავარაუდოდ საძვალეში - კარიბჭის ქვეშ მოთავსებულ აკლდამაში განატარა და აქვე აღესრულა კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ბეთანიაში კვლავ მოვიდნენ ბერები და

დანგრეულის ადდგენა დაიწყო. არ ჰყოფნიდათ სახსარი და გზაზე დიდი ყულაბა დადგეს ასეთი წარწერით: „მეინეთ მონასტერს!“ აი, ასე, ხელახლა ააშენეს ყოველივე, სავანემაც კვლავ დაიწყო აღორძინება. როცა თავისთვის საცხოვრებელს აგებდნენ, კარიბჭის შორიანხლოს ბერებმა დიდი სამარხი ნახეს – საერთო საფლავი, სადაც ერთად ეწყო ძველები და თავის ქალები. მათგან ბევრს წმიდა ცვილისფერი ჰქონდა კვლავაც. ეს კი, როგორც აღიარებულია, ამ ადამიანთა ცხოვრების სიწმიდეს მონიშნავს. ჩვენთვის ცნობილი არ არის, ვინ არიან ეს ადამიანები, ალბათ, ცხოვრებისეულ შემთხვევითობას არ შეუკრებიან ეს ნაწილები ერთ საფლავში. სწორედ მათ თავზე დგას წმიდა კეთილშესახური მეფე თამარის სახელობის საყდარი.

ბეთანიის შესახებ თითქმის არაფერს მოგვითხრობენ ისტორიკოსები, დუმს მატანეც, მაგრამ მის წარსულზე მეტყველებენ ტაძრის ძველი ფრესკები, ქვაში ამოკვეთილი ჩუქურთმები და წარწერები, არქიტექტურის მკაცრი ფორმები, ყოველ ნაბიჯზე აღმოჩენილი ძველ მკვიდრთა ნეშტნი. ოდესღაც მონასტრის ვრცელი ტერიტორია მასიური გლავანით იყო შემოზღუდული, ტყეში ახლაც შესვდებით ქვიტკირის ლოდებს. მაგრამ ამჟამად ძველი სავანიდან შემოგვრჩა მხოლოდ დვთისმშობლის შობის დიდი გუმბათიანი ეკლესია, კარიბჭითა და დიდებული მოხატულობით შემკული, აგერთვე წმიდა დიდმოწამე გიორგის მცირე დარბაზული ეკლესია, აგებული 1196 წელს და კომპის თაღოვანი შესასვლელი, რომლის ზედა სართულში, შესაძლოა, სამრეკლო იყო. მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას, რომლის მრავალსარკმელიანი გუმბათი ეყრდნობა დასავლეთით ორ თავისუფლად მდგომ სვეტსა და საკურთხევლის შუკრილ კედლებს.

გუმბათის სიმაღლე 27 მეტრია. ტაძრის მოხატულობა სანახევროდაა შემორჩენილი. მისი ზემოთა ნაწილი მთლიანად წაიშალა, ქვემოთ კი ფრესკები ადგილ-ადგილ არის შემონახული. მხატვრობის სქემა XII საუკუნის ქართული ტაძრებისათვის საკმაოდ უჩვეულოა. დმრთისმშობლის ეკლესიის საკურთხევლის კომპოში უფრო ხშირად „დმრთისმშობლის დიდებას“ გამოსახავდნენ, ბეთანიაში კი „საყდარზე მკდომი მაცხოვარი“ იყო გამოსახული (შემორჩენილია მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი). მაცხოვრის ქვემოთ გამოსახულნი არიან წმიდა წინასწარმეტყველები, რაც ასევე უჩვეულოა იმ დროის მხატვრობისათვის. მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ აბსიდის

მოხატულობა უფრო ძველია, ვიდრე ტაძრის სხვა ფრესკები და შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ძველ ტაძარს, რომელიც XII საუკუნეში გადააკეთეს დიდ გუმბათოვან ეკლესიად, ისე, რომ საკურთხევლის ნაწილი და დასავლეთის კარიბჭე ხელუხლებლად დაცოვდა. ეტყობა, თავდაპირველი ტაძარი არ იყო ჯვარ-გუმბათოვანი და ალბათ X საუკუნეს განეკუთვნებოდა.

შესაძლოა, უწინდელი ბეთანიის ტაძარი რომელიმე საუფლო დღესასწაულს ეძღვნებოდა. სამხრეთის კედელზე შემორჩენილია წინასწარმეტყველთა გამოსახულებანი მათ მიერ წინასწარ უწყებულ პირველსახეებთან ერთად, რომლებიც სიმბოლურად ღვთისმშობელს გამოსახვენ. საკურთხეველში ნაწილობრივ შემორჩენილია საყდარზე მკდომი მაცხოვრის ქვემოთ გამოსახული რიგი წინასწარმეტყველებისა, ეს ტაძრის ყველაზე ძველი მოხატულობაა (შესაძლოა X საუკუნის), ქვემოთ მოციქულებისა და მღვდელმთავრების რიგებია. ეს ორი რიგი გადახატულია XIV ან XV საუკუნეში, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა კონტური უწინდელი მოხატულობის ნახაზს იმეორებს. სიმშვენიერთა და მოხდენილობით საოცარია საკურთხევლის ნაწილის ორნამენტები მხოლოდ ქრისტიანობა ათავისუფლებს ადამიანს ამ ავადმყოფური მოთხოვნებისაგან – გადაჰყავს თავისი შვილები ამ წარმავალი, თითქმის ილოზორული სამყაროდან წარუვალს სისხარულის სამყაროში, მუდმივ, უსრბნელ და დაუსრულებელ ყოფაში.

ქრისტიანული ტაძრების თვით ეს ღრმად შინაარსიანი, დახვეწილი, არამქვეყნიური სიმშვენიერე მხოლოდ სუსტი გამოძახილია, მსუბუქი შესება და ანარეკლია მარადიული ცხოვრებისა, ხარებას ღმრთის დიდების მომავალი სუფევისა. ამქვეყნად ეს ხარებანი ზეციდან ცხადდებიან და ღროში ილევინ, თითქოსდა საოცარი გამობრწყინებანი არამინიერი ნათლისა. ასე განვლო და მიიღია, და კვლავ ზეცას დაუბრუნდა დიდებული სიმშვენიერე ბეთანიის მონასტრისა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ძალუძს მრავლის თქმა იმ სულისათვის, რომელიც ზეციურ სიმშვენიერეს ეძიებს. ჩვენ, თანამედროვე ქრისტიანები, იმ გლახაკებს ვგავართ, რომელნიც დიდი ლხინის დამთავრების შემდეგ მიიწვიეს სატრაპეზოში სუფრიდან ნამცეკეებისა და წარჩენების ასაკრებად. დღესასწაულზე მინვეული სტუმრები, მხიარულებისა და მიღებული ძღვენის შემდეგ, პატივდებულნი დაბრუნდნენ სახლებში. ჩვენთვის ლხინი არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სახლის მეფის დიდი მოწყალებით დაგვრთეს ნება ავიღოთ ის, რაც სადილის შემდეგ

დარწა, და ჩვენ მხოლოდ ამ ნარჩენებისა და ოდესღაც ბრწყინვალე მორთულობის ზოგიერთი საკვირველი საგნის მისხედვით შეგვიძლია მივხვდეთ, თუ როგორი საოცარი მოვლენები აღსრულებულა აქ. მაგრამ ამ დიდი სიკეთისთვისაც გულწრფელად უნდა ვმადლობდეთ სახლის მეუფეს, ვმადლობდეთ, იმისათვის, რომ მართალია მდიდრული არაა ჩვენი ტრანჰეზი, მაგრამ მანაც დანაყრებულნი ვართ და შიმშილით არ ვკვდებით. დიდება ღმერთს ყოველივესთვის!

ლომისის ჳმინდა ბიორგის მკლესია

XIII საუკუნე

მეცამეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოს საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს. ერთიანი და ძლიერი თამარის საქართველო დაკნინდა და გაპარტახდა. სვარაზმელებიც მოგვეკვლინენ ღვთის რისხვად. მათი ლაშქარი, რომელსაც სულთანი ჯალალ-ედ-დინი სარდლობდა, ორგზის შემოესია ქვეყანას. მტერი „დაოხრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყვე-ჰყოფდეს და სრულად ხოცდეს და არავინ იყო ნუგეშისმცემელი მათი... გაგრძელდა ესეკითარი ჭირი და ზეგარდამომავალი რისხვა ხუთისა წლისა უამთა“. მტერმა მაშინ არაგვის ხეობაც დაარბია და 7000 არაგველი ტყვედ წაასხა. ტყვეებს თან მთიულეთის მთავარი სიმინდე – გზოვანის წმინდა გიორგის ხატი – წაუღიათ. გადმოცემით, ამ ძლიერ ხატს სვარაზმელთა (სორასნელთა) მხარე „შეუკრავს“ – დედამინას ნაყოფი აღარ გამოუღია, აღამიანი და საქონელი გაბერებულა... ერთი სიტყვით, ქვეყანა დაღუპვის პირას მისულა. თავზარდაცემულ სულთანს მკითხავენი უხმია. მათ მოუხსენებიათ, უბედურების მიზეზი გურჯისტანის ხატიაო. საკირეში ჩააგდეთო, მცისვე უბრძანებია სულთანს. ასეც მოქცეულან, მაგრამ უკნებელი ხატი საკირიდან ამოტრეწილა და იქვე მოვლენილი თეთრი ხარის რქაზე დაბრძანებულა. ხარი და ხატი მანამ არ დაძრულან ადგილიდან, სანამ სულთანს ყველა ტყვე არ გაუთავისუფლებია. მანაც დაჰკლებიათ ერთი კოჭლი დედაკაცი, რომელიც ვიდაც სორასნელს მოახლედ წაუყვანია. ის ქალიც სასწრაფოდ მოუძებნიათ და ხატინი ხარიც 7000 ტყვეყოფილის თანხლებით საქართველოსკენ დაძრულა. გზად, სადაც კი ხარს შეუსვენია, ხალხს ყველგან ნიში აუგია. შინ დაბრუნებული ხარი, ყველას გასაკვირად, გზოვანის მთაზე კი არ

ასულა, ერთ ციკაბო ბილიკს შესდგომია, ქსნისა და არაგვის სეობათა წყალგამყოფ ქედამდე მიუღწევია და იქ უსულოდ დაცემულა. სატიც იქვე დაფრენილა. ამ მთის წვერიდან არაგვამდე ხალხი კაჭკად გაბმულა და ცაძარი აუშენებია. რაკი ხარს ლომა ერქვა, სალოცავსაც ლომისის წმინდა გიორგი უწოდეს. ამის შემდგომ ტყვეყოფილები არაგვის სეობაში გაფანტულან და მადლიერების ნიშნად წმინდა გიორგის სახელზე საყდრები აუშენებიათ. იქიდან მოყოლებული, უკვე რვა საუკუნეა, სულთმოფენობის შემდგომ ოთხმბათს მლოცველებით, ლომისას უნჯი ანუ ძირძველი ყმებით, იუსება ძველი საყდარი. „დემერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისის წმინდა გიორგის, სორეშანით მობრძანებულს, შვიდი ათასი ტყვის მხსნელს, ქსნისა და არაგვის თავდამყუდებელს“, – ილოცებიან მთიულნი. საინტერესოა, რომ ამ თქმულებას იმეორებს გურიის სოფელ ძიმითის წმინდა გიორგის ხატის კუბოს წარწერა, სადაც ნათქვამია: ეჰა შენ, დიდო მხეო მხედარო და ღვანლით შემოსილო და სვარასანთა ტყვეთა მხსნელო, სასწაულთმოქმედო ახოვანო და წმინდაო მონამეო გიორგი“.

ვასხუცი ბაგრატიონი წერს: „ლომისის მთის თხემსა არს ეკლესია წმინდა გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდება მთასა ამას სახელი ესე), უგუმბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი დახიზნულობით. უჭვრეტს სამხრით ქსანსა, ჩრდილოეთით – მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი“. ლომისის ცაძრის ტრაპეზი ორსაფეხურიანია. მასზე შეწირული ხატებია დასვენებული. არავინ იცის, სად არის ლომისის სასწაულთმოქმედი ხატი. აქაურთა თქმით, შიშინობის დროს დეკანოზებს იგი გადაუმაღლავთ და სანაცვლოდ მისი მსგავსი ვერცხლის ხატი მოუჭედინებიათ. გადამაღული ხატი ვეღარ უპოვიათ.

ასლი ახლა მღეთის ეკლესიაშია დაბრძანებული. ეკლესიაშივე ინახება ლომისას ძველი ხატები (ჯვრები), ვერცხლით მოჭედილი და უბრალო ფერადი ქვებით შემკული (ორ მათგანს XVII საუკუნის სუცური წარწერა აქვს, სადაც ბურდულის გვარია მოხსენიებული). ლომისას ერთი ბავრავი (საეკლესიო დროშა) და ალამიც აქვს. ბავრავი წითელია და ზედ ზანზლაკები ჰკიდია, ალამი კი სამფეოროვანია (წითელი, თეთრი და ლურჯი). ალამს წვერზე შუბანი თითბრის ბურთი უკეთია. ლომისის მუხის კარს რკინა აქვს გადაკრული, რომელზეც თვრამეტსტრიქონიანი სუცური წარწერა ამოუჭრიათ. ამ წარწერიდან

ირკვევ კარის შემჭედი ოსტატების, პურისა და რკინის შემომწირველთა ვინაობა. ნაწნეო XVI–XVII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. კარს ოთხ მსკრივად რგოლები დაუყვება. ღამის დარაჯი, ეკლესიაში ქურდი რომ არ შეპარულიყო, ამ რგოლებს ფეხზე აყენებდა. თუ კარს ვინმე მიადგებოდა და წვალეებს დაუნყებდა, რგოლები ცვიოდა და ხმაური დაძინებულ დარაჯს ადვიძებდა. თუკი მცველი დღისით დატოვებდა ეკლესიას, რგოლებს ისე აწყობდა, რომ უკან დაბრუნებულს შეემჩნია, ვინმე ხომ არ მიჰკარებოდა ტაძრის კარს. ლომისის კარის შესახებ ასეთ ამბავს ჰყვებიან: ერთხელ მთაზე მეფის ჯარს შეუსვენია. მოშინებულ მოლაშქრეებს კერძის მოსახარმად შეშა ვერ უპოვიათ, მეთაურის ბრძანებით ლომისის კარი ჩამოუხსნიათ, დაუპიათ და იმით დაუნთიათ ცეცხლი. უჭამიათ თუ არა, ყველა დაბრმავებულია. მეთაური ლომისას შეკედრებია, თვალის ჩინი დაგვიბრუნე და ტაძარს რკინის კარს შევანამო. კარს თვალი ახელია და სარდალს მადლობის ნიშნად ეს კარი შეუბამს.

ტაძარში ახლაც ინახება საყელურიანი დიდი რკინის ჯაჭვი. ვისაც აღთქმა აქვს დადებული ან აღთქმის დაღება უნდა, ანდა რაიმეს ეკედრება წმინდანს, ამ ჯაჭვს კისერზე იდებს და ტაძარს სამგზის შემოუვლის ლოცვით. ზოგს ეს წარმართობის გადმონაშთი ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯაჭვის კისერზე დადებით წმინდა გიორგისთვის ყმობის გამოცხადების ტრადიცია საქართველოში სხვაგანაც ყოფილა გავრცელებული (მაგალითად, ანჟურში). სანტერესოა, რომ პალესტინაში წმინდა გიორგის ტაძრის მოლოცვისას თანამედროვე პილიგრიმებს სწორედ ასეთი საყელურიანი რკინის ჯაჭვი უნახავთ. ხალხური გადმოცემით, ლომისის ჯაჭვი ბარბიდან კისრით ამოუტანია დიდად ცოდვილ დადიანის ქალს. სხვა ვარიანტით, წმინდა გიორგის სასწაულებრივად უხსნია ერთი ქართველი ტყვე და მასაც მადლობის ნიშნად ჯაჭვი, რომელიც ტყვეობაში კისერზე ედო, ლომისის მთაზე ამოუტანია.

ბერბეთის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი

XIV საუკუნე

გერგეთის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი XIV საუკუნის ძეგლია. თეიმურაზ ბაგრატიონის „ივერიის ისტორია“ მოწმობს, რომ მანამდე სამების მთაზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ჩვენი ერის სულიერ

ცხოვრებაში სამების ტაძარს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საუკუნეების განმავლობაში ხევის ისტორიაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მასთან იყო დაკავშირებული. ხევში არსებობს ასეთი გადმოცემა: ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ, თუ სად უნდა აშენებულიყო წმიდა სამების ტაძარი. მაშინ მცხეთაში ერთ ბერიკაცს მათთვის მოუხსენებია: „მეფენო, თურ-ბერნი დაჰკალით და მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დააგდეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, სამებაც იქ ააშენეთ“. მეფეები ასეც მოქცეულან. ყორანი მოტრეწილა და წაუღია სამგორველი. მდეგრად ხალხიც თან გაჰყოლია. ანაურის თავზე ყორანს დაუსვენია და აქ სამების ნიში აუგიათ. ყორანი აქედან ბიძარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრენილა და აქაც ჯვარი აღუმართავთ. აქედან კი გერგეთში, „ეღგემის“ ნიშთან გადაფრენილა, ცოცხა დაუსვენია, ბოლოს სამების მთაზე დაუგდია სამგორველი და ძვალეც იქ გამოუხრავს. მეფეებს დავა ახლა იმაზე მოსვლიათ, თუ ვის უნდა ჩაეყარა საძირკველი. წამომდგარა ერთი კეთილი კაცი და უთქვამს: „წადით ბიძარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართული, იქიდან გამოიქცეთ და ვინც სამებაზე პირველი ვაჟს, საძირეც იმან გაჭრასო“. ასეც მოქცეულან და ყველანი – ცხენით თუ ფეხით – ბიძარის მთიდან გამოქცეულან. მათ შორის ერთი სურთისელი კოჭლი ბახნიძე მთა-მთა მოკლე გზით გადმოსულა, სამების მთაზე ცხენოსნებზე წინ მისულა და საძირკველიც მას გაუჭრია. ამის შემდეგ დაწყებულა ტაძრის მშენებლობა. მის ასაგებად ქვა დევ-წიქარა ხარებს ყანობ-სურთისიდან ამოუტანიათ, კალატობებისთვის წყალი მეცხვარეს უზიდა, წყაროს დღესაც კალატას წყაროს უწოდებენ. უძველესი დროიდან სამების ტაძრის ყმებად გერგეტველები ითვლებოდნენ. მათ ჰქონდათ ეკლესიის მოვლა-პატრონობის პატივი. მიმდებარე მიწები მთლიანად მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა.

ჩვენი ქვეყნისათვის სასიფათო და განსაცდელეებით აღსავსე წლებში ეკლესიის უდიდეს სიმდიდრეს, მათ შორის, წმიდა ნინოს ჯვარს და მაცხოვრის სამსჯავალს გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი იცავდა. კომუნისტური მმართველობის ხანაში საქართველოში სრულიად ჩაკვდა სულიერი ცხოვრება, ჩვენში სარწმუნოების აღორძინება და ბერ-მონაზვნური ცხოვრების გამოღვიძება მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II აღსაყდრების შემდეგ დაინცო. შეუძლებელია, ეს სულიერი გამოღვიძლება მის მშობლიურ კუთხეს, სიკვდილს ვერ შეხებოდა. მისმა უწმიდესობამ 1980 წლის 16 ივლისს გერგეთის სამებაზე წირვა აღავლინა და ამ დღეს სიყვარულის დღესასწაული უწოდა. მას შემდეგ სრულიად საქართველო ზეიმობს გერგეთის სამებას. მისი უწმიდესობა ყოველწლიურად ესტუმრება ხოლმე მშობლიურ სივს და მოილოცავს მის სინიდეებს. თუმცა გერგეთის ტაძარი ყოველდღე მინდა სამების სახელობისა, აქ მარიაშობის მიძინების დღესასწაულს (15 (28) აგვისტო) დიდი ზეიმით აღინიშნება. ერთხელ, როდესაც მორწმუნე მრევლი ჩრდილო კავკასიიდან თესშიშველი მოდიოდა წმ. სამების მოსალოცად, მორწმუნეების თავზე ეს განიხსნა, ღვთისმშობელი გამოეცხადა და დალოცა მართლმადიდებელი მრევლი. დღეს აქ მამათა მონასტერი შენდება და ბერები მოღვაწეობენ.

2002 წლის 16 ივლისს, წირვის შემდეგ მისმა უწმიდესობამ ბრძანა: „დღეს საოცარი დღესასწაულია. არსებობს რწმენა, სასოება და სიყვარული. სიყვარული არის მარადიული და აი, მარადიული სიყვარულის დღესასწაულია დღეს. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ღირსი გაგვხადა აქ მოსვლისა და ამ სიყვარულთან ზიარებისა. ღვთის სიყვარულში გავეხვეთ სულეველს, ღვთის სიყვარულმა მოგვიყვანა აქ და ღვთის სიყვარულმა განათბო ჩვენი გულები. ყველას გილოცავთ სიყვარულის დღესასწაულს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ. ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს და განათლიანოს თავისი სიყვარულით სრულიად საქართველო. ამინ“.

გერგეთის სამება სტეფანწმინდის რაიონში მდ. ჩხერის ნაპირას, ზღვის დონიდან 1800 მ-ზე მდებარეობს.

ტაძარი ლანდშაფტთან შერწყმითა და მიმზიდველი კომპოზიციით საქართველოს საეკლესიო სუროთმოძღვრების გამორჩეული ნიმუშია. კომპლექსის ეკლესია და სამრეკლო იმგვარადაა განლაგებული მადალი მთის წვერზე, რომ თერგის ხეობიდან მთამბეჭდავად იკითხება მყინვარწვერის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი ტაძრის სილუეტები, რომლისთვის თვალის მონყევაც თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ადრიდანვე, სივს უმთავრეს სალოცავს, რომელიც ხშირად მთის თეთრ ღრუბლებსაა შეფარებული, თავისი მშვენიერების გამო „სივს პატარძალს“ უწოდებენ. გერგეთი იმითაცაა გამორჩეული, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარია. წყაროთა უწყებით სამება სამონასტრო კომპლექსი ყოფილა.

დღეისათვის კი ძველი მონასტრიდან შემორჩენილია გალავნით შემოსაზღვრული: ყოვლადწმიდა სამების სასახელობის გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და ტაძრის სამხრეთ ფასადზე მიშენებული მცირე ზომის საბჭო (საბჭოში მთის ძველი ჩვეულების თანახმად, უსუცესთა საბჭო იკრიბებოდა, რომელიც თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის ორგანო გახლდათ). ტაძრის აგების თარიღი უცნობია, არც მის მშენებლებსა და მშენებლობაზეა შემონახული ცნობები. მის სახელწოდებაში ტერმინ „გერგეტის“ მოხსენიებას კი განაპირობებს ის ადგილმდებარეობა, სადაც ტაძარია აღმართული. ადრიდანვე სოფელი გერგეტი მდინარე თერგის მარცხენა მხარეს იყო გაშენებული, ხოლო მარჯვენა მხარეს ისტორიული ხევის ადმინისტრაციული ცენტრი – სტეფანწმინდა. ტაძარი კი მარცხენა მხარეს, ნასოფლარ გერგეთის ტერიტორიაზეა აგებული.

XX ს. ბოლო მესამედში, კერძოდ 1966 წ. სოფელი გერგეთი ყაზბეგს შეუერთდა, მაგრამ ეკლესიის ძველი სახელწოდება უცვლელი დარჩა და მას ჩვეულების თანახმად კვლავ გერგეტის სამებას უწოდებენ. გერგეთის სამება საშუალო ზომის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ტაძრის გეგმა გარე სწორკუთხედშია მოქცეული. მას ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სამხრეთ შესასვლელი შესამჩნევად განიერია დასავლეთისაზე. ტაძრის ინტერიერში აშკარად იგრძნობა გუმბათის ყელისა და ქვედა ტანის პროპორციათა შეუსაბამობა. ზომებით ისინი ერთი-ერთზეა, რაც ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია (XIV-XV სს.) და მსგავსი პროპორციულობა იმ პერიოდის სხვა ტაძრებზეც აღინიშნება. წინა პერიოდის სხვა არქიტექტურულ ძეგლებში გუმბათის დიამეტრის შეფარდება დანარჩენ ნაწილებთან გაცილებით ნაკლებია, თუმცა ტაძრის გუმბათი მაღალია, რომელზედაც პროპორციის დაუცველად არის განლაგებული პატარა სარკმლები. ეკლესიის საკურთხეველი საკმაოდ დრამა, რომლის შუა ადგილზე დგას წმიდა ტრაპიზი. იგი თავდაპირველი, ტაძრის აშენების დროინდელი უნდა იყოს.

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ თითო ოთხკუთხა სათაუსია, სამხრეთით – სადიაკვნე, რომელიც ცენტრალურ ნაწილთან სწორკუთხა კართაა დაკავშირებული, ჩრდილოეთის მხარეს კი – სამკვეთლო. სამკვეთლო თითო კართით უკავშირდება საკურთხეველს და დარბაზს. სადიაკვნეს პატარა სარკმელი სამხრეთის მხრიდან აქვს გაჭრილი, როგორც წესი მსგავს შემთხვევებში სარკმელი

ადმოსავლეთიდან უნდა იყოს, მაგრამ ოსტატს, როგორც ეტყობა, სარკმელი სამხრეთის ფასადის მორთულობისთვისაც გამოუყენებია. სამკვეთლოს სარკმელი კი ადმოსავლეთიდან აქვს გაჭრილი. სადიაკვნესა და სამკვეთლოს ზემოთ თითო სათავსია, ე.წ. სამალავები, საიდანაც კონქსზედა სივრცეში შეიძლება მოხვედრა. ორივე სათავსი ადმოსავლეთის მხრიდან ნათდება თითო პატარა სარკმლით. ტაძარი ასევე გამოიჩნევა სამალავთა სიმრავლით და მის ყველა მონაკვეთს აქვს დიდი ან პატარა მეორე სართული: გვერდით ნავებს, საკურთხეველს, დასავლეთის მკლავისა და მცირე ზომის გვერდითი ჯვრის მკლავებითაც კი. ფაქტიურად ეკლესია ორსართულიანია და მისი მეორე სართული უცხოეთის შეუმჩნეველად არსებულ საკმაოდ დიდ სამალავ სივრცეს წარმოადგენს, რაც ტაძრის თავდაცვით ფუნქციასაც მიანიშნებს არა მარტო ამ კუთხის მოსახლეობისა და საეკლესიო სიმნიშვნელობისათვის, არამედ ქართლის ბარისთვისაც. ვახუშტის უწყებით, იგი ადრიდანვე, „...მცხეთის სამკაულის სახიზრად“ ითვლებოდა და გარკვეულ დროს მტერთა შემოსევისას, „აქ უსუენა ნინოს ჯვარი“. ტაძრის შიდა სივრცეს ძირითადად ცენტრალური ჯვრის მკლავები და მათზე აღმართული გუმბათი ქმნის.

ჯვრის მკლავებიდან გვერდითებს ორჯერ აღემატება ადმოსავლეთისა და დასავლეთის დრმა მკლავები. თვითონ გუმბათი კი დაყრდნობილია საკურთხეველის კუთხეებზე და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე. გუმბათის ყელი მეტად მაღალია, მას სიმაღლეს მატებს ზემოთ არსებული სამალავების გამო სარკმელების დიდ სიმაღლეზე მოთავსება, თუმცა გარედან აღნიშნული ასიმეტრიულობა არც კი შეინიშნება. გუმბათის ყელი ათწახნაგოვანია. თითოეული წახნაგი ცალ-ცალკეა და თაღებითაა შემოთარგვლული. სარკმლების შემომყოლ ორწახნაგოვან არქივს გარს უვლის შეწყვილებული ლილვი, რომელიც ეყრდნობა ბურთულებიან კვადრატებს. გუმბათზე სარკმელთა რაოდენობა სუთია, ისინი ათ წახნაგზე თითოთა გამოტოვებით მდებარეობენ, მათ შორის კი ცრუ სარკმლებია განლაგებული.

გუმბათი თავდაპირველი სახით არ მოღწეულა, იგი რაღაც მიზეზით დაზიანებულა და შემდეგ აღუდგენიათ. შიგნით გუმბათი თავიდან თლილი ქვით ყოფილა ამოყვანილი, ხოლო რესტავრაციისას გუმბათის კამარა მთლიანად აგურით აღუდგენიათ, გარედან კვლავ ძველი ქვები არის გამოყენებული. ტაძრის ინტერიერს გუმბათის აღნიშნული სუთი პატარა სარკმლის გარდა, ანათებს ჯვრის ყოველ

მკლავში მოთავსებული თითო სარკმელი, ამდენად შიდა სივრცისათვის სინათლის წყაროს აღნიშნული ცხრა სარკმელი წარმოადგენს, რაც ბუნებრივია, საკმაოდ მოზრდილი ტაძრის განათებისათვის საკმარისი არ არის. თუმცა მკვლევართა მიერ ტაძარში ასეთი „ამოღამება“ იმ პერიოდის არქიტექტურული სტილის გამოხატულებადანა მიჩნეული, როდესაც აიგო სამების ეკლესია. ეპოქის დამახასიათებელ ნიშნადანა ასევე მიჩნეული ტაძრის ფასადებზე მორთულობის ნაკლებობა და რაც არის, იმის უმრავლესობის კედელში ჩაფლულობაც. ეს ყველაფერი კი ფასადთან განმეორების გამოწვევანა. თუმცა გერგეთის ტაძრის სხვათაგან გამოირჩევა ნიშნად მის ოთხივე ფასადზე არსებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯვარიანა. მათგან კი აღმოსავლეთ კედელზე არსებული ჯვარი გამოირჩევა თავისი დიდი ზომითა და სავანგებო მორთულობით. აღნიშნული ფასადის მცირე ელემენტებიდან ასევე აღსანიშნავია მის ზედა იარუსზე არსებული პატარა სარკმლები. ესენი ფაქტიურად დეკორატიულ ფილებს წარმოადგენენ და მათში სარკმლების დანახვა ჭირს. ჩუქურთმანში ჩამალული პატარა სარკმლები საიდუმლო ოთახების გასანათებლად იყო განიზნული და მათი ჩუქურთმის დეტალად წარმოსახვაც სწორედ იმ შეფარული მიზნის განხორციელებანა იყო, რანა დანიშნულებაც მას პრაქტიკულად ენიჭებოდა.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი (XVI საუკუნე)

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი თელავის სიანხლოვეს მდებარეობს, ცივგომბორის მთის ტყით შეფენილ კალთაზე. სახელწოდებანა მონასტერმანა ადგილმდებარეობიდან მიიღო – მას სამი მხრიდან მთები აკრავს, თავად კი მათთანაშუანა მდებარე ვაკეზეანა აგებული. მონასტერი დაფუძნდა XVI ს-ის 50-იან წლებში კახეთის მეფის ლევანის (1520–1574) და მისი მეუღლის თინათინის მიერ. დედოფალი თინათინი ამავე მონასტერში აღიკვეცანა მონაზვნად და აქვეანა დაკრძალული. მონასტრის დანარსების შესახებ არსებობს გადმოცემანა: ახლადჯვარდანერილ სამეფო წყვილს – მეფე ლევანსანა და დედოფალ თინათინს იმ ადგილას შემოაღამდათ, სანდაც ახლანა

შუამთის მონასტერია აგებული. მეფის ამაღლა გურიიდან მოასვენებდა ხატს, რომელიც დედოფალს განუშორებლად თან დაჰქონდა. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი ღამისთევისას ერთი შინდის ხის ქვეშ დაუბრძანებიათ. მეორე დღეს, როდესაც გამგზავრება დააპირეს, ხატი ადგილიდან ვერ დაძრეს, სანამ დედოფალმა არ აღუთქვა ამ ადგილზე ეკლესიის აგება და ძველი შუამთიდან მონასტრის აქ გადმოტანა. შუამთის მონასტერსა და მის მთავარ ტაძარს არც თინათინ დედოფლის შემდგომ მოკლებია ყურადღება: მონასტრის აგებიდან მკირე ხნის შემდეგ, XVI საუკუნის მიწურულს, დედოფლის ასულს თეკლა მონაზონს მონასტრის მთავარი ეკლესიისთვის მთავარანგელოზთა ეკედერი მიუშენებია და მისთვის შენირულობებიც უბოძებია; უფრო მოგვიანებით, მეფე თეიმურაზს 1637 წლის სიგელით მონასტრისთვის შეუწირავს ბაჟი იმ სავაჭრო ქარავანთაგან, რომლებიც გომბორის გზას გაივლიდნენ. ერთი საუკუნის შემდგომ, XVII საუკუნის II ნახევარში, ტაძარი მეფე ერეკლე II დვანლით იქნა განახლებული. ახალი შუამთის მონასტრის ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი ხახულის ღვთისმშობლის ხატია; იგი დაბრძანებული ყოფილა ტაძრის კანკელის წინ, მარჯვენა მხარეს. ოდიგიტრიის ტიპის ჩვილადი ღვთისმშობლის თერნერული სახე ოქროთი და ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი ხატს ზურგზე 44 წმიდა ნაწილი აქვს. დღეს ეს ხატი თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურშია დაცული.

XIX საუკუნეში ახალი შუამთის მონასტერი, კახეთის სსვა სასულიერო კერათა მსგავსად, ქვეყნის ძნელბედობის თანაზიარი აღმოჩნდა - სამონასტრო ცხოვრება აქ თანდათან მიწედა. მისი ხელახალი აღორძინება ალავერდის ეპისკოპოსის, შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქის კირიონის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მისი დვანლით განახლდა მონასტერი 1899 წელს. თუმცადა ეს პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა - საბჭოთა ხელისუფლების დროს მონასტერი დაიხურა და ბავშვთა სახლად გადაკეთდა. ახალ შუამთაში სამონასტრო ცხოვრება 1990 წელს აღდგა.

მონასტრის მთავარი ტაძარი ღმრთისმშობლის შობის სახელობისაა. ეკლესია აგურითაა ნაგები. ტაძრის ხილვისას, უწინარეს ყოვლისა, მისი აზიდული პროპორციები იპყრობს ყურადღებას. მის ხუროთმოძღვრულ სახეს თავწყნროდ ტაძრის ის ტიპი უდევს, ასწლეულთა მანძილზე

რომ იყო საქართველოში დამკვიდრებულ-გავრცელებული. გეგმაში სწორკუთხა, მადალგუმბათიან ნაგებობას ფასადებზე კუროთ დაგვირგვინებული დეკორი ამშვენებს. მრავალრიცხოვანი სარკმლებიდან უხვად შუქნადვრილი ინტერიერი ტაძრის აგებისთანავე მოუხატავთ. ტაძრის ფრესკები, ნაწილობრივ დაზიანებული, მხატვრული გადაწყვეტით გვიანათონური მხატვრობის თანადროულია. ფერწერულ ანსამბლში გაერთიანებულია ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებისა და ცალკეული გამოსახულებების გვერდით ჩაურთავთ სამეთო ოჯახის პორტრეტი, რომელზეც წარმოდგენილია მეფე ლევანი, დედოფალი თინათინი და მათი ძე. მონასტრის მთავარ ტაძარს ორი პატარა ეკვდერი აკრავს. მათგან ერთი, ჩრდილოეთისა, მთავარანგელოზთა სახელობისაა. ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან მდებარე მონაკვეთის განშენდის შემდეგ ის ტრაპეზის ძირი აღმოჩნდა. იგი 1995 წელს ეკურთხა წმიდა მამა დავით გარეჯელისა და გარეკში მოღვაწე წმიდა მამათა სახელებზე. მონასტრის ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმართული ოთხსართულიანი სამრეკლო ტაძრის თანადროული უნდა იყოს. მონასტრის სწორკუთხა მნიშვნელობაზე მეტყველებს ის საგანძობი, რომელიც ახლეულების მანძილზე საქართველოს მეფე-მთავართა მიერ შეწირულობების სახით მონასტრისთვის იქნა ბოძებული - მათ შორის იყო ბარძიშები, კანდელები, ნაქარგობანი, ჭურჭელი და სხვ. აქვე ყოფილა მდიდარი წიგნსაცავიც.

XIX ს-ში მონასტრის მთავარი ტაძარი ჭავჭავაძეთა განსასვენებელს წარმოადგენდა. აქ დაუკრძალავთ გარსეევან ჭავჭავაძის მეუღლე, მარიამ ავალიშვილი (1836), პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1846), დავით ჭავჭავაძე (1884). ჭავჭავაძეთა გარდა ტაძარში სხვა საგვარეულო საფლავებიც არის. მათ შორის - ყარაღაშვილები, რომელთაც მონასტრისათვის დიდი სავარგულები შეუწირავთ, აგრეთვე მყაშვილთა და ანდრონიკაშვილთა საგვარეულოების წარმომადგენლები. ახალი შუამთის ხახულის დვთისმშობლის დედათა მონასტრის ძირითადი საქმიანობაა: ხატწერა, ხელსაქმე, მთარგმნელობითი საქმე, სამონასტრო მეურნეობის მოვლა-პატრონობა. ტაძრის დღესასწაული 8(21) სექტემბერსაა - ღმრთისმშობლის შობის დღეს; მეორე დღეს, 9(22) სექტემბერს, ეპისკოპოს პირიონის მიერ დანესხებულია დედოფალ თინათინის სულის მოსახსენიებელი მსახურება - წირვა-ლოცვა. ტრადიციულად მონასტრის წინამძღვარია ეპარქიის მღვდელმთავარი, ამჟამად - ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.

გრემი 1565 წელი

გრემი — ქართული სუროთმოდერების ძეგლი, მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. გრემის აღმოსავლეთით ციტადელში, მაღალ გორაკზე. ააგო კახთა მეფე ლევანმა 1565 წელს. მოხატვა დაუმთავრებიათ 1577 წელს. ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 1939-1949 წლებში (სელმძღვანელი ა. მამულაშვილი) და 1963-1967 წლებში (სელმძღვანელი პ. ზაქარაია). ქალაქს ეკავა დაახლოებით 50 ჰა. შედგებოდა 3 მთავარი ნაწილისაგან: მთავარანგელოზთა კომპლექსი, რომელშიც შედიოდა მთავარანგელოზთა ეკლესია, 3-სართულიანი სასახლე, სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობანი (საწნახლიანი მარანი, ლითონის მკირე ზომის ნივთების დასამზადებელი ქურა). ქალაქის ამ ნაწილს შეეძლო დამოუკიდებლად ეცხოვრა. შემოზღუდული იყო კომუნიანი გლავნით. ჰქონდა ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი მდინარე ინწობისაკენ. სამეფო რეზიდენცია, რომელშიც განლაგებული იყო სამეფო სასახლეები, შადრევანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აგურით ნაგები აბანო და სხვა. სავაჭრო უბანი, რომლის ცენტრში მდებარეობდა გეგმით სწორკუთხა დასურული ბაზარი (ქულბაქები) და სასტუმრო (ქარვასლა). 2007 წლის 24 ოქტომბრიდან გრემის სამეფო სასახლე და ეკლესია შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში

მარტვილის მონასტერი

VI-VII სს

მარტვილის მონასტერი დაარსებულია VI-VII სს-თა მიჯნაზე. გადმოცემით, აქ წარმართები თავიანთ კერძს - ჭყონდიდს (დიდი მუსხა) დედისერთა ჩვილ-ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. მარტვილის ტრაპეზი სწორედ ამ მუსხის ძირზეა დადგმული, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოქცევისას ანდრია პირველწოდებულმა სასწაულებრივად მოკეთა. დიუბუა დე მონპერეს აზრით, დღევანდელი ტაძრის კედლებში ჩატანებულია მანამდე აქ მდგარი საკერპო სალოცავის ზოგიერთი ნაშთი. VI-VII სს-ში, როდესაც აქ მონაშეთა (მარტვილთა) ეკლესია ააგეს და მონასტერი გაშენდა, მას მარტვილი ეწოდა. საეპისკოპოსო კათედრას ჭყონდიდის სახელი შერჩა. X ს-ში

აფხაზთა მეფე გიორგი II-მ აღადგინა ტაძარი: „შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტ ლთათა“. ამის შემდეგ მარტვილის ტაძარი იყო განთქმული და „წარჩინებული სამღვდელთ-მოძღვრო საყდართა შორის სამეფოსა“.

ბაგრატ IV-ის მეფობაში (1027-1072) ჭყონდიდის ტაძარი უპირველესად იყო მიხნეული. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში წამოსულ გიორგი მთაწმინდელს მეფემ ჭყონდიდის კათედრა შესთავაზა. ბაგრატ IV-მ აქი ინება საუკუნო განსასვენებელი. ჭყონდიდელი ძველ საქართველოში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. გარკვეული პერიოდი ის მწიგნობართუხუცესობასაც ითავსებდა. აქაური მღვდელმთავრები „ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ იწოდებოდნენ. ისინი ხშირად სამეფო კარის საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდნენ. მაგალითად, სვიმონ ჭყონდიდელ-ბედიელ-აღაპერდელი დავით აღმაშენებელმა ანისის გამგებლადაც კი დაადგინა, რუსუდანის დავალებით არსენ ჭყონდიდელი ბათოს კარზე გაგზავნა და სსვ. მარტვილის მონასტერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობარნი: იოანე მინწხი - ჰიმნოგრაფი (X ს.), სტეფანე სანანოისძე (X ს.), გიორგი ჭყონდიდელი (XI ს.), იოანე მთავარეპისკოპოსი (XI ს.), იოანე მუსკეტი (XI ს.), წმ. მღვდელმთავარი ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (XVIII-XIX სს.), რომანოზ მუსკეტი (XIX ს.), დავით ჭყონდიდელი (XIX ს.), გიორგი ჭყონდიდელი (XIX ს.) და სსვ. მონასტერში იყო კრიპტერია - გადამწერ ბერთა სამყოფი. ითარგმნებოდა წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები.

აქ მოღვაწეობდა დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ჭყონდიდელად იწოდებოდა თამარის დროის ცნობილი მოღვაწე ანტონ გლონისთავისძეც. სამონასტრო კომპლექსის მთავარი - დეთისმშობლის მიძინების ტაძარი (21 ს 17,5 მ) - აგებულია მცირე გალავნით შემოსაზღვრული მოედნის შუაგულში. ტაძარმა ძლიერ გადაკეთებული სახით მოაღწია ჩვენამდე. თავდაპირველად ის ჯვრის ტიპის ნაგებობა ყოფილა. თურქ-არაბთა შემოსევებმა იგი ძლიერ დააზიანა. X საუკუნეში, აფხაზთა მეფის გიორგი II-ის დროს, ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს: დაუმატეს გარეთა კედლები, ამოიყვანეს ახალი გუმბათის ყელი, ამიტომ იგი გარედან აღარ მოგვაგონეს ჯვრის ტიპის ძეგლს. დასავლეთის ეგვტერიც ასევე X საუკუნისაა.

მხოლოდ აღმოსავლეთშია ხელუხლებლად შემორჩენილი წახნაგოვანი შვერილი, ორივე მხრივ დრმა ნიშნით. იატაკი დაფენილია ფილებით, რომლებიც ცენტრში სხივისებურადაა განლაგებული. ტრაპეზი XVIII ს-შია შესრულებული. ძეგლის აგების ხანას მიეკუთვნება დასავლეთის კარის ლუნეტში (თაღში) შემორჩენილი მოზაიკის მცირე ფრაგმენტი ღვთისმშობლის წელსზევითაა გამოსახულებით ყრმა იესოთი ხელში. დასავლეთ მინაშენის ზედა ნაწილში დაცულია დიდი რელიეფური გამოსახულებანი ძველი ქართული წარწერით (X ს.). ცაძარი მრავალჯერ ყოფილა მოხატული. თავდაპირველი VII ს-ის ფრესკებიდან მხოლოდ მცირედია შემორჩენილი. შედარებით უკეთაა შემონახული XVI-XVII სს-ის ფრესკები, რომლებზეც გამოსახულნი არიან ჭყონდიდელები - ზაქარია ნიხლაძე, ზოსიმე კოპალაძე, გიორგი II ლიპარტელიანი, კაცია ჩიქვანი, გიორგი III ლიპარტელიანი და სხვ. მთავარი ცაძრის სამხრეთ-დასავლეთით აღმართულია X-XI სს-თა მინჯაზე აგებული სვეტი, მის ქვედა ნაწილში იყო გასასვლელი, ზევით კი - სენაკი და ეკლესია. XI ს-ში აქ მოღვაწეობდა იოანე მესვეტე, XIX ს-ში - მესვეტეები რომანოზი და იესე. რომანოზს სვეტზე 35 წელი გაუტარებია. დიუბუას დროს აქ დაცული იყო კიბე, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა სვეტზე მოხვედრა. საკათედრო ცაძრის ჩრდილოეთით, განლაგანზე დგას თლილი ქვებით ნაგები მინიატურული კვარგუმბათოვანი ეკლესია, „ჩიქვანებისად“ სახელდებული. იგი X ს-შია აგებული, გადაკეთებულია გვიანდელ ფეოდალურ ხანაში.

ეკლესია სამსართულოვანია. პირველ სართულზე მოწყობილია გასასვლელი, რომელიც ამავე დროს ეგვიპტის დანიშნულებას ასრულებს, მეორეზე გუმბათოვანი ეკლესიანა. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „სიღამაზე ამ ეკლესიისა სწორედ მომხიბლავია და მარტო ამის სანახავად დირს რომ კაცი გაემგზავროს მარტვილში“. 1825 წელს ბესარიონ ჭყონდიდელს (კაცია დადიანის ძეს) აუგია დღეს არარსებული სამსართულიანი სამრეკლო. XIX ს-ის II ნახევარში მარტვილში ამოქმედდა მამათა მონასტერი, რომელმაც XX ს-ის 20-იან წლებამდე იარსება. XIX ს-ის II ნახევარში, მთავარი ცაძრის დასავლეთით ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) მღვდელმთავრობის დროს აიგო საეპისკოპოსო სასახლე.

პაცხის სვეტი სვიმონ მისკმტის სახელობის მამათა მონასტერი

X-XI საუკუნე

კაცხი - სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე კაცხურის ნაპირას. ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზაზე. ტერიტორიული ორგანოს ცენტრი (სოფლები: დიდი კაცხი, ენკი, მორძღვეთი, ნავარძეთი, სალიეთი, ჯოყოეთი). ზღვის დონიდან 610 მეტრი. ჭიათურიდან 11 კილომეტრი. სოფელი ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენიება XI საუკუნეში. გვიანდელი ფეოდალური ხანის წყაროებში გვხვდება „კაცხის ციხე“. ციხე თავდაპირველად სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან აბაშიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან კვლავ სამეფო ხელისუფლების განმგებლობაშია.

ციხის ნანგრევები შემორჩენილია მდინარე კაცხურის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის ცენტრში აღმართულია X-XI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი კაცხის ტაძარი. კაცხის სვეტი, კირქვის სვეტისებრი დეწუნდაციური „მოწმე“ — შთენილი კლდე მდებარეობს ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე, მდინარეების კაცხურისა (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 45 მეტრია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კაცხის სვეტი თავდაპირველად მონოფიზიტ განდევილთა სამეფოებს წარმოადგენდა, თუმცა ეს მოსაზრება საყოველთაოდ არაა განზარებული, სათანადო არგუმენტაციის არქონის გამო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ეკლესია (დედისათვის ისინი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი). ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI საუკუნეში გავრცელებული იყო წინა აზიასა და უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რომელთანაც ქრისტიანულ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილობრივად მოპოვებული, უხეშად დამუშავებული ქვით, აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე (VI ს.) ნაგებია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი კვადრებით, აქვს კრიპტა (ქვედასართული - სანარხი). არავინ იცის ზუსტად როდის შეწყდა რელიგიური ცხოვრება კაცხის სვეტზე. მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ ბერები აღარ მოღვაწეობდნენ. კაცხის სვეტის არქიტექტურული ძეგლები 1944 წელს აღექვანდარე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მთავლელთა ჯგუფმა

ინახულა. ბოლო პერიოდამდე კაცხის სვეტზე ასვლა, ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე, შეუძლებელი იყო.

2012 წლამდე კაცხის სვეტზე ასვლა შესაძლებელი იყო ყველა მსურვეელისთვის. დღეს ეს არ არის დასაშვები. აღდგენილია სვეტის ძირში და თავზე არსებული სამლოცველოები მამა მაქსიმეს და ელიზბარის ხემძღვანელობით. ახლაც არიან ამ მონასტერში ბერები.

კაცხის მკლესია

XI საუკუნე

მაცხოვრის სახელობის ეკლესია, მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში, მდ. კაცხურას ხეობაში. კაცხის სვეტის ახლოს. ტაძარი აგებულია XI საუკუნის დასაწყისში. მისი ძირითადი ნაწილი 1010—1014 წლებშია აშენებული, 30 წლით გვიან სამი მხრიდან მიშენებული აქვს გარშემოსავლელი. ნაგებობას გარს აკრავს ხუთკუთხა გალავანი (აღადგინეს 1937). ტაძარს აქვს ძველი სამრეკლო, რომელიც კარიბჭის ფუნქციასაც ითავსებს. კაცხის ტაძარი ქართული სუროთმოდგერების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ორიგინალური ძეგლია. მსგავსი ფორმების არქიტექტურული ძეგლი სხვაგან არ გვხვდება. ნაგებობა შედგება საფეხურებად განლაგებული სამი წახნაგოვანი ნაწილისაგან: გარშემოსავლელის, ტაძრის კორპუსისა და გუმბათის ყელისაგან. ტაძრის კორპუსი და გუმბათის ყელი ექვს აფსიდიანია. ნაგებობა მთლიანად შემკული იყო მდიდრული ჩუქურთმებით, მაგრამ 1854 წელს ტაძარს საფუძვლიანი „რესტავრაცია“ ჩაუტარეს, რის შედეგადაც ძირითად კორპუსს მოხსნეს ძველი პერანგი (რომელსაც ულამაზესი ჩუქურთმები ამშვენებდა) და თავიდან მოაპირკეთეს. დღეისათვის პირვანდელი სახე მხოლოდ გარშემოსავლელის ნაწილს აქვს შენარჩუნებული. კაცხის ერთ-ერთ გამორჩეულ დარქსანიმნაობას ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სცენა წარმოადგენს, ის გარშემოსავლელის შიგნით მარჯვენა მხარეს მდებარეობს. სამწუხაროდ, ამ ხელოვნების ნიმუშსაც არ აქვს შენარჩუნებული პირვანდელი იერი, რადგან გაუგებარი მიზეზების გამო თეთრი სადებავი აქვს გადასმული.

ტაძრის ეზოში გვხვდება ლომის მონუმენტური ბარელიეფი,

რომელიც სავარაუდოდ ნაგებობის კედელზე იყო განთავსებული, მაგრამ 1854 წლის „რესტავრაციის“ შემდეგ წამოხსენეს. ეკლესიის ყველა შესასვლელის თავზე განლაგებულია ბარელიეფები (ძირითადად ლომის გამოსახულებები). ტაძრის ყველა ბარელიეფს ასომთავრული წარწერები აქვს დაცანებული. წარწერთა უმრავლესობა დაქარაგმებულია (ამოგდებულია ხმოვანი). კაცხის ტაძარს უდიდესი ისტორია აქვს. ის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეოდალურ სახლთა საგვარეულო ეკლესია და საძვალე იყო. ის აშენებულია ბაღვაშების მიერ (ნაგებობის მთავარ შესასვლელში გვხვდება ბაღვაშთა გერბის შემადგენელი ფიგურები: ლომი და „მოხუცი ანგელოზი“). კაცხშია დაკრძალული საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამორჩეული ფეოდალი ლიპარიტ IV ბაღვაში. ის ბაგრატ IV-ის დროს მოღვაწეობდა (გარდაიცვალა 1064 წელს). დავით აღმაშენებლის მიერ, ბაღვაშთა საგვარეულოს დამარცხების და საქართველოდან განდევნის შემდეგ კაცხის ტაძარი უპატრონოდ დარჩა. XVI საუკუნეში მიტოვებული და დაზიანებული ტაძარი, მისმა ახალმა მფლობელმა აბულასარ ამირეჯიბმა აღადგინა. XVII—XVIII საუკუნეებში კაცხი ანაშიძეების საგვარეულოს კუთვნილება იყო. ამჟამად ეკლესიის წინამძღვარი მამა ამირანია.

ბაგრატის ტაძარი

XI საუკუნე

ბაგრატის ტაძარი — დვთისმშობლის მიძინების სასხელობის ტაძარი აგებული X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის (975-1014) მეფობაში, ქუთაისში, „აუქსიმერიონის გორაზე“. ამ გორაზე მდებარეობდა ქუთაისის ციხე. რომლის ნანგრევები დღესაც შემორჩენილია თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებით ბაგრატის ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაწარმოებს.

XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა. 1692 წელს, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, „შემუსრეს ოსმალთა“. XIX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და

დასავლეთი კარიბჭეებიც, რასაც მონიშნავს მხატვარ ნ. ჩერნეცოვის ჩანახატები. ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა, ჯვრის შვერილი მკლავები გარედან სწორკუთხა, შიგნით კი ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე – გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკუთხოველის ორსავე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძველს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხარეთიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოწყობილი კარიბჭები მიამუშავეს. სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ფრესკის კვალი – დგთისმშობლის გამოსახულება. ტაძრის ინტერიერსა და ეზოში აწყვია ქვაზე ნაკვეთი, რელიეფებითა და ორნამენტით შემკული დეტალები და ფრესკები, რომლებიც ტაძრის შიდა კედლებსა და ფასადებს ამშვენებდა. ბაგრატის ტაძრის დასვენილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიდა სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა მონიშნავს არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას. 2012 წელს ის აღადგინეს და ქუთაისის საკათედრო ტაძარი გახდა. დამკვიდრდნენ აქ ბერებიც.

ნიკორწმინდა

XI საუკუნე

მე-10 საუკუნის ბოლოს, რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, საძირკველი ჩაეყარა წმიდა ნიკოლოზის სახელობის დიდი ტაძრის მშენებლობას, რომელიც ამ საერისთავოს რელიგიურ ცენტრად უნდა გადაქცეულიყო. მისი მშენებლობა ორი ათეული წლის შემდგომ დასრულდა. იმავე სახელწოდებისაა სოფელი, სადაც ეკლესია მდებარეობს.

რაჭაში, სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე ნიკორწმინდის ტაძარი ექვსფასადიანი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. დასავლეთიდან და სამხრეთიდან მიშენებული აქვს კარიბჭეები, სამხრეთიდანვე მთავარ შენობაზე მიდგმულია ეკვდერი. ორივე ეს მინაშენი მეთერთმეტე საუკუნეში, ტაძრის ძირითად ნაგებობაზე გვიანაა აგებული. სამხრეთი

კარიბჭის კამარა ჩუქურთმებითა და ცხოველთა გამოსახულებებითაა შექმული. ტაძარი მეთერთმეტე საუკუნეში მოუხატავთ. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მხატვრობა განუახლებიათ. შემორჩენილი ფრესკების უმეტესობა სწორედ ამ ხანას მიეკუთვნება. გვხვდება წმიდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები: "ფერისცვანება", "მეორედ მოსვლა", "კვირის ამაღლება" და სხვ. ნიკორწმინდის ტაძარი ერთგული სურათმოდვრების საკვირველებია.

აგებულია 1010–1011 წლებში, რადგან ბაგრატ მეფე სწორედ ამ ხანად ატარებდა წოდებას, რომელიც წარწერაშიც არის მოხსენიებული. ტაძრის ეზოდან მოჩანს კავკასიონის თეთრი ქედი. ბარელიეფის ოვალურ მხარეზე მოთავსებულია ლამაზად ამოკვეთილი წარწერა: "ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შენსა და მეოხებითა წმიდისა მღვდელმთავრისა ნიკოლოზისათა." 1544 წლამდე ნიკორწმინდის საყდართან მონასტერი არსებობდა, რომელიც დიდ ქონებას ფლობდა. 1544 წელს იმერთა მეფემ, ბაგრატ მესამემ ტაძარში ეპისკოპოსი დასვა და მას სრულიად რაჭა ასკის წყალს გამოღმა დაუძორჩილა. 1820 წელს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო გაუქმდა. ტაძარი მართლაც დანაოქმეს და ქართული სურათმოდვრების სადიდებლად განაწყო მნახველს, არა მარტო ქართველს, არამედ ყოველი კულტურული ქვეყნის ადამიანს. იგი ყოველთვის იზიდავდა დამთვალიერებლებს და განცვიფრებაში მოჰყვავდა კვლევარ-მოგზაურები. თუმცა ნაკითხული და მოსმენილი ვერ გვეტყვის იმდენს, რამდენსაც თვით ტაძარი გვაგრძობინებს ადგილზე სილვისას.

მოწამეთა

XI საუკუნე

ქუთაისიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, გელათის გზაზე აღმოსავლეთით მდინარე წყალწითელას თვალწარმტაც ხეობაში, სოფელ მონაშეთაში მდებარეობს მონაშეთის მონასტერი. მის ადგილას ცისესიმაგრე ყოფილა. აქ მოხვედრა შეიძლება როგორც რკინიგზით, ისე სამანქანო გზით. 1958 წელს ქუთაის-ტყეხულის გზატკეცილიდან

მონასტრამდე სამი კმ-ის სიგრძის სამანქანო გზა მოიყვანეს. იგი გვერდით ჩაუკლავს სოფელს, გადაჭრის რკინიგზის ლიანდაგს და დასავლეთიდან მიადგება მდინარე წყალწითელას ხეობაში ღრმად შეჭრილ ციცაბო კლდოვან მაღლობს, სადაც მონამეთის მონასტერი მდებარეობს. მონამეთის მონასტერი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, საქართველოს ძველი ისტორიის ბრწყინვალე მდადადებელი, თავის წარმტაცი ხატოვანი ბუნებით წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ ტოვებს მნახველზე.

გალავნით შემორტყმული კლდოვანტყიანი მთის დაკავებულ ადგილზეა გაშენებული, ბუნება აქი ღარიბი არაა, განსაკუთრებით განათსულზე. როცა მწვანე სამოსში გაეხვევა ირგვლივ მდებარე მთა-გორები, მაგრამ მაინც პირქუში იერი აქვს. სამი მხრივ ამ ადგილს მდ. წყალწითელა უკლავს გვერდს. წყალწითელას ხეობა, სადაც მონასტერი მდებარეობს, ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა და იგი უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამას ადასტურებს აღნიშნული ხეობის ძეგლები, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მონამეთის სურთომოდღვრულ კომპლექსს. მონამეთის შესახებ ერთ-ერთი ადრეული ცნობა დაცულია წმინდანთა ცხოვრებაში: მართლაც სტრატეგიული თვალსაზრისით „წყალწითელი“ უადრესად მოხერხებული ადგილია.

იგი მდინარის მიერ შექმნილი ნახევარკუნძულია და ყოველი მხრიდან ციცაბო კლდეებითაა დაცული. სწორედ ამიტომაც ეს ციხე საშუალო საუკუნეებში მეტად მნიშვნელოვან სამხედრო — სტრატეგიულ პუნქტად გვეკვლინება. მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი კი მურვანის ლაშქრობის ამბავს ასე გადმოგვცემს: „შემდგომად გამეფდა ქე-სტეფანოზისა მისი. ამის მეფობის მეოთხე წელსა... მოვიდა მურვან ყრუ, დისწული მაჰმადისა სპითა უამრავითა, ვერვინ წინაღუგდა, შემუსრა სომხეთი, ქართული, რანი და ყოველი კავკასია, ხოლო სცნა რა მეფისა ეგრისის ყოფნა შავიდა არგუეთს და მუნ ეწყუნენ მენებურნი მთავარნი დავით და კონსტანტინე და მოსწყიდნენ სპათა მისნი მრავალგზის“. მტკრმა მოაოხრა არგვეთის სამთავრო და ბუნებრივია, ვერც ციხე სიმარე „წყალწითელი“ გადაურჩა მათ რიცხვს. წმინდანთა ცხოვრებაში ვკითხულობთ: „რამეთუ ყრუსა მურვანსა გამოელო ეოხა და დაეწვა“.

დიდი წინააღმდეგობა გაუწია არგვეთის მთავრებმა. მაგრამ აღესრულა მურვან-ყრუს ბრძანება და დავით და კონსტანტინე შეიპყრეს. დიდხანს სცემდნენ გახელებით და გამეცებით, სოლო ისინი იწვნენ მღუპარედ და უდტკრინელად ღებულობდნენ ყოველ დარტყმას.

მურვან ყრუმ უთხრა: „დაუტოვე ქრისტეს ჯვარი, იგი სომ შეშა და სხვა არაფერი, მიიღე სჯული მუჰამედისა და იქნები ჩემი ჯარების უფროსი“.

უპასუხა დავითმა: – „ნათელი დაუტეკოთ და ბნელს შეუდგეთ? ჩვენ ღმერთმა მოგვინოდა ნათელისაკენ, მზად ვართ ქრისტეს სახელისთვის ყოველსავე ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა“.

ახლა კონსტანტინეს მიუბრუნდა არაბთა სარდალი „შენ რას იტყვი ემაო“.

კონსტანტინემაც დასძრა „სმადი დამამსობელი“. „არც მე ვემორჩილები შენ ბრძანებას იმასვე ვინამებ და ვადიარებ, რაც ჩემმა ძმამ დავითმა აღიარა“.

ათი დღე აწამეს ძმები და ათი დღის შემდეგ კიდევ სცადეს მოლაპარაკება, მაშინ უკანასკნელად დასძრა ენა დავითმა: – „ვიტყვი მხოლოდ იმას რაც თავში ვთქვი, მზად ვართ ქრისტესა და სარწმუნოების გულისთვის, თავი მივცეთ შიმშილს, წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, მახვილსა და ხმალს, სოლო საბოძვარი არის საძულველ და საძაგელ წინაშე თვალთა ჩვენთა“. ორივე განშიშვლეს და ხეზე დაჰკიდეს, მძიმე ხელკეტებით სცემეს, შემდეგ ჩამოსხნეს, ქედზე ლოდები დააკრეს და მდინარეში გადაყარეს. სოლო იქმნა მას დამესა სასწაული, საშინელი და სასამენად საზარელი, უჩვეულო იყო ცა, წყალიც, ხმელიც მაღლობიც და დაბლობიც. მთვარეც სრულქმნილი, მთვარეც მიარღვევდა ღრუბელთა უსქესს კრედსამბელს“. სამსვეტოვან შიქ-ჭავლად დაადგა ძმებს მთვარის შუქი ბრწყინავდნენ წელიდან ამოასვენეს მარტვილნი, წყალნითელის ხევიში ღრმად ჩაჭრილ კლდოვან ყელს ჩაუდგა პროცესია, აქ ადრე ხარების სახელობის ეკლესია იდგა. ნაეკლესიარში ძველთაძველი აკლდამა იყო, ამ აკლდამაში დაასვენეს მოწამენი, ამ ადგილას მოწამეთა ეწოდა. XI საუკუნეში ბაგრატ III ააშენა დანგრეული ეკლესია და მასში გადაასვენა წამებული გმირები. როგორი სახე უნდა ჰქონოდა ეკლესიას თავდაპირველად, რასაკვირველია, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეკლესია შიგნით მცირე ფართობისა იქნებოდა.

საკურთხეველი მოთავსებული იყო და არის ჩრდილოეთის მხარეს. ეკლესიას გუმბათი არ ჰქონდა.

მე-19 საუკუნეში ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 1844-45 წლებში ლევან, მოსე და ფილიპე ბერეკაშვილებმა შეაკეთეს და განფართოეს მონაშეთის ეკლესია იმერეთის ეპისკოპოსის დავით წერეთლის ხელმძღვანელობით. სამუშაოები მთლიანად დასრულდა 1865 წელს. დასრულდა იგი ხარების ეკლესიის შიგნით კანკელის გადაკეთებით. მონაშეთის ეკლესია კვლავ მოქმედი გახდა 1954 წელს, რაზედაც მიუთითებს დასავლეთის მოსაცდელში დაცული წარწერა. მასში მოხსენიებულია ქუთათელ-განათელი მიტროპოლიტი გაბრიელი, ქუთათელ-განათელი ეპისკოპოსი ნაომი „მავიანიძე“, მღვდელი სულაკაძე, რომელთა მეოხებით აღდგენილი იქნა წირვა-ლოცვა. ამ დროს გადაასვენეს დავითისა და კონსტანტინეს ნეშტი ქუთაისის მუზეუმიდან მათს სამკვიდრებელში — მონაშეთის მონასტერში.

მონაშეთის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა, ჯვრის ოთხივე მკლავი თანაბარია. გუმბათი ეყრდნობა ოთხ სვეტს, ორი საკურთხეველის შვერილია, ეკლესიას აქვს ორი კარი, დასავლეთის და სამხრეთის. საკურთხეველი ჩრდილოეთ მხარეს აქვს, რაც მეტად საინტერესოა. შეიძლება ეს განაპირობა იმან, რომ ყველაზე საპატრიარქოსადგოლს აღმოსავლეთის მხარეს დაკრძალული იქნენ წმინდა მონაშე დავით და კონსტანტინე, ამიტომაც საკურთხეველი ხუროთმოძღვარმა გადაიტანა ჩრდილოეთით.

საკურთხეველი გადატვირთულია XIX საუკუნის ხის კანკელით, რომელზედაც წარმოდგენილია სიუჟეტები სახარებიდან და წმინდანთა ცხოვრებიდან. საკურთხეველის მარცხენა მხარეს, შემადლებულ ადგილზე ხის ორ მოჩუქურთმებულ ლომზე, დევს სიდან დამზადებული ლუსკუმი, რომელშიც მოთავსებულია წმინდანების ნეშტი. ლუსკუმი დამზადებულია ვინმე სულთანოვისის სახსრებით, ქვემოთ დატოვებულია ადგილი, რომ მორწმუნეებმა ჩოქვით გაიარონ. ეკლესიის სამხრეთით ორსართულიანი სამრეკლო, მასზე წარწერაა: რომ აგებულია იმერეთის მიტროპოლიტის დავითის განკარგულებით 1845 წელს. იქვეა ეკლესიის მსახურთა საცხოვრებლები. დასავლეთით გრძელი მოსაცდელი, აგებულია ძველ ნაეკლესიარზე, მოსაცდელზე 1960 წელს წინამძღვრის სახლი დაუმენებიათ. ეზოში დაკრძალულნი არიან XIX-XX საუკუნეების მსახურნი ამ მონასტრისა.

გელათი

XII საუკუნე

აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალნითელის ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით IV აღმაშენებლის თაოსნობით. შემოზღუდულია გალავნით. შეტანილია ეფნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ცენტრალურ-გუმბათოვან მთავარ ტაძარს ორ ბოძსა და საკუროთხეველის კედლებზე დაცრდნობილი გუმბათი აქვს, აღმოსავლეთ მხარეს კი - სამი წახნაგოვანი შვერილი ფესიდა. ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს მიუძენებიათ: დასავლეთ მხარეს - სტოა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კი ეკვდერები. ტაძრის სიმაღლე 34 მ. გარედან ტაძარი მოპირკეთებულია ეკლარის თლილი ქვით, მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, XII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიანა. გეგმითა და ფორმებით იგი მთავარ ტაძარს იმეორებს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. შიგნიდან კედლები დაფარულია XVI საუკუნის მოხატულობით. მთავარი ტაძრიდან 9 მ-ზე აღმართულია XIII-XIV საუკუნეების წმ. ნიკოლოზის სახელობის ორსართულიანი ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ქვედა სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი, ხოლო მეორე სართული ჯვარისებრი მოხაზულობის პატარა ეკლესიანა. მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ-დასავლეთით XIII საუკუნის სამრეკლოა, რომლის ქვედა ნაწილი - თაღებით გახსნილი ქვის ფანჯარები - წყაროზეა დაშენებული. მის თავზე პატარა სათავსია, ხოლო სულ ზემოთ - სამრეკლო.

გელათში არსებობს აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოადნია. გეგმით სწორკუთხა შენობას აღმოსავლეთით სამი შესასვლელი ჰქონია. მოგვიანებით შუა შესასვლელისათვის მდიდრულად მორთული კარბიჭე მიუძენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობას დიდი სარკმლები ანათებდა, კედლები მოხატული ჰქონდა. მთავარი ტაძრის კონქში დაცულია ცნობილი გელათის მონაქვა, დასავლეთ სტოაში - XII საუკუნის ფრესკები, რომლებზეც გამოსახულია საეკლესიო კრება, ხოლო სამხრეთ ეკვდერში - დავით ნარინის ორი, XIII საუკუნეში შესრულებული პორტრეტი. მოხატულობა არაერთხელ განუახლებიათ.

ქართული სავანეები უცხოეთში

ტაო-კლარჯეთი

XI საუკუნე

IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთის მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაური გახდა გრიგოლ ხანძთელი. ეს მხარე ძველთაგანვე დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით: ჭანებითა და მეგრელებით. VIII საუკუნის პირველ ნახევარში მურვან ერყუს შემოსევის გამო ეს მხარე მთლიანად აოხრდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ როდესაც გრიგოლ ხანძთელი აქ მოვიდა, „მას უამსა სხუი მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა, თვინიერ კაზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაისა; რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს და დაშენებულ ცყეთა შინა ადგილ-ადგილ“.

VIII საუკუნის 50-იან წლებში აქ დამკვიდრდნენ ქართველები და მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელზე განაახლეს. ოპიზა იქცა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად. აქ მოღვაწეობდნენ მიქაელ პარესელი, გიორგი მანყვარელი. ოპიზა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული მწერლობისა, აქ გადაწერილან ბევრი საყურადღებო ძეგლი ამ პერიოდისა და შემდეგი დროის მწერლობისა. მაგალითად, აქ 913 წელს გადაწერილან ე.წ. ოპიზის სახარება. გრიგოლ ხანძთელმა ააშენა სხუთი მონასტერი: სამი მამათა და ორი დედათა. მათგან შატერდი ამოტკურაპალატმა „აგარაკად ხანძთისა“ განჩინა. მის დროსვე დაარსებულან წყაროსთავის მონასტერიც დავით მიძნაძორელის მონაფის, ილარაიონის მიერ, რომელიც მეგრე „კათალიკოზ იქმნა მცხეთას“. ამ დროს ეკუთვნის ტბეთის მონასტერი, სადაც ზაქარია აწიელ ეპისკოპოსს რამდენიმე სასწაული აღუსრულებია. X საუკუნეში უნდა იყოს აშენებული პარხალის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი ჭოროხის ხეობაში. მისთვის იოანე ბერაიას შეუწირავს მის მიერ შატერდში 973 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც დღეს პარხალის სახარების სახელითაა ცნობილი.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული და სამონასტრო ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენდა ახალი ცენტრი ათონის ივერთა მონასტრის სახით. „და მი-რია-ვიდა იმხანს, ფრიად უხაროდა პოვნაი დიდებულისა მის ადგილისაი, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის საცემელი სულიერ

და სორციელ“, – წერს გიორგი მეტეხელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. იმხანი IX საუკუნის I ნახევარში გრიგოლ ხანძთელის დედის დისწულის და მისივე მონათვის, საბაშ მიერ აშენდა. საბაშ ტაძარი ააგო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომელიც აშენებული იყო VII საუკუნის I ნახევარში, მართლმადიდებელი ეპისკოპოსის, ნერსეს მიერ.

ნერსეს ტაძარი იმხანში საბაშ სულ დანგრეული დასვენებლია. პირველი ტაძრისაგან გადაარჩენილი საკურთხევლის ნახევარდნობილი ახსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით ნერსეს პატრიარქამ და სახსოვრად საბაშ მთლიანად მოუტევიდა ახალ შენობაში. იმხანი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრისა და სამნავიანი ნაბილიკის გავრთიანებას წარმოადგენს. თავდაპირველად საბაშ ტაძარი ნაშენი იყო ოდნავ თლილი პატარა ქვებით, მაგრამ XI საუკუნის I ნახევარში იგი ორჯერ განახლებულა. მეორე განახლება მეფე ბაგრატ IV-ის დროს, 1032 წელს მოხდა. ამ დროს ტაძრის ყველა კედელი გარედან ლამაზად თლილი წითელ-ყვითელი თილებით შეიძერწა. ეს დიდი და ძირითადი განახლება იმხელი ეპისკოპოსის, ანტონის თაოსნობითა და ზედამხედველობით მოხდა, ხოლო ხუროთმოძღვარი იყო ივანე მორჩაისძე.

ტაძრის ახლანდელი დასავლეთი კარი გადაკეთებულია მაჰმადიანთა მიერ, რომლებმაც ტაძრის დასავლეთი მკლავი ჯამედ აქციეს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გადაარჩინა იმხნის ტაძარი სრული განადგურებისაგან. იმხნის თადის შიგნითა კედლები, როგორც ჩანს, მოხატული იყო X საუკუნის II ნახევარში. ამ ფრესკების მიხედვით, შედგომ ოშკისა და ხახულის ტაძრები მოიხატა. „სახელგანთქმულია სილამაზე ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და მოხატულობა იმხნისა“, – ამბობდნენ ძველ ცაოში.

სამწუხაროდ, ეს ფრესკები, ჟამთა სიავისა და ადამიანთა მიერ სრულიად განადგურებულია. უკეთ დაცულია კედლის მხატვრობა გუმბათის მიდამოებში, სადაც საკმაოდ კარგად ჩანს ზაქარია წინასწარმეტყველის აპოკალიფსური ჩვენება – ანგელოზთა მიერ ჯვართამადლებისა და ოთხი ეტლი სხვადასხვა ფერის ცხენებითურთ. წარმოდგენილია აგრეთვე ანგელოზთა დასი, სხვადასხვა წმიდანები და წინასწარმეტყველები. როგორც ფრესკის ფრაგმენტული წარწერიდან ჩანს, იმხნის ტაძრის მოხატველი უნდა იყოს ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი (+966) და მისი ძმა, დავით მაგისტროსი, შედგომში დავით დიდი, ცაოს კურაპალატი. მათ იმხნის ტაძარი მოხატეს X საუკუნის II ნახევარში, არა უგვიანეს 966 წლისა.

ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ მეფე დიმიტრი I იშხნის ტაძრისათვის დაუბრუნებია სოფელი ლოზნი, რომელიც ადრე ტაძრისათვის შეუწირავს მეფე გიორგი II-ს და მის მამას, მეფე დავით აღმაშენებელს. ამ შემონიშნულობების გამო იშხნის მთავარეპისკოპოს ეგნატის განუჩენია მეფე დიმიტრისათვის აღაპი და ტაძარში დაუყიდა ოთხი კანდელი - დიმიტრი მეფის, მისი დის, თამარ დედოფლის (შირვან-შაჰის, აღსართანის მეუღლის) და დიმიტრის შვილების - მეფე დავითისა (1154-1155) და მეფე გიორგი III-სათვის (1155-1184). საყურადღებოა აგრეთვე XII საუკუნის ლამაზი მხედრული წარწერა. ერთ-ერთ მათგანში მოხსენიებულია ბაგრატიონთა შორის პირველი „ქართველთა მეფე“ ადარნერსე II (923) და მისი ოთხი შვილი. გურგენ მეფის მიერ აშენებული პატარა ეკლესია დაზიანებულია. იშხნის საეპისკოპოსო კათედრა მოღვაწეობას განაგრძობდა თურქთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგაც და საბოლოოდ მხოლოდ XVII საუკუნეში გაუქმდა.

იშხნის მონასტერში ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაიწერა სახარება, შემდგომში ეწ. მესიის სახარება. აქვე 973 წელს შესრულდა ჭედური, მოთქროვილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ახლახლოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ოშკის ტაძარი მთის კალთაზე დგას, მდინარე თორთუმის წყლის მარცხენა მხალე ნაპირზე, იქ, სადაც ეს წყალი ერთვის თორთუმის ტბას, რომელიც დაახლოებით 1791 წელს შემოსვკვით დაგუბების შედეგად წარმოქმნილა. ტაძარი ნაგებია მოყვითალო-წითელი, წმიდად თლილი ქვით და, მიუხედავად საგრძნობი დაზიანებისა, დღესაც აოცებს მნახველს სიდიდით, სიმაღლითა და ყველა ნაწილის პროპორციულობით, ქანდაკოვანი დეკორითა და სხვადასხვაგვარი პოლიქრომული სამკაულით. სიდიდისა და ქანდაკოვანი სამკაულის მხრივ ეს ტაძარი ტაძარში მეორეა ბანას მრგვალი ტაძრის შემდეგ. ოშკი ცენტრალურ-გუმბათოვანი და სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ტაძრების ნაზავია. იგი იმეორებს იშხნის გეგმას, თუმცა მასზე მასშტაბურია და წაგრძელებული ფორმა აქვს. გუმბათოვანი ტაძარი სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის. ტაძარი აგებულია ოთხ სვეტზე, რომელსაც გუმბათი ეყრდნობა. ოშკის სიგრძე 38,5 მეტრია, სიგანე - 36 მეტრი, სიმაღლე 40 მეტრი და ქართულ ტაძრებს შორის იგი ერთ-ერთი უდიდესია. ოშკის აშენებულნი ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნერსე III კურაპალატის (+961) შვილები - ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი (+966) და დავით მაგისტროსი, შემდგომ დავით

დიდად წოდებული, ტაოს კურაპალატი (+1001). ტაძრის მშენებლობა დასრულებულა 958-961 წლებში, მშენებლობის გამგე ყოფილა გრიგოლ ოშკელი, ხოლო ხუროთმოძღვარი - ერისკაცი ვინმე, რომელსაც თავისი გამოსახულება აღმოსავლეთ ფსადზე მოუთავსებია. ამ ქვის მარტროდენ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. ბარელიეფის ორივე მხარეს დაცულია მცირე წარწერა, რომელიც ასე იკითხება: ხუროთმოძღვარი ტაძარს „ათსა წელსა აშენებდა“. სამხრეთ გალერეის ბოლოს, მაჰმადიანთა მიერ აშუამად უკვე ამოქოლილ კამარაში შემორჩენილია ერთი ლამაზი, ორნამენტოვანი სვეტი. მეორე სვეტის ნახნაგები კი უხვადაა შემკული რელიეფური ფიგურებით (კოზმა და დამიანესი, ვედრების კომპოზიციის, წმიდა ნინოსი, გრიგოლ ოშკელისა და წარწერა - „ქრისტე შეინყაღე მონაი შენი გრიგოლ“, ხოლო ფერადებით დახატულია ვედრების კომპოზიციის, ყველა ანგელოზთა დასი, მახარებელთა ემბლემა). ეს ერთადერთი შემთხვევაა ქართულ ტაძრებში სვეტების ამგვარად შემკობისა.

ტაძრის შიდა კედლები 1036 წელს საუკუნოო ფრესკებით მოუხატავთ, მაგრამ მათგან მცირე რამ შემორჩენილა და ისიც დაზიანებულია. გარეთა კედლები დაფარულია მრავალრიცხოვანი ასომთავრული, მეტწილად წითელფერადოვანი წარწერებით, რომელთაგან 15 წარწერა იკითხება. ისინი ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ტაძრის მშენებლებისა და სხვა ისტორიულ პირთა შესახებ. ტაძარს ადრე ოთხი კარი ჰქონია. მთავარ კართან არის ასევე წითელ ფერში შესრულებული ასომთავრული წარწერა, რომელშიც ნახსენები არიან ადარნასე კურაპალატი და მისი შვილები ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით კურაპალატი. „ეს იყო გალატობთა და მოქმედთა მიზდი და აზაკერთა მექვიშეთაი, რომელიც წელიწადსა წაეგების დრამა 20 ათასი, ღუინო - ფისოსი 5 ათასი, რკინა ლიტრა 60, სურბალ - გრივი 250, გალატობი და ხურო და მფედელი, რომელი მარადით შურებოდა - 70. ხარი, რომელ ქვასა კრებდა - 30, ჯორი და სხუაი აზაკერი, რომელი გრიგოლ-წმიდით სპინდიაკსა კრებდა - 60 და ყოველი ერი და მოქმედი 80“ - წერია კედლებზე...

ს ა ს უ ლ ი

თორთომის წყლის მარკუნა შენაკადზე, ხასულის წყლის ხეობაში, არის სოფელი, რომელსაც დღესაც ხასულს ეძახიან. იგი რამდენიმე

კილომეტრზეა გაშლილი და უბნებად იყოფა: კაფარ-ადა, დერდერესი, რადენსი, ოსმან-ადა, იოლუნი, ჩირენისი...სახულისწვალზე შემორჩენილია ხიდი, რომელსაც აქაურები, ქართული ტრადიციისამებრ, თამარის ხიდს უწოდებენ. სოფლის ბოლოს არის სასხულის ტაძარი. ამის შესახებ თურქულ და ინგლისურ ენებზე გაკეთებული წარწერები გვამცნობს. მთავარ ტაძარს, ჩვეულებისამებრ, გარს ერტყვა მცირე ეკლესიები, რომელთაგან 5 გალავანს შიგნით იდგა, 3 კი – გარეთ. მაჰმადიანებს მთელი ტაძარი ჯამედ გადაუკეთებიათ, რასაც ტაძარი დანგრევისაგან გადაურჩენია. სასხულის მონასტრის ნაგებობათა შორის განსაკუთრებით ორია მნიშვნელოვანი: დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც აშენებულია დავით დიდი კურაპალატის მიერ, X საუკუნის II ნახევარში, რასაც ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“. ასევე საყურადღებოა მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარე ერთნავიანი ბაზილიკა. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: „სევედ, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია – მონასტერი სასხულისა, ყოვლად-წმიდის დეთისმშობლისა... ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქაჲ არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდშენი, რომელი აღაშენა 48-ე მეფემან დავით. არამედ აწ უქმ ცარიელ არიან...“ ვახუშტის მიერ დასახელებული 48-ე მეფე არის დავით კურაპალატი (876–881), ძე ბაგრატ კურაპალატისა და შვილიშვილი აშოტ I კურაპალატისა. სასხულის ტაძრის კედლებზე წარწერები ცოცხაა. ზოგი მათგანი ტაძრის მშენებელი ოსტატების ვინაობას გვამცნობს. ტაძრის მოხატულობისაგან ცოცხა რამ შემორჩენილა. საკურთხეველის ფრესკებზე ჩანან მოციქულები, რომელთაც სელში სახარება უჭირავთ. შემორჩენილია აგრეთვე ქართული ასომთავრული წარწერები. ტაძრის კარზე ჯერ კიდევ კარგად ჩანს წმიდა გიორგის, დეთისმშობლის გამოსახულებები.

სასხულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო, საიდანაც გამოდიოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი, დეთისმეტყველნი, მქადაგებელნი, მთარგმნელნი, კალიგრაფები და სხვა. სახელგანთქმულ მთარგმნელს, გიორგი მთაწმინდელს პირველდამყვანთი განათლება სწორედ ამ მონასტერში მიუღია და აქვე აღკვეცილა ბერად. ჩვენამდე მოაღწია სასხულის მონასტერში გადწერილიმა სელენწერებმაც. სასხულის ცნობილი დეთისმშობლის ხატი – კარედის კი საქართველოს სელოვნების სასელმწიფო მუზეუმში ინახება. ოლთისის შენაკად ფენიაკნაის ანუ ფენიკისწყლის სეობაში, ცენტრალური გზიდან თუ გადაუხვევთ, სოფელ ფენიაკს მიადგებით. სწორედ აქ, ამ სოფელთან

იდგა ცაოსა და საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უდიადესი ცაძარი – ბანა... „ფანასკერტის წყალზედ არს ბანა. ან უწოდებენ ფანაქს.

ეკლესია გუმბათიანი, დიდი, მშვენიერად ნაგები, კეთილ მშვენიერ ადგილას აღაშენა მეფემან ადარნასემან და დაფლულნი არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი მწყემსი ფანასკერტისა და სრულიად ცაოსი, ოლთისის და ნარემაკისა და ან არც ცალიერ.“ – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი. „ბანას ნაირი ცაძარი მთელ აღმოსავლეთში არ მინახავს, ვაი-სოფის შემდეგ აზიაში მსგავსი არაფერი შემხვედრიაო“, – უთქვამს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანელ ბოტანიკოსს კარლ კოხს. იმ დროს ბანა ჯერ კიდევ პირვანდელი სახით ყოფილა შემორჩენილი. მეცხრამეტე საუკუნის სამოკლდათიანი წლებისთვის, როცა ცაძარი მოინახულა დიმიტრი ბაქრაძემ, მას გუმბათი უკვე ჩამონგრეული ჰქონია. სუმბათ დავითის ძე წერს: „ადარნასე ძე დავით კურაპალატისა (881-923) დასვეს ქართველთა მეფედ... და ამან... აღაშენა ბანა სელითა კვირიკე ბანელისათა, რომელი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანად“. ამ ცნობის მიხედვით ბანა მეცხრე საუკუნის ბოლოსა და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში აშენდა. თუმცა ცაძრის სტილისტიკური ანალიზით მეცნიერები ასკვნაან, რომ ცაძარი მეშვიდე საუკუნეზე გვიანდელი ვერ იქნებოდა, რადგან მას ტეტრაკონქის ფორმა აქვს, რომელიც მეშვიდე საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება. „ადარნასე აღბათ ცაძრის სელემოკრედ მაშენებელი იყო“, – ვარაუდობს ზოგიერთი მეცნიერი. ცაძარი აგებულია მრგვალ ბორცვზე. ამ ადგილას თითქოს ცა და მიწა ერთიანდება. ბანა მრგვალად აღიქმებოდა, თუმცა რეალურად მრავალწახნაგა იყო. სამსართულიანი და რთული კომპოზიციის ცაძარი ეკლესიისგან და მრგვალი გალერეისგან შედგებოდა. ძველად კი გარედან შემოსაზღვრული იყო ქვის გლავნით. ეკლესია ბერძნულ ჯვარს – ტეტრაკონქს წარმოადგენს. პირველი სართული თავიდან 28 წახნაგა იყო და იგი მოგვიანებით გადააკეთეს.

სავარაუდოდ, მეთექვსმეტე საუკუნეში, თურქების შემოსევის დროს, ბანა ციხე-სიმაგრედ აქციეს. საკურთხეველში ექვსი სვეტი იყო, რომლებიც თვალსაწიანოდ გამოიყოფოდა გალერეისაგან. ცაძარზე მრავლად ყოფილა წარწერები: „ქრისტე, შეინყალე თეოდორე დიდი“, ეს წარწერა ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა. მეორე წარწერიდან მხოლოდ ერთი სიტყვა იკითხებოდა „დიდი“, მესამე წარწერა „ქრისტე, შეინყალე გიორგი“ სავარაუდოდ, აქი მოსულ მლოცველს უნდა ეკუთვნოდეს. ისტორიაში ცნობილია ბანელი ეპისკოპოსი იოანე, რომელმაც უღალატა ბაგრატ მეოთხეს და ცაოელ აზნაურებთან ერთად

1027 წელს საბერძნეთს წავიდა. შეთქმულებმა იმპერატორ კონსტანტინეს ტაოსკენ ჯარი გამოგზავნინეს. ვინმე ზაქარეას ბრძანებით, მეთერთმეტე საუკუნეში ბანაში გადაუნერიათ დიდი ტყავის კრებული, რომელიც გრიგოლ დვთისმეტყველის შრომებსაც შეიცავს. ბანაში დაინერა ჯარი ბაგრატ მეოთხემ, ბიზანტიის იმპერატორის ძმის, რომან არგონის ასულ ელენეზე. იქ იყვნენ დაკრძალულნი ტაოს ბაგრატიონები. უკანასკნელად დაკრძალეს ვახტანგ მეოთხე და მისი მეუღლე.

პარხალი

პარხალი პარხალისწყლის სეობანშია, სოფელ პარხალში, ლაზეთის ქედის აღმოსავლეთ კალთის ძირში. ამ მიდამოებში ოდესღაც კლდეში ნაკვეთი წყალსადენიც ყოფილა, რომელიც ტაძრის აგების შემდეგ თამარ მეფის ბრძანებით გაუყვანიათ.

თავად ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ამხელა ბაზილიკა საქართველოს ტერიტორიაზე არსად არის შემორჩენილი. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზე მეთექვსმეტე საუკუნეში დავით მესამე კურაპალატს აუგია. მონასტრისთვის იონა ბარაიას შეუწირავს შატბერდში 973 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც დღეს პარხალის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. პარხალის ტაძარი საკმაოდ კარგად არის შემონახული. ეს ალბათ იმის წყალობით, რომ აქაც მეჩეთია.

ოთხთა ეკლესია

ოთხთა ასევე ჭოროხის აუზში, ოთხთას წყლის სეობანში მდებარე მეთექვსმეტე საუკუნის ძეგლია. იგი პარხალთან ერთად გვიანი ხანის ბაზილიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია, რომელიც პროპორციებით ძალიან განსხვავდება ძველი ქართული ბაზილიკებისგან, მაგალითად, ბოლნისის სიონი, ურბნისი. ოთხთასთან მისული ტაძრის მშენებლებით იხიბლები, მაგრამ თან გული ტკივილით გეფსება – ბაზილიკა მეტად მძიმე მდგომარეობაშია. იგი მკენარეებს დაუფარავს.

ომკის, ხახულისა და იშხნის შემდეგ ოთხთა ამ მხარეში მეოთხე დიდი ტაძარი იყო და ასეთ სახელი იმიტომ დაურქმევიათ. ოთხთაზე ასეთი ლეგენდაც არსებობს: ეკლესია უცნობი მეფის ასულს, ვინმე თამარს

აუშენებია. მამამისს ყველა შვილი ისლამზე მოუქცევია თამარის გარდა. ქალს ტაძრის შენებისას ფული შემოლევია, ამიტომ თმა შეუკვეცავს, გაუყვია და ასე დაუმთავრებია მშენებლობა. თამარს ისეთი თეთრი რაში ჰყოლია, ოთხივე ეკლესიის შემოვლა ერთ დღეში შექმლო. გადმოცემის თანახმად, ტაძარში თამარის ხელის აწმარაღიანა შემორჩენილი. თავდაპირველად ტაძარი დიდრონი, კვადრატული აგურითა და ნაგლეჯი ქვით ყოფილა აგებული ბერძნულ-ბიზანტიურ ნუსხე. შუა ნავი მკვეთრად არის გამოყოფილი გვერდითი ნავეებისაგან. ფასადები დეკორატიული თაღებითაა დამშვენებული. ტაძარი მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, დავით კურაპალატის დროს მოუპირკეთებიათ. „ოთხთა, ისევე როგორც ოშკი, იშხანი, ხახული, ტბეთი ქართული მონუმენტური მხატვრული ფერწერის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მხატვრობა გამოირჩევა საზნაო სასიათით, გამოკვეთილი ოსტატობით, საზისა და ფერის მეტყველებით“, – ამბობდნენ ხელოვნებათმცოდნეები, თუმცა დღეს ოთხთას ფრესკები ძალიან დაზიანებულია და ბევრი რამ ადარც ჩანს. ტაძართან შემორჩენილია მცირე სამლოცველო, რომლის ქვეშაც სამარხები ყოფილა, აქვეა სემინარია-საოსტინგე. საკურთხეველი საკმაოდ დრამატიკურად მინაში ჩაფლულია. წლების განმავლობაში წყალს დიდი რაოდენობით მიწა შეუტანია ბაზილიკაში. საკურთხეველთან მიწა გადათხრილია. თურქეთში არსებობს გადმოცემები, რომ ქართულ ტაძრებში დიდი სიმდიდრეა ჩამარხული, ამიტომ აქაურები დღესაც ცდილობენ განძის მიგნებას.

შატერდის ტაძარი ბერტას ხეობაშია. როცა ამოც კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელისგან ხანძთის ქება მოისმინა „შენირა ადგილნი კეთილნი და შატერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“. „და რაჟამს მივიდა ნეტარი მამია გრიგოლ შატერდსა, მამინ ცრემლითა მისითა მდინარითა ირწყვებოდა ადგილი იგი“, – მოგვითხრობს გიორგი მეჩხედიანი ამოცის შემდეგ. კურაპალატობა მისმა ძემ – ბაგრატმა მიიღო. გრიგოლს მისთვის უთხოვია შატერდში – ხანძთისთვის შეწირულ აგარაკზე მონასტრის აშენება. ის დათანხმდა და „მისცა ყოველივე სახმარისა აშენებლად“, ე.ი. შატერდი პირველად ბაგრატ პირველის მეფობის დროს, 836 წელს აშენდა. გრიგოლს თავდაპირველად მცირე ეკლესია და სენაკები აუშენებია. ბაგრატის ძეებს და ერისთავებს ბევრი რამ შეუწირავთ. შატერდი საგანმანათლებლო კერად იქცა. აქ გადაიწერა სახარება და შატერდის კრებული, რომელიც იმ დროს სასწავლო წიგნად ითვლებოდა, რადგან შეიცავდა საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო,

ფილოსოფიური თხზულებებს, საქართველოს ისტორიას (მოქცევათა ქართლისაი). დღეს შატერდის ტაძარი მეტად მძიმე მდგომარეობაშია. მოსაპირკეთებელი ქვების დიდი ნაწილი ჩამოცვენილია. ჩუქურთმები – დაზინებული. გუმბათიდან წვიმა ჩამოდის, საკურთხეველის ქვედა ნაწილი მორღვეულია და საქონლის სტუმრობისგან მას მხოლოდ ხის ტოტები იცავს. თუმცა ტაძარი ნაკლებითაა სავსე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

XI საუკუნე

XI საუკუნის შუა წლებში პალესტინაში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო ცხოვრებისათვის. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას. სთავადაც ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასეთი ცენტრის არ არსებობა მწვავედ იგრძნობოდა, მით უფრო, რომ საჭირო იყო წინაპრების ღვანჯლის წარმონეხა და ქართველთა უფლებების დაცვა ე.წ. წმიდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველ მეფე-დიდებულთა მეტი ყურადღება პალესტინისა და იქ მოღვაწე ქართველთა ბედისადმი. ყოველივე ამან მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა და, მართლაც, იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის მონასტერი, სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა. იგი იქცა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაკრებ პუნქტად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად, იერუსალიმისა და მისი სანახების სავანეებში მოსახლე ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად.

ჯვრის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იდგა, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ახლა კი ქალაქის გზბრდის შედეგად მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა შუაგულში, ზეთისხილის ბაღნარში. „ჯვრის მონასტერი არის ქართული სურთომოძღვრების ერთ-ერთი

შესანიშნავი ძეგლი პალესტინაში. იგი არსებითად მთელი ციხე-ქალაქია, რომელიც მაღალი ზღუდით არის შემოზღუდული. ზღუდის შიგნით მოთავსებულია მეტად რთულ ნაგებობათა კომპლექსი სამ და ოთხ სართულად, მრავალრიცხოვანი სათავსებით, რომელთა რაოდენობა დღესაც ორას სამოცდაათს აღწევს. მონასტრის ძირითად ტაძარს უჭირავს ფართობი 27,5მx15,2მ ზომისა (418 კვ. მეტრი). იგი წარმოადგენს ოთხ სკეპტზე დაყრდნობილ თაღებს და ბოლოვდება გუმბათით. სკეპტების განია დაახლოებით 1,42მx1,43მ. მონასტერი ერთ დროს მთლიანად დატარული ყოფილა ფრესკებით. “ ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერი აშენდა, მიწიერი იყო წმიდა ადგილად, რადგან ცნობილი გადმოცემით, რომელიც სხვადასხვა ვარიანტითა გავრცელებული ქრისტიანულ სამყაროში, იქაური ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც აცკვს ქრისტე. ეს გადმოცემა იერუსალიმელ ქართველთა წრეში ადრევე გავრცელდა. ამას მოწმობს ჯვრის მონასტრის დამაარსებლის მინაწერი (1038 წ.) ერთ ხელნაწერზე: „დიროს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორო, სახელად ოდენ მდდელი, ხოლო საქმითა არა დიროსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა შექმითა აღშენებანდ წმიდისა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილისა “.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ესაა უძველესი წერილობითი ცნობა ქართულ წყაროებში. შემდეგ ხანაში გადმოცემა ჯვრის მონასტრის ადგილზე (სხვადასხვა ვარიანტით) არაერთი ქართველის ჩანაწერებში გვხვდება. დასავლურ წყაროებში იგი ცნობილია XII საუკუნიდან. კარგად იცნობენ მას სლავი მოღვაწეებიც. საგულისხმოა, რომ ამ გადმოცემამ ჩვენს დრომდეც მოადნია. უცნობელია, ამ გადმოცემამ შეუწყო ხელი ჯვრის მონასტრის პოპულარობას; იგი პალესტინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სინამდევდ ითვლებოდა და მრავლად იზიდავდა პილიგრიმებს, რომელთა ჩანაწერებში უხვად ვხვდებით ცნობებს პალესტინელ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

ჯვრის მონასტრის ადგილის შესახებ გავრცელებული გადმოცემა და ცნობები ახალი ქართული საგანის დაარსების ისტორიაზე შედარებით სრული სახით შემოგვინახა ტ.გაბაშვილმა. მის „მიმოსვლაში“ კვითხულობთ: „უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვნით მუნ წერილთა შინა. რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უმოვნია.

რამეთუ ესე არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი სხე – სარო, ფიჭვი და ნაძვი – დანერგვა სასწაულად, უკეთუ მიეტყოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ სხე დიდ აღმოხდა. ამისა შემდგომად მოსჭრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად გამოჩნდა სახმარება მისი მუნ, და მდებარე იყო საკდომად კაცთა გარე. ხოლო ჯვარცმასა უფლისასა, განგებითა ზენათათა მას ზედა აცკეს უფალი. რამეთუ მონაკვეთი ხისა მის ძირი ქვეშე წმიდისა ტრანპებისა დღესამომდე ჩანს. ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუკვამია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვარის მონასტერი შესაკრებად ქართველთათვის. თავის დროზე ამ წმიდა ადგილის ქართველთათვის დასამტკიცებლად ფრიად უღვანია დიდ ქართველ ხელმწიფეს ვახტანგ გორგასალს. როგორც „წმიდა პროხორეს ცხოვრება“ მოგვითხრობს, პროხორე იყო „ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით“. ადრევე წავიდა კლარჯეთს და წყაროსთავის მონასტერში დამკვიდრდა, თავის ძმასთან. როდესაც აკურთხეს, შემდეგ „შემოსა სახე მონაზონებისაი“ და „აკურთხეს სუტად“. მომდევნო ხანაში მას პალესტინაში ვხედავთ, საბას ლავრაში, სადაც გაატარა „წელინი მრავალნი“ შემდგომ „მახლობლად იერუსალემს, დასავლით კერძო... აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესია იყო ვლითა სამკაულითა“, შემოიკრიბა მოღვაწენი, რომელთაც განუწინა წესი და კანონი „მსგავსადვე წმიდისა საბასის ლავრისა“. მანვე იერუსალიმში ააშენა ქსენადუქი (სასტუმრო). როდესაც „სრულ-ყო ესე ყოველი“, დაუძღურდა, სიბერე ეწია. დატოვა „ჯუარისა მონასტერი“ – ერთ-ერთი მონაფე (გიორგი) დაადგინა მამასახლისად, ხოლო თვით ორი მონათეთურთ წავიდა „უდაბნოსა არზონს“, სადაც „შედგომად მცირედისა ჟამისა“, 1066 წელს, გარდაიცვალა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წმიდა პროხორე მონასტრის დაარსებისთანავე ზრუნავდა არა მხოლოდ ცალკეულ თხოვლებათა გადართობაზე, ახალი ხელნაწერების დამზადებაზე, არამედ პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრებათა“ კრებულის შედგენაზე.

სწორედ მისი თაოსნობით გაჩნდა „პალესტინის პატრიკის“ ქართული ნუსხა, რომელიც ლონდონშია დაცული. წმიდა პროხორე მის მიერ დამზადებულსა თუ მოგებულ ხელნაწერს ჯვარს სწირავდა და ამით საფუძველს უყრიდა იქაურ წიგნსაცავს. მისი თანამედროვენი საგანგებოდ

ადნიშნავდნენ, რომ პროხოორემ „ჯუარსა შინა დასხნა ყოველნივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი“. ამრიგად, ჯვრის მონასტერში გასშირდა ხელნაწერთა გამრავლება. გარდა დასახელებულისა, ცნობილია კიდევ რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც ჯვარში დამზადდა პროხოორეს სიცოცხლეში.

შეიძლება დავიმოწმოთ, მაგალითად, გაბრიელ საყვარელის მიერ 1061 წელს „მონასტერსა წმიდისა ჯუარისასა, მამობასა გიორგისასა“ გადწერილი პარაკლიტონი, მის მიერვე გადწერილი (1062 წ.) ოთხთავი, რომელიც „სალოცავად სულისა მოძღურისა გიორგი-პროხოორესსა და მამისა გიორგისა“ მოუგია ჯვრის დეკანოზს დანიელს, და სხვ. ხელნაწერთა გამრავლება და ზოგჯერ ორიგინალურ-შემოქმედებითი საქმიანობაც შეინიშნება წმიდა პროხოორეს გარდაცვალების შემდგომ ხანაშიც. მაგალითად, მიქაელ დვალმა, რომელიც ზემოთ უკვე მოვისხენიეთ როგორც ხელნაწერთა დამზადების მონაწილე, პროხოორეს გარდაცვალების შემდეგ გადწერა უამნი. XI საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე უნდა იყოს ის უცნობი ქართველი მწიგნობარი, რომლის კალამს ეკუთვნის ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული „პროხოორეს ცხოვრება“. ამ ძეგლის მნიშვნელობა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისა და იერუსალიმელ ქართველთა კულტურულ-ადამიანებლობითი საქმიანობის შესასწავლად ძალზე დიდია. არსებითად იგია უპირველესი და უსრულესი წყარო ჯვრის მონასტრის ადამიანებლის – პროხოორეს ბიოგრაფიის შესასწავლად. მართალია, როგორც ვნახეთ, ცნობები პროხოორეზე სხვა წყაროებშიც გვხვდება, მაგრამ სვინაქსარული „ცხოვრების“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია. არსად, არც ერთ წყაროში არაა მოცემული პროხოორეს ბიოგრაფია. ასე რომ, უცნობი ავტორის ნაწარმოები მრავალმხრივ საყურადღებო პირველწყაროა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში, 1066 წლის ახლოს, ჯვრის მონასტერში დამზადდა სვინაქსარი, რომელიც ცნობილია როგორც ადაპტებით, ისე ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული „წამება-ცხოვრების“ ტექსტებით. იგი გადწერილია ჯვრის კრებულისათვის; მასში ადრევე შეიტანეს „პროხოორეს ცხოვრება“ და პირველი ადაპტი. შემდეგ იგი მონასტრის საადაპტი წიგნად იქცა. გვიან ხანაში (XV ს.) მასში შეიტანეს სხვა ქართველ მოღვაწეთა – წმიდა ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარული „წამებანი“. ახლად აღმოცენებულ სავანეში ინტენსიურად გაშლილი მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად წმიდა პროხოორეს მიერ დაარსებული წიგნსაცავი სწრაფად გაიზარდა. საგულისხმოა,

რომ იგი მდიდრდებოდა არა მხოლოდ ადგილზე – ჯვრის სავანეში – გიორგი-პროხორე, იოანე დვალის, შავი იოანესა და სხვათა მიერ დამზარებული ხელნაწერებით, არამედ სხვა ქართულ კერებში გადაწერილი წიგნებითაც. ჯვრის მონასტერს შესწირეს ხელნაწერები კალიპოსელემა, საქართველოში მოღვაწე მწიგნობრებმა და სხვ. ჯვრის ხელნაწერთა კოლექცია ამჟამად ძირითადად იერუსალიმშია, ნაწილი კი ინახება სინას მთაზე.

ამრიგად, ჯვრის მონასტერი დაარსებისთანავე იქცა ქართველ მწიგნობართა მნიშვნელოვან საკრებულოდ, ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერად. უკვე პროხორეს წინამძღვრობის პერიოდში განაღდა იქ ღვთისმშობლის ლიტურგურული საქმიანობა, რომელიც წარმატებით გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, რასაც თვალნათლივ წარმოაჩენს და ადასტურებს იქაურ ხელნაწერთა კოლექცია. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც შესამჩნევია, რომ იერუსალიმელ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა რამდენადმე შეზღუდული იყო. ჯვრის სავანე ძირითადად კალიგრაფთა კერას წარმოადგენდა; ის ადრინდელ ქართულ სავანეებს, რასაკვირველია, სარგძნობლად ჩამორჩებოდა. საერთოდ პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძველებური (VIII-X სს.) მასშტაბისა და გაქანებისა აღარ იყო. ქვემოთ ვნახავთ, რომ გიორგი-პროხორეს მომდევნო ხანაში იერუსალიმელი ქართველები ეკონომიკურად და უფლებრივად ძლიერდებიან, სავანეთა რიცხვი იზრდება და მწიგნობრები განაგრძობენ ლიტურგურულ საქმიანობას, მაგრამ პალესტინის ქართულ კოლონიას მაინც აღარ ძალუძს ძველი დიდების შენარჩუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეული იერუსალიმის მონყვევა ბიზანტიის კულტურული ცენტრებისაგან, მეორე მხრივ, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაცხოველება, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე, თუ მისი გავლენის სფეროში ქართული სავანეების აღმოცენება და იქ ქართველთა შემოქმედებითი ცენტრების გადანაცვლება. მიუხედავად იმისა, რომ პალესტინის, კერძოდ, იერუსალიმის ქართულ კოლონიას აღარ ჰქონდა ძველებური დიდი კულტურული მნიშვნელობა, ქართველ მოღვაწეთა სწრაფვა იქაური სავანეებისაკენ მაინც შესამჩნევია იყო.

საგულისხმოა, რომ მგზავრობის საშიშროება, პოლიტიკური არეულობა და გაუთავებელი ბრძოლა, რაც გამუდმებით მიმდინარეობდა მრავალი

წლის მანძილზე, ვერ აფრთხობდა ქართველ ჰილიგრიმებს, ვერ ანელებდა ქართველთა ინტერესს იერუსალიმისადმი. ჯვრის მონასტერი გადაურჩა ლათინებს. ეს განაპირობა არა მხოლოდ ამ მონასტრის იერუსალიმის გარეთ მდებარეობამ, არამედ საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ და ჩვენი წინაპრების თავგანწირულმა ბრძოლამ მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა თურქ-სელჩუკთა თუ სხვათა ძალების შესუსტება და საქართველოს ავტორიტეტის ზრდა საერთაშორისო არენაზე. ჯვაროსანთა პირველმა ლაშქრობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ქართველთა ცხოვრებაზე როგორც იერუსალიმში, ისე საკუთრივ საქართველოში. მას უთუოდ დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის.

შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაჰმადიანთაგან იერუსალიმისა და ანტიოქიის განთავისუფლების აღნიშვნის შემდეგ უშუალოდ მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებაზე: „გამოვიდეს თრანგნი, აღიდეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევითა ღმრთისათა მოემენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“. ჯვაროსანთა წარმატებამ სელიმეუფო დავით აღმაშენებლის გაძლიერებას, სოლო, თავის მხრივ, ქართველთა ბრძოლა მაჰმადიანურ სამყაროსთან ჯვაროსნებისათვის მხარდაჭერასა და დახმარებას წარმოადგენდა. საგულისხმოა თრანგი გოტეის აღტაცება დიდგორის ომში (1121 წ.) ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების გამო. მართლაც, დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვება ჯვაროსნებისათვის დახმარების განეკუთვნა ნიშნავდა. საქართველოს გამარჯვება განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ხელს უმართავდა ჯვაროსნებს ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ჯვაროსანთა თავკაცები საქართველოს თავის მოკავშირედ მიიჩნევენ და მასთან უშუალო კონტაქტის დამყარებასა და დახლოებას ცდილობდნენ. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის თავგანწირულმა და საარაკო ბრძოლამ მაჰმადიანთა მძვრობელობისაგან სამშობლოს დაცვისა და გაძლიერებისათვის განაპირობა მასზე ლეგენდების შექმნა და გავრცელება ჯვაროსანთა შორის.

დავით აღმაშენებელი არა მარტო მაჰმადიან მტრებს ებრძოდა, არამედ, საერთოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახლო აღმოსავლეთს. მას ამოძრავებდა როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზანი – ქართველთა უფლებების

დაცვა-წარმოჩენა წმიდა მიწაზე. მისთვის სავსებით ნათელი იყო, თუ რაოდენ დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში არსებულ ქართულ საეკლესიო კოლონიებს. მემკვიდრის ცნობით, დავითმა „ლაკრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღაღეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. და მყოფნი იერუსალიმისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა“. ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ლაშქრობამ და მაჰმადიანთა შევიწროებამ, ერთი მხრივ, და დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ძლიერებამ და საერთაშორისო ავტორიტეტმა, მეორე მხრივ, განაპირობა იერუსალიმელ ქართველ მოღვაწეთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დარბეული და ნაწილობრივ დანგრეული ჯვრის ტაძარი აღდგა, განახლდა და მოიხატა. ქართველთა სავანეში სამონასტრო ცხოვრება გამოცოცხლდა. ყოველივე ეს იყო ბუნებრივი შედეგი დავით აღმაშენებლის მზრუნველობისა და მშვენიერი დემონსტრაცია საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა. XII საუკუნის დამდეგიდან მოგვეპოვება ორი არაქართული მოღვაწის ცნობები ჯვრის მონასტერზე. 1102–1103 წლებში ჯვარი ინახულა, ეკლესია, დაზიანებული სენაკები და მინაშენები დაათვალიერა მოგზაურმა ბეჟულფმა. რუსმა მოღვაწემ დანიელ წინამძღვარმა, რომელიც 1106–1108 წლებში იყო იერუსალიმში, ჯვარი ნახა აღდგენილი, განახლებული და მოხატული. საგულისხმოა, რომ დასახელებული მოღვაწენი ადფრთოვანებით წერდნენ ჯვარზე, საგანგებოდ წარმოაჩენდნენ მის სიდიადესა და სილამაზეს (როგორც ჩანს, მნახველთა ყურადღებას იპყრობდა ქართული ტაძრის დიდებული მოხატულობა). საქართველოდან მიღებული შეწირულობებით აღდგენილ – განახლებულ სავანეში მომრავლდნენ ქართველი სასულიერო მოღვაწენი. სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლების კვალდაკვალ გაიშალა ჯვრის ქართველ მწიგნობართა საქმიანობა, მომრავლდნენ კალიგრაფები, გაგრძელდა ხელნაწერთა დამზადება. ტრადიციული გადმოცემით, ამ პერიოდში ჯვარში მოღვაწეობდა არა მხოლოდ კალიგრაფთა ჯგუფი, არამედ ისეთი ცნობილი მწერალი და მოაზროვნე, როგორიცაა არსენ იფალთოელი (XI–XII სს.). ტ. გაბაშვილის ცნობით, „არსენი ვაჩნაძე, კაცე ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებლისა“ ერთხანს ჯვრის

მონასტერში ცხოვრობდა. მისივე სიტყვით, „წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქართველი, გვარად ვანნაძე, ფილოსოფოსი“ მონასტრის მთავარი ეკლესიის კედელზე იყო გამოხატული; თანგრატონის ცნობით, არსენ იყალთოელი – „მოძღვარი, აღმზრდელი და მასწავლებელი“ დავით აღმაშენებლისა – „აღზრდილი წმიდისა იერუსალიმისა ჯუარის მონასტერსა შინა ქართველთასა, განაგებდა იერუსალიმსა ქართველთა მონასტერთა ყოველთავე“.

იგი „უამად იყოფებოდა წინაშე დავით მეფისა აღმაშენებელისა და უამად იერუსალიმად ჯუარის მონასტერსა შინა“. არსენ იყალთოელი ერთხელ „დავით აღმაშენებელმან წარავლინა დიდითა საფასითა და წარსაგებელითა და მრავლითა ძვირფასითა ნივითა იერუსალიმად შესაწირავად წმიდათა მათ ადგილთა. მიიწია ესე, განაახლა და განამშვენიერნა ჯუარის მონასტერი და სხვანი წმიდანნი მონასტერნი ქართველთანი და ყოველთა მათ წმიდათა ადგილთა განმამდიდრებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი მოიქცა საქართველოდვე“. ჯუაროსანთა ბატონობა იერუსალიმში დიდხანს არ გაგრძელებულა. XII საუკუნის მეორე ნახევარში, 70-იანი წლებიდან, ახლო აღმოსავლეთში ვითარება არსებითად შეიცვალა.

ეგვიპტის, სირიის ნაწილისა და მესოპოტამიის შეერთების შედეგად შეიქმნა ერთი მძლავრი სახელმწიფო, რომლის ცენტრი ეგვიპტეში იმყოფებოდა. ჯუაროსნებს ნაცვლად ცალკეული სამთავრო-სამამიროებისა და უპირისპირდა დიდი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ალ-აიუბ სალას ად-დინი (სალადინი) ედგა (1171-1193). გაძლიერებულმა სულთანმა დაისახა სირია-პალესტინიდან ჯუაროსნების გაძევება. სალადინის გაძლიერება მძიმე და საშიშ მდგომარეობას უქმნიდა იერუსალიმელ ჯუაროსნებს და აიძულებდა მათ თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას, რაც, თავის მხრივ, ის ვეკვდა გადასახადების ზრდას. იერუსალიმის მეფის ბალდუინ მეოთხის (1173-1185) მიერ დანესებული ყოველწლიური გადასახადები (1177 წ., 1182 წ.) ჯუარის ტაძარსაც მძიმედ დააწვა. ბალდუინმა ჯუაროს ზვრების ნაწილიც კი წაართვა. სალადინმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და 1187 წელს აიღო იერუსალიმი.

ქრისტიანობა კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯუაროსნებმა მესამე ლაშქრობა წამოიწყეს (1189 წ.), მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს; აიღეს აკრა და იგი იერუსალიმის სამეფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადეს (იერუსალიმი კვლავ სალადინს ეპყრა), სოლო

1192 წლის ზავით ანტიოქიის სამთავრო შეინარჩუნეს. მაჰმადიანთა გარემოცვაში მოხვედრილ ჯვრის მონასტერს ქართველი მოღვაწენი შეძლებისდაგვარად ესმარებოდნენ. ამ დახმარებამ განსაკუთრებული სახე მიიღო იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სათავეში თამარ მეფე (1184–1213) იდგა. მაგრამ, ვიდრე ამ პერიოდზე დავინწყებდეთ საუბარს, გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ თამარის ერთ გამოჩენილ თანამოღვაწეზე, რომელიც სწორედ თამარის გამეფების წინა წლებში ყოფილა იერუსალიმში. ესაა XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი მწერალი ნიკოლოზ გულანბერისძე. იგი დაახლოებით 1150–1178 წლებში ქართულ ეკლესიას მეთაურობდა, შემდეგ „სიმდაბლისა ძალით ეკმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“ და წავიდა იერუსალიმს, სადაც დარჩა 1184 წლამდე, ვიდრე თამარმა არ „ადმოუწოდა წმიდით ქალაქით“. როგორც ჩანს, 1178–1184 წლები მან იერუსალიმში გაატარა და ჯვრის მონასტრის სასარგებლოდ გარკვეული ნაბიჯები გადადგა: მონასტრისეული კენახი დაიხსნა – „უკუმოისციდა“ და სხვა დახმარებაც აღმოუჩინა.

არ არის გამორიცხული, რომ ნიკოლოზ გულანბერისძე იერუსალიმში მნიშვნელოვან როლს შეასრულა საქმიანობასაც ეწეოდა. კიდევ უფრო გაიზარდა იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი დახმარება საქართველოს მხრივ წმიდა თამარის მეფობის წლებში. თამარი დიდი გულისყურით ზრუნავდა უცხოეთში არსებულ ქართულ საყვანეებზე, კერძოდ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე. როგორც ქართულ მემკვიდრეობის სიტყვებიდან ჩანს, თამარი იერუსალიმს, – ივარაუდებთ, უპირველეს ყოვლისა, ჯვრის მონასტერს, – დიდად ესმარებოდა, „სარწმუნოებითა თვისითა“ ხელით უხვ შეწირულობას უგზავნიდა. აქვე უნდა დავიმონწიოთ არაქართველ მოღვაწეთა მიერ შემონახული ორიოდე ცნობა. არაბი ისტორიკოსის ბაჰა ად-დინ იბნ შადადის (1145–1234) ცნობით, 1192–1193 წლებში თამარმა სალადინს 200000 დინარი შეაძლია და მუსულმანთა მიერ 1187 წელს მიტაცებული ჯვრისა (რომელზეც მაცხოვარი აცკეს) და (ავრეთვე მიტაცებულ) ქართულ საყვანეთა დაბრუნებას სთხოვა. 1192 წელს „ქართველთა ელჩი მოვიდა და მოახსენა სულთანს სპეციალურად წმინდა ადგილების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მათ ჰქონდათ იერუსალიმში და მოახსენა ავრეთვე თავიანთი დასახლებული ადგილების შესახებ. (ქართველები) ჩიოდნენ, რომ წაართვეს მათ მონასტერი და ითხოვდნენ სულთანის კეთილგანწყობას, რათა დაებრუნებინა იგი მათ გამგებლისადმი“. არ ჩანს, რომ თამარმა

ამ დროს დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მოდევნო ხანაში რომ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების უფლებრივი მდგომარეობა რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა, ეს უდავოა.

სომეხი მემკვიდრის კირაკოს განძაკეცის (XIII ს.) ცნობით, 1210–1211 წლებში, – ივანე მსახურთუხუცესის სლათელთა ცყვეობიდან დასხნისა და მისი ასულის თამთას სულთანთან გაგზავნის შემდეგ, – ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ქართველ მეფესა და მაჰმადიან მბრძანებელთ შორის დაიდო ზავი, მონასტერთ ხარკი შეუმცირდათ, მლოცველთა ძარცვა აღიკვეთა, ქართველ ქრისტიანებს პატივი მიეგოთ. XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველომ მოიპოვა აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მთარველობა, ხოლო მაჰმადიანურ ქვეყნებში მოგზაურ ქართველებს ფართო პრივილეგიები მიენიჭათ. მართებულად შენიშნავდა რ. ჟანენი, რომ „ძველად ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმინდა ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ“. აზრს ინტერესს მოკლებული, რომ მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლისა.

აღბათ, ამ დროსვე დამკვიდრდა საყურადღებო წესი: ქართველ მლოცველებს აზრები მოხელე ალექსოში სხედებოდა, იერუსალიმში მიჰყვებოდა და შემდგომ უკან აცილებდა, ე.ი. მოსალოდნელი განსაცდელისაგან იცავდა. სწორედ ამ პერიოდში, თამარის ზეობის ხანაში, დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სავანეს დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე შოთა რუსთველი. აზრი რუსთაველის იერუსალიმში წასვლისა და იქ (ჯვრის მონასტერში) ცხოვრების შესახებ კარგა ხანია გავრცელებულია როგორც ხალხურ სიტყვიერებაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი შეიჭრა სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. ამასთანავე, რუსთველს ზოგჯერ ბერად მიიჩნევენ და მის საფლავს იერუსალიმშივე იგულებდნენ. სათანადო საფუძველს თითქოს იძლეოდა ზეპირი გადმოცემა, ჯვრის მონასტრის ფრესკა და სხვადასხვა სიგნის ცნობა. ძველი გადმოცემა პირველმა ჩაინერა, შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესად მიიწინა და ჯვრის განმანახლებლად და მომხატველად გამოაცხადა ტ.გაბაშვილმა. მან პირველმა მოგვანოდა ლიტერატურული ცნობა რუსთველის ფრესკაზე („ჯვრის მონასტერი დამკვლავებულია და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუხსნებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს[ს]. თვითონაც მიგ ხატია მოხუცებული“). დღეს საყავებით დადასტურებულია პოეტ შოთა

რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობა. საკამათო აღარაა, რომ შოთა რუსთველის ფრესკის დასატკეპვრის მონასტერში და მისთვის აღაპის დადება აიხსნება იმ დიდი დამსახურებით, რაც ქართველ პოეტს მიუძღვის ძველი ქართული სავანისადმი. როგორც, ტ.განაშვილის ცნობაც ადასტურებს, შოთა რუსთველმა მართლაც საეყრადღებო და მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ჯვარსა, განაახლა და მოახატვინა იგი. როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა სამხედრო-პოლიტიკურმა გაძლიერებამ და ეკონომიკურმა მოღონიერებამ, ქართველთა ენერგიულმა ბრუნვამ პალესტინის სავანეებზე სათანადო შედეგი გამოიღო. მეფე-დიდებულთა უხვი შეწირულობითა და ქართული სამეფო კარის ინტენსიური მზრუნველობით იერუსალიმის ქართული კოლონია განმტკიცდა და გაძლიერდა როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად.

საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს კვლდაკვალ იგივე გაიზარდა რიტეხობრივად და დანინაურდა კულტურულად. თავის მხრივ ამ კოლონიამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებას, საგარეო პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ XII-XIII საუკუნეებში საქართველო, - ვითარცა წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო, - ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა დამცველის როლში გამოდიოდა.

მისი სამხედრო პოტენციალი ისე დიდი იყო და პოლიტიკური წონა ისე შესამჩნევი, რომ ბევრ უცხოელს სავსებით სარწმუნოდ ეჩვენებოდა საქართველოს ძლიერებაზე შეთხზული ლეგენდები. ასეთი განწყობილება ჩანს, მაგალითად, ფრანგი ჯვაროსანი რაინდის წერილში: „მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული სიტყვა შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩის მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგან სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოემურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟაკობითა

და სათნოებით. მაგრამ არა სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძველები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდექს, წემი ძველები ქრისტეს საფლავზე წაიდუო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გადაუწყვეტა წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა. მართალია, თამარის სურვილი იერუსალიმში წასვლისა, ანდერძი – მისი ძველების იერუსალიმში წასვენების შესახებ, გიორგი ლამას (1213–1222) ცდა ანდერძის სისრულეში მოყვანისა სხვა წყაროებით არაა ცნობილი და შეთხზული უნდა იყოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. საინტერესო და საყურადღებოა წარმოდგენა ქართველებზე, რომელიც ევროპელებს ჰქონდათ. როდესაც აღმოსავლეთში გამოლაშქრებული ჯვაროსნების სისუსტე თანდათანობით შესამჩნევი გახდა, ქართველთა ძლიერებამ ბენიგს მიაღწია. სწორედ ამან გამოიწვია ქართველთა განდიდება და მათ ძლიერებანზე ლეგენდების შეთხზვა. 1244 წელს ჯვაროსნებმა სამუდამოდ დაკარგეს იერუსალიმი. ეგვიპტის სულთნებმა ნელ–ნელა ხელთ იგდეს ანტიოქია (1268 წ.), ტრიპოლი (1289 წ.), აკრა (1291 წ.) და სხვა ქალაქები.

ბუნებრივია, ეგვიპტელთა უძელქვეშ მყოფი იერუსალიმის ქრისტიანი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქრისტიანულ საკანებს არსებობა გაუძნელდათ, მაგრამ ქართველებმა ერთხანს კიდევ შეინარჩუნეს ძველი პატივი და პრივილეგიები. ეგვიპტელთა ბატონობის პერიოდში იერუსალიმელ ქართველთა უფლებამოსილებზე საინტერესო ცნობებს გვანდის ეპისკოპოსი უაკ დე ვიტრი (ვიტრუვიუსი): „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი – ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მერბძოლი. მეტად დაძინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებს სპარსელებს, მიდიელებსა და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრეთაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურკულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თავყვანისასაცემად, წმინდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან ორადინუსს, დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა მაშინ,

როდესაც ლათინნი დამიეტას იღებდნენ“. მიუსჯდა ვად ზემოთქმულისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მაჰმადიანურ გამოცევაში მყოფ ჯვრის მონასტერს მოაკლდა როგორც პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე მატერიალური დახმარება. მართალია, ქართველების ჯვრის კრებულს ესმარებოდნენ XIII საუკუნის მეორე მეოთხედშიც, შუა წლებშიც, მაგრამ ის ძველი მასშტაბისა აღარ იყო. ამასთანავე, ჯვრის ბინადართა მთავარ საზრუნავს სავანის შენარჩუნება წარმოადგენდა, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. პალესტინის ქართული სავანეების დაკარგვითა და ჯვრის მონასტრის მეჩეთად გადაკეთებით აღმთოთებული ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ილხანთა ლაშქრობებში ეგვიპტელთა წინააღმდეგ. მაგალითად, 1277 წელს აბაღას მიერ მოწყობილ ლაშქრობაში ბაიბარს ბუბდუკდარის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა 3000 ქართველი, 1281 წელს სულთან მანსურ საიფ ად-დინკ ალაუნის (1279–1290) მამლუკთა არმიას ებრძოდა დიმიტრი თავდადებულის მხედრობა და სსვ.

მართალია, ქართველთა მონაწილეობა ამ ბრძოლებში მონგოლთა დამარცხებით ხდებოდა, მაგრამ ქართველებს უთუოდ საკუთარი ინტერესიც ამოძრავებდათ. რადგან მათ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით არ შეეძლოთ ეგვიპტელთა წინააღმდეგ გამოსვლა და ქართული სავანეებისათვის ბრძოლა, ისინი სსვთან ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და ამით იმედოვნებდნენ მიზნის მიღწევას – ქართული ცაძრების დაბრუნებას, ძველი პრივილეგიების აღდგენასა და უფლებრივი სასჯელების გაუქმებას. ამ მიზნით წაება ოლხანთა ლაშქრობაში ვახტანგ III (1290–1308). ჯვრის მონასტრის ერთი აღაპი გვამცნობს, რომ „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ[=26] წელსა სპარსთა წაეღო“, მეფე ვახტანგს მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩინა – „რვაი თავი ღაჰრი და ათასი თეთრი“ შეუწირავს. მეფე ვახტანგი, რომელმაც უსვი შეწირულობით აღაპის დანესება დაიშასხურა, ვახტანგ მესამეს, ქართლის მეფე, რომელიც 1299 წლის ნოემბრიდან ახლდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონგოლთა მბრძანებელს ყაზან ყაენს (1295–1304). უამთააღმწერლის ცნობით, როდესაც ყაზანმა „ინყო ამხედრება მეგვიპტელთა ზედა, მოუწოდა მეფესა ვახტანგს“. ვახტანგის მეთაურობით ქართველთა მხედრობამ მონაწილეობა მიიღო ყაზანის საომარ ექსპედიციაში.

ეგვიპტის სულთანი ნასირ მუჰამედი (1293–1294, 1299–1341) ვაჟკაცურად დახვდა მტერს, „იქმნა ომი სასტიკი“, „ვახტანგ და სპანი მისნი მხედ იბრძოდეს“. მონგოლებმა და თანამოლაშქრეებმა

აიდეს ჰემსი, დამასკი, იერუსალიმი. საფიქრებელია, ვახტანგმა მაშინ მოინახულა იერუსალიმელი ქართველები, გაიგო მონასტრიდან გაძევებულ ჯვარელთა გაჭირვება და ძვირფასი ქსოვილი და ფული მისცა მათ. ემეტრეველის აზრით, ეს 1299 წელს მოხდა. მართალია, ქართველი მამულიშვილები თავგამოდებით ებრძოდნენ ეგვიპტელებს და ზოგჯერ იერუსალიმელ ქართველებსაც ეხმარებოდნენ, მაგრამ მალე მათთვის ცხადი გახდა, რომ ილხანების ილხანების ლაშქრობაში მონაწილეობითა და ბრძოლით საკუნ ვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ილხანებს სირია-პალესტინის განთავსიუფლებისა და ქართველებისათვის მათი ძველი სავანეების დაბრუნების ძალა არ შეესევდათ. ქართველებმა გადარწმუნეს ძველი ტრადიციის აღდგენით, ეგიპტელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება დაეწყოთ, მონგოლთა წინააღმდეგ მოკავშირეები შეეძინათ და ეროვნული სავანეები დაებრუნებინათ. ამ მიზნის მისაღწევად ქართველთა მეფემ კაიროში ელჩები გაგზავნა და მოლაპარაკება დაიწყო. მემსტიანე ბადრ ად-დინ ალ-აინის (1361-1411) ცნობით, ქართველი მეფის ელჩები თავდაპირველად კონსტანტინოპოლში მივიდნენ. ლასკარისმა, - ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე მეორემ (1282-1328), - მათ თავისი დესპანიც განაყოფა. ისინი მივიდნენ კაიროში და სულთანს მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის ტაძრის დაბრუნება სთხოვეს. ქართველთა თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. მუჯირ ად-დინ აბდ-არ რაჰიმან იბნ აჰმად ალ-ულაიმი ალ-უმარის (გარდ. 1522 წ.) ცნობით, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა კუთვნილი ჯვრის ტაძარი ქრისტეანებს ჩამოერთვათ და მიზგითად გადაკეთდა ელ-მელიქენ-ნასირ მუჰამედის დროს. 1305 წელს მის მოადგილესთან მივიდნენ ბიზანტიის იმპერატორისა და ქართველი მეფის ელჩები და სთხოვეს ჯვრის დაბრუნება. დაბეჯითებითი და ხანგრძლივი თხოვნის შედეგად ჯვრის ტაძარი დაუბრუნდა ქართველებს. იბნ ალ-კასირის ცნობითაც დასტურდება, რომ ბაიბარს ბუნდუკდარის ბეობაში შეისხიდრის მიერ მიტაცებული ჯვრის ტაძარი დაუბრუნდათ ქართველებს და, ამასთანავე, მოეხსნათ უფლებრივი სასჯელი - ქართველმა ქრისტეანმა მიიღო უფლება ცხენ-სახედადრზე ნორმალური ჯდომისა. ჯვრის გამოხსნას, - უცხო ავტორთა ჩვენებით, - ადგილი ჰქონდა 1305 წელს. ამ დროს მეფობდა დავითი, რომელიც ჯვრის საადაპე წიგნში იხსენიება ვითარცა „მეორედ აღმაშენებელი წმიდისა მონასტრისაი, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუებული მონასტერი და ეკლესიაი მიზგითად შეკვალებული ეკლესიადგე სალოცავად შეკვალა და კულად ავო ნათესავთა ქართველთასა“. დამოწმებული აღაპიდან

ჩანს, რომ დავით მეფემ „სარკინობთაგან“ (მამლუკთაგან) მიტაცებული ჯვარი გაათავისუფლა და დაიბრუნა, მენეთად გადაკეთებული ტაძარი ქრისტიანულ სალოცავად აქცია, „მეორედ აღაშენა“ – აღბათ, აღადგინა და განაახლა მაჰმადიანთაგან დაზიანებული ნაგებობა. როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, მონგოლთაგან შევიწროებულმა დავითმა სცადა ეგვიპტელებთან დაახლოება და ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო მოლაპარაკება წამოიწყო, საქმეში კონსტანტინეპოლიც ჩარია და ამით პოზიცია განიმტკიცა. მან ელჩები ააშლა ეგიპტის სულთანს, მოკავშირეობა შესთავაზა, საჭიროების უამს დახმარება აღუთქვა და ქართველთა სავანის დაბრუნება და უფლებრივი სასჯელის გაუქმება სთხოვა. ასეთი კავშირი ეგიპტელთათვის ძალზე სასარგებლო იყო. ამიტომ სულთანმა ქართველთა სთხოვნა დააკმაყოფილა და ჯვარი დააბრუნა. ეს ქართველთა დიდი პოლიტიკურ–დიპლომატიური გამარჯვება იყო. ქართველობამ საერთაშორისო მდგომარეობა გაიმყარა, ეგვიპტესთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა და მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო–პოლიტიკური მოკავშირე შეიძინა, ძველი ქართული სავანე დაიბრუნა და ახლო აღმოსავლეთში ავტორიტეტი აიმაღლა. დავით მეფის მიერ დახსნილ ჯვრის მონასტერს სხვა ქართველნიც დაესმარენ. მაგალითად, დავით ნარინის ვაჟმა – „აფხაზთა მეფემ“ კონსტანტინემ (1293–1327) „ახლად შეკაზმა“, ე.ი. მორთო, აკაზმულობით შეამკო; გრიგოლ დრანდელმა ნაწილობრივ მოხატა; „დიდსა დაჭირვებასა შინა, მას უამსა, ოდეს ჯუარი შემოგუაქციეს“, „ოდეს სურტანმან ჯუარი მოგვცა“, მას დაესმარა ბევრი ქართველი დიდებული და საეკლესიო მოღვაწე. ჯვრის მონასტრის კრებული გამოცოცხლდა და ამოძრავდა, მნიგნობრებმა განაახლეს ლიტურგულული საქმიანობა, განაღდა შემოქმედებითი მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პატარა ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც მოცემულია თავგადასავალი „წმიდისა ახლისა მონამისა ნიკოლოზისი დვალისაი“. იგი გვაცნობს სირია–პალესტინაში ეგვიპტელთა ბატონობას, ქრისტიანთა დევნა–შევიწროებას, იერუსალიმელ ქართველთა ცხოვრებას და ა.შ. უცნობი ავტორის სიტყვით, „ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაი“. ჯერ კლარჯეთში მოღვაწეობდა, შემდეგ იერუსალიმში. მაჰმადიანობის გმობისათვის „მრავალნი ცემანი და ტანჯვანი დაითმინა“. ერთხანს კვიპროსზე გაიხიზნა, ათონზე წასულსაც აპირებდა, მაგრამ ბოლოს იერუსალიმში დაბრუნდა, უკანასკნელად დამასკოს ეწვია.

ყველგან აშკარად აღიარებდა ქრისტიანობას და კიცხავდა მაჰმადს, რისთვისაც შეიპყრეს, გვექმეს, შეძლეგ „ამირათა-ამირისა დენგისის (სეფი ად-დინ თენგიზი) წინაშე წარადგინეს“. მიუხედავად განსაკუთრებისა, ნიკოლოზმა არ უღალატა ქრისტიანობას და თავი შესწირა მას. როგორც ჩანს, სეფი ად-დინ თენგიზის (ეგვიპტის მამლუკთა სულთნის ნაცვალის სირია-პალესტინაში) ზეობისას (XVI საუკუნის პირველ ნახევარში) ქართველი მოღვაწენი იერუსალიმში ერთგვარი პრივილეგიებით კიდევ სარგებლობდნენ, მმართველები მათ ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ მაჰმადიანობის გმობას არც მათ აპატიებდნენ. ნიკოლოზ დვალის 1314 წელს აწამეს. ამ წლის ახლოს უნდა იყოს დაწერილი სვინაქსარული „წამების“ ის ტექსტი, რომელიც უკვე დავიმონშეთ. მისი ავტორი, რომლის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, იერუსალიმელი ქართველი მოღვაწე, – საფიქრებელია, ჯვრის სავანის მწიგნობარი, – XIV საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი უნდა იყოს. დაახლოებით ამავე ხანაში მოღვაწეობდა ჯვრის მონასტერში მეორე უცნობი ქართველი მწერალი – ავტორი „ლუკა მუხანისძის წამებისა“. ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში ჯვრის კრებულმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქრისტიანობისათვის და კერძოდ – ქართული ქრიტიანული ეკლესიისათვის თავდადებულ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მონაშენობრივი აღსასრულის ამსახველი ძეგლების შექმნას. ჯვრის მონასტერს მომდევნო ხანაშიც უხვად ეხმარებოდნენ ქართველი მოღვაწენი. აღაპათ საფუძველზე შეგვიძლია დავასახელოთ ის პირნი, რომლებიც დახმარებიან ჯვარს: გიორგი ბრწყინვალე (1299, 1314-1346), დავით IX (1346-1360), ბაგრატ V (1360-1390), გიორგი დადიანი (გარდ. 1384) და სხვ. ზოგი მატერიალურად ეხმარებოდა ჯვარს, ზოგი კი წიგნებს სწირავდა.

ქართველთა სავანე კვლავ იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს. XIV საუკუნეში ჯვრის მონასტერში არაერთი სელენანერი ინახებოდა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი – „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც კარგა ხანს წარმოადგენდა ჯვრის წიგნსაცავის საკუთრებას, ახლა კი ქუთაისშია დაცული. კარგადაა ცნობილი მისი გადაწერის ანდერძი, რომელიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა. იგი ეკუთვნის გრიგოლ ჩახრეხისაძეს, რომელიც ბევრმა მკვლევარმა (ზ.ჭიჭინაძემ, კ.კეკელიძემ, პინგოროცვამ, აბარამიძემ, მ.წულუბიძემ და სხვ.), თამარისის ავტორად – XII-XIII საუკუნეთა მოღვაწედ მიიჩნია. ამასთანავე, გრიგოლს ზოგი მიიჩნევდა ჯვრის მოღვაწედ, ზოგი კი ჯვრის სავანეში მისვლისა და იქ დასადგურების მსურველად. ანდერძიდან ირკვევა, რომ გრიგოლს „დიდი

სკულისკანონი“ დაუმზადებია ჯვრისათვის: „გლახაკი ფრიად ცოდვილი გრიგოლ ჩახრქნახისძე მომიხსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდითა გულსმოდგინებითა გარდავწერე თვისითა სულითა ქრისტეანეთა წინამძღუარი დიდი ესე და სამოქალაქო სკულისკანონი საუკუნოდ მოხსენებულისა და ჩუენ ქართველთათვის ფრიად ჭირთა თავსმდელებლისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი... არარაის სხვისათვის მოვიჭირვე წერაი ამისი, თვინერ რომელ სიყუარული მქონდა ცალკერძ წმიდისა მონასტრისა პატრიოსნისა ჯუარისაი და მერმე ამის XV საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. ქართველებს ენერგიული ბრძოლის წარმოება უხდებოდათ მოძალებულ მაჰმადიანურ ბრბოებთან, განსაკუთრებით თურქ-ოსმალთა ლაშქართან. მას შემდეგ, რაც გაძლიერდა თურქეთი და ბოლო მოეღო ბიზანტიის დიდებას, რაც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემით დამთავრდა, და რამაც ქართველთა (ისე როგორც სხვა მართლმადიდებელ ხალხთა) გულისტკივილი და გულისწყრომა გამოიწვია, ქართველთა სამკვიდრო მაჰმადიანთა გარემოცვაში მოექცა. რადგან დღენადაც წარმოებდა ბრძოლა ქართული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ქართველებს იერუსალიმისათვის თითქმის აღარ ეცალათ. მართალია, ყურადღება იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ქართულ სიძველეთადმი არ შენელებულა, მაგრამ დახმარება იქაური ქართული კოლონიისადმი, კერძოდ ჯვრის მონასტრისადმი, ადრინდელი ძალისა აღარ იყო. ცხოვრების ასეთმა გაჭირვებამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მლოცველთა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. „ძმობას თავისი თავისი შენახვაც კი უჭირდა და რა გასაკვირველია, თუ რომ გადასახადების გამოღება გაუძნელდებოდათ და საშინელს სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ“.

მაჰმადიანთა ურდოების მონოლისაგან თავმოებზრებული ქართველობა მაინც ცდილობდა ძველ ნაგებობათა შენარჩუნებას, ქართველთა უფლებების დაცვას და პრეტენზიების საფუძვლების წარმოჩენას. მის საქმიანობაში ეროვნული გრძნობაც იჩენდა თავს. ჩვენი წინაპრების ენერგიული მოქმედება - პალესტინის ქართულ სიძველეთა დაცვა, გარდა ქრისტიანულ სინმიდეთა უდიდესი სიყუარულისა, განპირობებული იყო ეროვნული გრძნობითაც; იერუსალიმის ქართულ სიძველეთა დაცვა ქართველთათვის წარმოადგენდა ეროვნული სარწმუნოებისა

და ეროვნული დირსების დაცვას. საგულისხმოა, რომ ქართველები იერუსალიმში ამ სანაშვილს სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდა ბევრი მოგზაური. მაგალითად, რუსი მოღვაწენი ზოსიმე (1420 წ.) და ვასილი (1466 წ.), გერმანელი მოგზაური ი.ტუსერი (1479-1480 წწ.) და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს უსვდებით ბერაიდენბახის მოგზაურობის აღწერილობაში. უცხოელი კმაყოფილების გრძობით აღნიშნავდა, რომ ქართველები იერუსალიმში შედიოდნენ მრავალრიცხოვანი ჯგუფებით, მაღლა აღმართული ეროვნული აღმებით, სარგებლობდნენ გარკვეული უფლებებით.

როგორც ჩანს, „დაკინებისა და დაქვეითების მიუხედავად, საქართველოს საერთაშორისო დამოკიდებულებასა და მეზობლობაში სახელი და მნიშვნელობა თუმცა შექცეულიყო, მაგრამ მინც მენარჩუნებული ჰქონდა და მას ანგარიშს უწევდნენ შორეულ ქვეყნებშიაც კი“. XVI საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება იერუსალიმელ ქართველთა განაქციურება, იწყება ბრძოლა დაკარგული საგანების დაბრუნებისა და შელახული უფლებების აღდგენის მიზნით, გასშირდა პილიგრიმობაც. XVI საუკუნის დამდეგს იერუსალიმში იყო მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ წარგზავნილი პირი – ამბროსი, რომელიც კალიგრაფი და მხატვარი ყოფილა. „იერუსალემს, მონასტერსა ჯუარისა პატიოსნისასა“ მან გადაწერა ოთხთავი. მის მიერ შესრულებული მინიატურები, მიუხედავად დაზიანებისა, კარგად წარმოაჩენს მხატვრის ოსტატობას. ამბროსიმ გარკვეული წვლილი შეიტანა ჯვრის მონასტრის სამეურნეო ცხოვრებაში. შემონახულია ჯვრის აღაპი, რომელიც გვაცნობს როგორც ამ წვლილს, ისე სამხრეთ საქართველოს გამოჩენილი ფეოდალური სახლის – სამცხის ათაბაგთა ოჯახის ბრუნვას იერუსალიმის ქართულ საგანებზე.

1512 წელს იერუსალიმში ჩავიდა ბეენა ნოლოყაშვილი. ადრე იგი აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა, კახთა მეფის ავ-გიორგის (1511-1513) კარზე (ცნობილია 1511 წლის საბუთი დანერვილი „ხელითა ირუბაქისძის სახლის უხუცესისა ბეენასითა“). ენერგიულმა და შეუდრეკელმა ბეენამ თავგამოდებით დაიწყო ბრძოლა უცხოელთაგან მიტაცებული ქართული სიძველეების დაბრუნებისა და რესტავრაციისათვის. მის საქმიანობას კარგად გვამცნობს მინაწერი, რომელიც ჯვრის მონასტრის ერთ ხელნაწერს შემოუნახავს: „აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა, და დიდი ჭირი და სარკელი გარდაძხდა ცოდვილსა ბეენასა, ძმანო. ნებითა ღმრთისათა აქა თრანგთა გოლგოთა და ვაგდებინე და მათი ყუელა გარეთ

გამოუყარე – კანდელი და რაცა მათი იყო“. როგორც მინანქრიდან ჩანს, ბენა ჩოლოყაშვილმა სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო, კათოლიკეებს გოლგოთა დაატოვებინა და ქართველებს ძველი კუთვნილება დაუბრუნა. ასევე საინტერესოა მინანქრი კრებულზე: „ქრონიკონსა სბ [=202+1312=1514] შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა უამსა დამისასა შევანი აღდგომისა კარნი ნებითა ღმრთისათა“.

ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ აღდგომის ეკლესიისათვის კარის შებმა, არამედ ამ სამუშაოს დამით შესრულებაც. ჩანს, ისე დიდი იყო სურვილი ძველი ქართული სავანეების დაბრუნებისა თუ ცნობილ ტაძრებზე უფლებების აღდგენისა, რომ ქართველი მოღვაწენი დამით მუშაობასაც არ ერიდებოდნენ. ფრიად საგულისხმოა, რომ ბენა ჩოლოყაშვილი, რომელიც „ჯუარის მამად მივლინებული“ იყო იერუსალიმში, არ იფარგლებოდა მხოლოდ ჯვრის მოვლა-პატრონობით, იგი სხვა სავანეებსაც აქიკევდა ყურადღებას, მფარველობდა იქაურ ქართველობას, ენერგიულად იღწვოდა შელახული ღირსების დაცვა-აღდგენისათვის. ვაკუაცუშმა და თანმიმდევრულმა მოქმედებამ, თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველთა უფლებების აღდგენისათვის ბენა ჩოლოყაშვილს საპატრიო სახელი მოუპოვა იერუსალიმის ქართულ კოლონიამში. იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი ბრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველ ხელნაწერთა ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატრიუს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რითაც განსხვავდებოდნენ სხვა ქრისტიანთაგან. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: მბაუმგარტენი (1507 წ.), ლ.ჩუდი (1519 წ.), ბ.დე სალინიანგო (1522 წ.) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველები გაშლილ-აფრიანებული ეროვნული დროშებით, – საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, – თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა მალე გართულდა, ქართულ სავანეთა შენარჩუნება კიდევ უფრო გაძნელდა. მას შემდეგ, რაც პალესტინა თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს (1516 წ.), მათ ხელში აღმოჩნდა იერუსალიმი და მისი სანახები, ქრისტიანული ტაძრები მათი შემოსავლის წყაროდ იქცა. მათი დახმარებით ქართულ სავანეებს თანდათანობით დაეუფლნენ ბერძნები, რომლებიც ძალზედ ავიწროვებდნენ ქართველებს. ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოდან

დახმარება მოაკლდათ, დაკისრებული გადასახადის დაფარვა გაუძნელებდათ, ვალი დაედოთ. ამის გამო ჩვენი ზოგიერთი ტაძარი კათოლიკეებმა ჩაიგდეს ხელში. სირია-პალესტინის მმართველი თურქი ფაშები ძალზე უმოწყალოდ ძარცვავდნენ პილიგრიმებს. მათ დიდი გადასახადი შეაწირეს ქრისტიანულ ტაძრებსა და მათ კრებულებს (ეს გადასახადი გვიან ხანამდე იკრიფებოდა).

ადრე შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ბერძნებსაც გაუჭირდათ; ამის გამო იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმკურობლის – პატრიარქის რეზიდენცია (XVII საუკუნის დასაწყისში) კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. გასაგებია, რომ შექმნილმა ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჯვრის სავანეც. ამან კი, თავის მხრივ, შეაფთოთა ქართველები. ცალკე უნდა შევხედეთ იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის საკითხზე. ჩვენს საისტორიო მწერლობაში, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ტრიალებს ცნობა XVI საუკუნეში იერუსალიმში ქართველთა შესვლისა და წმიდა ადგილების სხელით განთავისუფლების შესახებ. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „წარმოუგზავნა კაცი სონთქართან მეფეს გიორგის, და მკვრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მკვრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმე: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სკულისა თქუენისანი დაიპყრეს უსკულოთა და შეაბილწეს, მოკედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიაო“. სოლო, რა ესმა მეფესა გიორგის, და მკვრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიხარეს და შეიპყრეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდნენ იერუსალიმსა და ესმა მუნა-მყოფთა მისვლა ამათი, წარმოაუგზავნა კაცი და ესრეთ შემოუთვალა: „უკეთუ სტუმარი ხართ, მაშ მტრობა რა არისო, და სტუმრად ბევრნი ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსრულხართ, მკირენი ხართო“. სოლო ამით მიუმცნეს ბრძოლად მისვლა. რა ესმა მათ საქმე ესე, გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა დემეტრის ძლიერა ქართველთა და საფლავმან ქრისტესმან და გაემარჯვათ. და მეოტნი შევიდნენ ქალაქსა შინა და განამაგრეს. სოლო მიჰყვნენ ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი და მიუმცნეს სვანთქარსა საქმე ესე და წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე

სონთქარმან მათ სიგლითა მტკიცითა. სოლო განისხარა მეფემან გიორგი და ბატონმა ბაგრატ და ლევან და წარმოვიდნენ თვისსა ადგილსა და მოვიდნენ მშვიდობით გამარჯუებულნი და განისხარეს“. XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართველებს იერუსალიმელ ქრისტიანთა შორის ჯერ კიდევ საპატრიო ადგილი ეჭირათ. ამას ერთხმად ადასტურებენ უცხოელი მოღვაწენი: ლ.რაუვოლფი (1573 წ.), ს.შვაიგერი (1577–1581 წწ.), ნ.რაძივილი (1582–1584 წწ.), ტ.კორობეინიკოვი (1594 წ.), ი.კოტოვიკი (1598 წ.), ქ. ჰარანტი (1598 წ.) და სხვანი. გერმანელი მისიონერის ს.შვაიგერის (1551–1622) ნიგნში, რომელშიც სხვათა შორის, პირველად დაიბეჭდა ქართული (ნუსხური) ანბანი, საგანგებოდაა წარმოჩენილი ქართველთა უფლებამოსილება იერუსალიმში; პოლონელმა მოგზაურმა ნ.რაძივილმა (1549–1616) საზგასპით აღნიშნა „კათოლიკეთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატრიარქებმა ჯვრის ტაძრისადმი; ქ. ჰარანტის ცნობით, ქართველებს იერუსალიმში მძლავრი კოლონიის ჰქონდათ. ჩემმა მოგზაურმა შენიშნა, რომ ქართველები „დღესასწაულის დღეებში დიდი რაოდენობით პილიგრიმობდნენ ქალაქში“. XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი გაიზარდა, დასმარება ჯვრის საფანისადმი უფრო შესამჩნევი გახდა. ქართველები ცდილობდნენ მეტი დასმარება აღმოეჩინათ ჯვრისათვის (ასევე სხვა საფანებისათვის) საქართველოში ბეგარის აკრეფითა თუ იერუსალიმში შეწირულობის წარგზავნით. ქართველ მოღვაწეთა დასმა კონკრეტულ და უპირველეს მიზნად დაისახა სხვათა ხელში გადასული საფანების დაბრუნება, ძველ ნაგებობათა აღდგენა, დაგირავებული ნივთების დახსნა, ძველი უფლებების (თუნდაც ნაწილობრივ) აღდგენა და მთელი თავისი საქმიანობა ამ მიზნის მიღწევისაკენ წარმართა. აღსანიშნავია ის დასმარება, რომელიც ქართულმა კოლონიამ მიიღო გურიიდან მამია II გურიელის (1600–1625) ზეობაში, ან ის უხვი შეწირულობა, ჯვარს რომ მიუვიდა ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილებისაგან მაკარის წინამძღვრობის ჟამს (XVII ს. 30-იან წლებში). მსგავსი შემთხვევა სხვაგანაც ცნობილი, მაგრამ ასეთი დასმარება ამინდს არსებითად ვერ ცვლიდა, ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ენერგიული ხელმძღვანელი, რომელიც ქართული კოლონიის მეთაურის მძიმე მოვალეობას იკისრებდა, სიძნელეებს არ შეუშინებდა და თავის თანამოღვაწეებთან ერთად გადამჭრელ ღონეს იხმარდა ქართველთა შეწირულების გონივრულად გამოყენებისა და იერუსალიმის ქართული

კოლონიის დაცემა—დაკნინების შეცვრების მიზნით. ასეთ მეთაურად იერუსალიმის ქართველობას მოეკლინა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. მისი მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ამ საგანისა და საერთოდ იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიაში. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (დაახლოებით 1585–1659 წწ.) საკმაოდ ცნობილი მოღვაწეა. იგი იყო კახეთიდან, ძე ომანისა, ძმა გამონჩენილი სარდლის, „ომანიანის“ ავტორის ქაიხოსროსი. განათლება მიიღო რომში, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა კახეთში (თეიმურაზ პირველთან), იმერეთში (ალექსანდრე მეფესთან), სამეგრელოში (ლევან დადიანთან) და ა.შ. მოიარა ევროპის ბევრი ქვეყანა. 1614–1626 წლებში ცხოვრობდა იერუსალიმში. 1643–1649 წლებში კვლავ იერუსალიმში იყო, ამჯერად უკვე ჯვრის მამად. სწორედ ამ წოდების ფლობისას გამოიჩინა მან თავი და სრულად გამოავლინა თავისი ორგანიზატორული ნიჭი, რითაც დიდი სახელი მოიპოვა და რის გამოც პატრიარქმა გარდაცვალების წინ (1645 წ.) თავის შემკვიდრედაც კი დაასახელა. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის უამს ჯვრის მონასტერს ბევრი ქართველი დაეხმარა. შეგვიძლია დავასახელოთ იმერთა მეფეები გიორგი (გარდ. 1639 წ.) და ალექსანდრე III (1639–1660), ვახტანგ გურიელი და ქაიხოსრო წულუკიძე, ევდემონ ჯაიანი და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც იერუსალიმელ ქართველობას გაუწია ლევან დადიანმა (1611–1657). მისი წვლილი ერთობ დიდი იყო; მისი შეწირულობა შესაფერისად გამოიყენა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა აღმშენებლობით საქმიანობაში და ეს გარემოება არაერთგზის საგანგებოდაც აღინიშნა. მაგალითად, ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის შესასვლელზე წაანერა: „ქ. დაიხატა და განათლდა წმიდა ესე და ყოვლად პატრიარქი ტაძარი ჯვარისა ცხოველსმყოფელისა ჯერჩინებთა და შეწევნითა ყოვლად სახელოვანისა და ბრწყინვალისა დადიანისა ლეონისითა, სელითა და ფრიადჭირგანცდილებითა ყოვლად დირსისა ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა, ჩოლოყაშვილისა ომანის ძისათა, მსასოებელისა და სარწმუნოსა ამის მონასტრისა, რომელმან გუმბადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე, ჩემის ალალითა საფასითა, ქრონიკონსა ტკია [=331+1312=1643], ამინ“. ლევან დადიანისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დამსახურება ჯვრის ტაძრის განახლებაში საგანგებოდაა წარმოჩენილი ბერძნულ წარწერაშიც (1643 წ.). ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილის თაოსნობით ჩატარებულ აღმშენებლობით საქმიანობას ჯვრის ტაძრის არაერთი

წარწერა ადასტურებს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი სვინაქსარის მინანქრი, რომელშიც ერთგვარად შეკამბებულია მის მიერ შესრულებული სამუშაო (იგი დანერვილია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სახელით, მაგრამ არა მის მიერ): „...დავახსატვინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები, და სახლები, და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქლეთ, ოდეს მისჭირებოდა მონასტერსა. სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირის. მას უამსა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა და მიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯანი, თანამეცხედრე ხელმწიფისა დადიანისა ლეონისა, რომელმაც წარაგო მისთვის ყოველივე... და მე ჯერინებითა მას ხელმწიფისათა ესრეთ შევამკევ რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა“.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ძნელებედობის გამო პილიგრიმობა იერუსალიმში შემციირდა, მაგრამ არ აღკვეთილა. ცნობილია, რომ ამ პერიოდში არა ერთი ქართველი ეწვია იერუსალიმს, კერძოდ, ჯვარის მონასტერს. მათ შორის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე (1639–1657), როგორც ქრისტეფორე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი და სხვანი ადასტურებენ, იგი რამდენჯერმე იყო იერუსალიმში და დაუხმარა კიდეც ჯვარის ტაძარს; იერუსალიმურ ხელნაწერთა ზოგიერთი მინანქრი საფიქრებელს ხდის, რომ ჯვარის საფანჯრებში ყოფილა ცნობილი მწიგნობარი იაკობ დუმბაძე; 1684 წელს იქვე იყო არაგვის ერისთავთა სახლის წარმომადგენელი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე „კობზაყოფილი კიპრიანე“ სამთავნელი; 1699 წელს ჯვარის მონასტერში იყო მამა-ბიძათა სპარსელთა ტყვეობაში ყოფნით გულდასერილი დომენტი ბაგრატიონი, შემდგომ კათოლიკოსი დომენტი I (1705–1741) და სხვ. დასახელებული პირები, – ისე, როგორც სხვა ქართველები, – მატერიალურად ესმარებოდნენ ვალებით დამძიმებულ ჯვარის მონასტერს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც ჯვარს გაუწია ქართლის მეფემ – გიორგი XI (1678–1688, 1703–1709). ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, გიორგიმ „წარგზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი სახსრად გოლგოთისა და ჯუარის მონასტრისა და სახუანი მრავალნი შესამკონი მათნი“. არაქართულ წყაროშიც აღნიშნულია, რომ გიორგიმ (ძმასთან – ლევან ბატონიშვილთან ერთად) ვალისაგან იხსნა ჯვარის ტაძარი. იერუსალიმის საპატრიარქო ჯვარის, უფლისაფელავისა თუ სხვა საფანჯრათა შემწეობით საქართველოდან

რიგიან შეემოსავალს იღებდა. იგი ყმა-მამულს ფლობდა საქართველოს სსკვადსსკვა კუთხეში. იერუსალიმის ჯვრის მეტოქის წარმოადგენდა თბილისში „ეკლესია ჯვარის, გუნბათიანი, შკენიერი“ (ვასუშვი). ამ ეკლესიას ჩვეულებრივ ჯვარის მამას უწოდებენ, რადგან იქ იჯდა მამა, რომელსაც ქართველთაგან ნიშნავდნენ ქართველი მეფე-კათოლიკოსები. ის იღებდა, აგროვებდა შეწირულებას და უგზავნიდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. რადგან პოლიტიკური ვითარების გართულების გამო ჯვრის მონასტრის ორგანიზაციული კავშირი საქართველოსთან შესუსტდა და დახმარება-შეწირულობამ იკლო, შეემოსავლის ზუსტად აღრიცხვას და მიღებას დიდი მნიშვნელობა მიეცა. ამით აიხსნება ჯვრის წინამძღვრების საკალმასოდ ჩამოსვლა გურიაში, იმერეთში და ა.შ. ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან სამი ეწვია საქართველოს. სახელდობრ, თეოფანე (1608–1645), პაისიოსი (1645–1660) და დოსითეოსი (1669–1709). დოსითეოსი საკმაოდ ენერგიული მოღვაწე იყო – თავგამოდებით ებრძოდა კათოლიკეებს, აკავშირებდა მართლმადიდებლებს, მოგზაურობდა და აგროვებდა შეწირულობას, ისტუმრებდა ვალეებს და ა.შ. იგი ცნობილია მნიშვნელოვანი მონაწილეობით. გარკვეულ ინტერესს ინვესტის მისი „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია“, რომელშიც გამოყენებულია ბაგრატ მესამის „აფხაზთა ისტორია“. ავტორმა მოგვანოდა ბევრი საყურადღებო ცნობა ჩვენს ქვეყანაზე. დოსითეოსის ცნობები საქართველოზე გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მარტი ბროსემ. ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა დოსითეოსის წერილები, რომლებიც, – პუსპენსკის მიერ რუსულად თარგმნილი, – ჩვენშიც გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა.

XVIII საუკუნეში ქართველთა გავლენამ იერუსალიმში საგრძობლად იკლო; ქართველ მეფე-დიდებულებთა დახმარება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი ძველებურად ეფექტური აღარ იყო, ქართულ ცამრებს უცხოელები ფლობდნენ, პილიგრიმთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა. იერუსალიმის ქართული კოლონიის დაკნინებამ შეამფთოთა ქართველობა. ქართველთა ეროვნული ღირსების შეზღვევითა და ეროვნულ სავანეთა და კარგვით აღმფოთებული „წმიდა საფლავსა და სისხლ-მენამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალ... მონაზონი მართა“ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696–1742) გულისტკივილით აცნობებდა იერუსალიმის ქართული სავანეების მძიმე მდგომარეობას, მტრის მოძალეობას, მის მიერ ქართულ სიძველეთ ვერაგულად მიტაცებას. დღეს იერუსალიმის მონასტერს

ბერძნები ფლობენ. ვიმედოვნებთ, რომ იქ ოდესმე კვლავ ადავლენენ წირვა ლოცვას ქართველი მღვდელთ მსახურები.

ათონის ღმინდა მთა

VII საუკუნე

წმინდა ათონი აღმოსავლეთ საბერძნეთში, ქალკედონიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილს წარმოადგენს, რომელიც ღრმად არის შეჭრილი ეგეოსის ზღვის ზურმუხტისფერ წყლებში. მთის სიგრძე დაახლოებით 80 კმ, სოლო სიგანე 12 კმ-მდეა. სიმაღლე კი 2033 მ-ია ზღვის დონიდან. მიუხედავად იმისა, რომ ათონი ნახევარკუნძულია, იქამდე მიღწევა მხოლოდ ზღვით, ან საჰაერო გზით არის შესაძლებელი. ის ერთადერთი მონასტერია საღვარგარეთ, რომელშიც დღესაც ქართველები ადავლენენ წირვა-ლოცვას. ათონი დამოუკიდებელი მონაზვნური რესპუბლიკაა. იგი განსაკუთრებული მართლმადიდებელი მონაზვნური გაერთიანების მფლობელობაში იმყოფება. ათონზე უმაღლესი ეკლესიური ძალაუფლება ეკუთვნის არა ელადის, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, როგორც ბიზანტიურ ეპოქაში იყო. ათონის მთა, ისევე როგორც ივერია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის წილხვედრ მიწად ითვლება. გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის მიერ მკვდრეთით სასწაულებრივად აღდგენილი ლაზარე, რომელიც მოციქულ ბარნაბას სელდასხმით იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი გახდა, კუნძულ კვიპროსზე ცხოვრობდა და არ შეეძლო იერუსალიმში დაბრუნება, ვინაიდან იუდეველები მას მოსაკლავად ეძებდნენ. იგი ძლიერ განიცდიდა, რომ მოკლებული იყო ღვთისმშობლის ხილვის მადლს. ყოვლადწმინდამ შეიტყო ამის შესახებ და მისწერა ლაზარეს მანუგეშებელი წერილი. იგი გამოთქვამდა სურვილს, თავად გამგზავრებულიყო კვიპროსზე და სთხოვდა ლაზარეს სომალდი გამოეგზავნა მისთვის. სომალდი დაუყოვნებლივ აღიჭურვა და გაიგზავნა ღვთისმშობელთან. ეკლესიის გადმოცემის თანახმად, 44 წელს ღვთისმშობელი, მოციქულებთან ერთად, კვიპროსზე გაემგზავრა.

სმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობა მშვიდობიანად დაიწყო, მაგრამ კუნძულ კვიპროსთან მიახლოებისას, მოულოდნელი ძლიერი პირქარი ამოვარდა, მეზღვაურებმა ვერაფრით დაიმორჩილეს იალქნები და

სომალდი სხვა მიმართულებით გაქანდა. ქარმა გეში ეგეოსის ზღვაში შეიყვანა და ათონის მთის ნაპირთან მიაყენა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ათონის მთა წარმართთათვის წმინდა მთად იყო მიჩნეული. ძველ ბერძნებს აქ აპოლონის და ზევსის სადიდებელი მთელი რიგი წარმართული ტაძრები ჰქონდათ აღმართული. როგორც კი ღვთისმშობლის სომალდი ათონის ნაპირს მიადგა, წარმართული ტაძრები ერთიანად ჩამოიქცა. ყოვლადწმინდამ მოგზაურობის ამგვარ წარმართვაში ღვთის ნება დაინახა, გადავიდა მისთვის უცნობი მიწის ნაპირზე, სადაც სასწაულის მხილველი ადგილობრივი მოსახლეობა დიდი მონივნით შეხვდა მას. ყოვლადწმინდამ წარმართებში ღვთის სიტყვა იქადაგა და როდესაც იქაურებში ჭეშმარიტი რწმენა განამტკიცა, დატოვა ერთ-ერთი მისი მხლებელი, სომალდზე ავიდა და კვიპროსისკენ გასცურა. მას შემდეგ ათონი ქრისტიანული ეპოქის ისტორიაში შევიდა და ღვთისმშობლის მეორე წილხვედრი გახდა. ათონის მთაზე მონაზვნების დასახლებასთან დაკავშირებული პირველი ცნობები VII-VIII საუკუნეს განეკუთვნება.

971 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ათონელ მონაზვნებს ნახევარკუნძულის მთლობელობა დაუმტკიცა „განუსაზღვრელი“ დროით. მონაზვნების მიერ სრული თვითმმართველობის უფლება იმპერატორის სიგელში და წმინდა მთის პირველ წესდებანში აისახა. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია გრიგორიანულ კალენდარზე (ახალი სტილი) გადავიდა, ათონზე ძველებურად იულიუსის კალენდრით სარგებლობენ (ძველი სტილი). ისევე, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ათონის წმინდა მთაზე ქალის შესვლა მკაცრად იკრძალება. აკრძალვას საფუძვლად დაედო ერთი შემთხვევა: გადმოცემის თანახმად, ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსის ქალიშვილი პლაკიდია რომიდან კონსტანტინეპოლში ბრუნდებოდა და გზად წმინდა მთის მონახულება მოისურვა. მას განსაკუთრებით მამამისის შეწირულობით აგებული „ვათოპედის“ მონასტრის ნახვა უნდოდა. როგორც კი პლაკიდია ტაძრის შესასვლელს მიუახლოვდა, გაიგონა ხმა, რომელიც კედლის ნიშაში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატიდან მოდიოდა. ხმამ უთხრა, რომ თუკი იგი კეთილმორწმუნე ქრისტიანი იყო, დაეტოვებინა იქაურობა, რომ მისი იქ ყოფნით ცდუნებაში არ ჩაეგდო მონაზვნები. შეძრწუნებულმა პლაკიდიამ დაუყოვნებლივ დატოვა იქაურობა და მას შემდეგ, ათონზე

ქალის შესვლა აკრძალულია. 999 წელს ათონის მთასთან ზღვით მისცურა ივერიისად წოდებულმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატმა, რომელზეც ზეციდან ცეცხლოვანი სვეტი იყო დაშვებული. ყოვლადწმიდამ წმინდა გაბრიელი ქართველის ხელით ინება ნაპირზე გამობრძანება და იმ დღიდან ივერთა მონასტერიცა და მთლიანად ათონის წმინდა მთაც ამ საკვირველთმოქმედი ხატის მფარველობის ქვეშ მოექცა, ვითარცა ღმრთისმშობლის წილხვედრი. წმინდა ნილოს მირონმდინარის წინასწარმეტყველებით როდესაც ივერიის წმინდა ხატი ათონის ნახევარკუნძულს დატოვებს, ბერებმაც სასწრაფოდ უნდა დატოვონ თავიანთი სავანეები და წავიდნენ სადაც სურთ, ოღონდ აღთქმა მონაზნობის წმინდად შეინახონ, რამეთუ მას შემდეგ, რაც ხატი ამ ადგილს დატოვებს დამანგრეველი მიწისძვრებით ათონი ზღვაში შთანთქმება. ეს იქნება ღმრთისმშობელ მარიამის გაფრთხილება რომ ანტიქრისტე უკვე გამეფდაო ქვეყნაზზე. ათონური წინასწარმეტყველების თანახმად, მას შემდეგ, რაც ხატი ათონს დატოვებს, ივერიაში (დღევანდელ საქართველოში) დაივანებს და სწორედ ამ ხატის საქართველოში მობრძანებასთანაა დაკავშირებული ივერიის გაბრწყინებაც. ამბობენ, ათონის მთის საიდუმლო კელაში უძველესი დროიდან ცხოვრობს 12 ბერი-განდევილი, რომლებიც თითქმის არასდროს ეჩვენებიან ხალხს, თვით ათონელ მონაზვნებსაც კი. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლება, დანარჩენები მას კლდეებში მარხავენ და მის ნაკვლად თავისთან ახალ მოღვაწეს უხმობენ. გადმოცემის თანახმად, ქვეყნიერების აღსასრულის უამს ეს 12 ბერი თავისი სენაკებიდან გამოვა და უკანასკნელ ლიტურგიას აღასრულებს.

ათონის მთის მონასტრები

წმინდა ათანასეს ლავრა, ვათოპედის მონასტერი, ივერონის მონასტერი, ხილანდარის მონასტერი, დიონისიაცის მონასტერი, ყუთლუშუმის მონასტერი, პანტოკრატორის მონასტერი, ქსეროპოტამის მონასტერი, ზოგრაფის მონასტერი, დოქიარის მონასტერი, კარაკალის მონასტერი, ფილოთეოსის მონასტერი, სიმონოპეტრას მონასტერი, წმინდა პავლეს მონასტერი, სტავრონიკიტას მონასტერი.

საქართველოს ეკლესიის ეპარქიები 1976 წლის მონაცემებით
დავით V დეკდარინის პატრიარქობის დროს

1. მცხეთა თბილისის ეპარქია
2. წილკნის ეპარქია
3. მანგლისის ეპარქია
4. ალავერდის ეპარქია
5. ბოდბის ეპარქია
6. ურბნისის ეპარქია
7. აწყურის ეპარქია
8. აგარაკ-წალკის ეპარქია
9. მარგვეთის ეპარქია
10. ქუთაის განათის ეპარქია

საქართველოს ეკლესიის ეპარქიები
წმინდა სინოდი

1. კალისტრატე — ქუთათელ-განათელი მიტროპოლიტი;
2. დანიელი — სანსერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი;
3. აბრამი — დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი;
4. თადეოზი — თიანეთისა და ფშავ-ხევისურეთის
მიტროპოლიტი;
5. ანანია — მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი;
6. ვახტანგი — მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტი;
7. ზოსიმე — წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტი;
8. გიორგი — ცყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი;
9. იობი — ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი;
10. დავითი — ალავერდელი მიტროპოლიტი;

11. სერგი — ნეკრესელი მიტროპოლიტი;
12. იოსები — შემოქმედელი მიტროპოლიტი;
13. ისაია — ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი;
14. სერაფიმე — ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი
15. ელსე — ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი;
16. გრიგოლი — ფოთისა და სობის მიტროპოლიტი;
17. ნიკოლოზი — ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი;
18. თეოდორე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი; პატრიარქის ქორეპისკოპოსი
19. საბა სონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი;
20. დიმიტრი — ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი;
21. ანტონი — ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი;
22. გერასიმე — ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი;
23. ანდრია — სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი;
24. პეტრე — ჭყონდიდელი მიტროპოლიტი;
25. შიო — სენაკისა, ჩხოროწყუს და ავსტრალიის მიტროპოლიტი; პატრიარქის ქორეპისკოპოსი
26. სტეფანე — ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი;
27. დავითი — ბოდბელი მთავარეპისკოპოსი;
28. ეგუდიელი — სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი;
29. იოანე — რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი;
30. ზენონი — დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი;
31. ილარიონი — მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი;
32. ექვთიმე — გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსი;

- 33. ლუკა — საგარეკოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსი;
- 35. სპირიდონი — სხალთელი ეპისკოპოსი;
- 36. ეფრემი — ბოლნისელი ეპისკოპოსი;
- 37. მელქისედეკი — დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსი;
- 38. იაკობი — ცურტაველი ეპისკოპოსი; პატრიარქის ქორეპისკოპოსი

საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეპარქიები

- 1. დასავლეთ ევროპის ეპარქია
- 2. ინგლისისა და ირლანდიის
- 3. ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქია
- 4. სამხრეთ ამერიკის ეპარქია
- 5. ავსტრალიის ეპარქია



თავეჯლომარი წმინლა სინოლის



კალისტრატე



დანელი



აბრწამი



თადეოზი



ანანია



ვასტანგი



ზოსიმე



გიორგი



იობი



დევითი



სერგი



იოსები



ისაია



სერაფიმი



ელისე



გრიგოლი



ნიკოლოზი



თეოდორე



საბა



დემეტრი



ანტონი



გერასიმი



ანდრია



პეტრე



შიო



დავითი



იონე



სტეფანე



ილარიონი



ექვთიმე



ლუკა



ზენონი



იგუდელი



სპირიდონი



ეფრემი



მელქისედეკი



იაკობი

დამოუკიდებელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები:

1. წმ. კირიონ II (სამხავლიშვილი) — 1917-1918 წწ.
2. ლეონიდე — 1919-1921 წწ.
3. წმ. ამბროსი (სელაია) — 1921-1927 წწ.
4. ქრისტეფორე — 1927-1932 წწ.
5. კალისტრატე (ცინცაძე) — 1931-1952 წწ
6. მელქისედეკ III — 1952 -1960 წწ.
7. ეფრემ II — 1960-1972 წწ.
8. დავით VI — 1972-1977 წწ.
9. ილია II (შიოლაშვილი-ფუფუშაური) — 1977 დან დღემდე



წმიდა სამების საკათედრო ტაძარი



ნეკრესის მონასტერი



დავით გარეჯის მონასტერი



მცხეთის ჯვრის მონასტერი



ხირსის მამათა მონასტერი



აჭენის სიონი



ზედაზნის მონასტერი




კახთუბნის მონასტერი




ალავერდისმონასტერი



სამთავისი



სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარი



მარტყოფის მონასტერი



შიომღვიმის მონასტერი




ვარძია



თამარ მეფე და გიორგი III - ვარძია



თამარ მეფე - ბეთანია




ბეთანიის მონასტერი




ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია




გერგეთის ტაძარი



ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის
დედათა მონასტერი



გრემი




მარტვილის მონასტერი



კახეთის სვეტი -მამამთა მონასტერი



კაცხის ეკლესია



ბაგრატის ტაძარი-მოწასტერი 2012 წლიდან



ნიკორშინდა



მონაშეთის მონასტერი




გელათის მონასტერი




ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი

ქართული სავანეები უცხოეთში



ტაო-კლარჯეთი



ხაზული



პარბელი



ოთბთა ეკლესია



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი



ათონის წმინდა მთა

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1976 წელი
2. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2010 წელი
3. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2011 წელი
4. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2012 წელი
5. დ. ჩონიშვილი ისტორიულ გეოგრაფიულ სახელთა განმარტებითი ლექსიკონი 2009 წელი
6. ლ. ტყეშელაშვილი გელათი 2007 წელი
7. ნ. ახათიანი საქართველოს ისტორია
8. ცამეტი ასურელი მამის ცხოვრება
9. www.google.ge
10. www.saunje.ge
11. www.orthodoxy.ge

ავტორი ნებისმიერ სასარგებლო რჩევასა, და შენიშვნას დიდი მადლობით მიიღებს Gvelesianigorgi2@gmail.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

ცამეტი ასურელი მამის შემოსვლა საქართველოში	5
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.....	5
წმინდა სამების საკათედრო ტაძარი XX - XXI საუკუნე.....	6
ნეკრესი (IV სასუკუნე).....	8
ღავით გარეჯი (VI საუკუნე).....	9
მცხეთის ჯვარი (VI საუკუნე).....	10
ხირსის მამათა მონასტერი (VI საუკუნე).....	12
ატენის სიონი VII საუკუნე.....	15
წმინდა (VII-VIII საუკუნე).....	17
კახთუბნის მონასტერი	18
ალავერდის ტაძარი X-XI ს.ს.....	21
ბოდბის მონასტერი.....	24
სამთავისი (472 წელი)	28
სვეტიცხოველი	30
მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი	32
შიომღვიმე (XII საუკუნე).....	35
ვარძიის სამონასტრო კომპლექსი.....	37
ბეთანიის მონასტერი	40
ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია.....	43
გერგეთის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი	46
ახალი შუამთის სახულის ღვთისმშობლის ღვლათა მონ- ასტერი (XVI საუკუნე).....	50
ბრემი 1565 წელი.....	52
მარტვილის მონასტერი.....	53
კაცხის სვეტი სვიმონ მესვეტის სახელობის მამათა მონ- ასტერი	55
კაცხის ეკლესია	56
ბაგრატის ტაძარი.....	58
ნიკორწმინდა.....	59
მოწამეთა	60
გელათი	63

ქართული სავანეები უცხოეთში	67
ტაო-კლარჯეთი	67
სასული.....	70
პარსალი.....	73
ოთხთა ეკლესია.....	73
იერუსალიმის ჯვრის მონასტერი	75
ათონის ღმინლა მთა	97
ათონის მთის მონასტრები	99